

პროგრესული პოლიტიკისა და
სამართლებრივი საქმეების
ძართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი

ქართული სამართლის მიმოხილვა

GEORGIAN LAW REVIEW

GEORGIAN-EUROPEAN POLICY
AND LEGAL ADVICE CENTRE
6 №1 2003



მთავარი რედაქტორი Editor-in-Chief
დავით კერესელიძე David Kereselidze

ჟურნალის ევროპელი მრჩეველი EU Advisor of the Journal
მაიკ ს. მასბაუმი Maik S. Masbaum

სარედაქციო კოლეგიის წევრები Members of the Editorial Board
დავით ბაზერაშვილი David Bazerashvili
ზურაბ ბექაია Zurab Bekaia
ნინო ჩოხელი Nino Chokheli
კონსტანტინე კორკელია Konstantin Korkelia
ნიკოლოზ რურუა Nicholas Rurua
ტატო ურჯუმელაშვილი Tato Urjumelashvili
ვახტანგ ზაალიშვილი Vakhtang Zaalishvili

სარედაქციო ხელშეწყობა Editorial Support
თამარ ჩერქეზიშვილი Tamar Cherkezishvili
ანა ლორია Anna Loria
მაკა მახჩანელი Maka Machkhaneli
ქეთევან ვახტანგაძე Ketevan Vakhtangadze

ქართული ტექსტის კორექტორი Proof-reader of Georgian text
თამარ გაბელია Tamar Gabelaia

ინგლისური ტექსტის კორექტორი Proof-reader of English text
ჯონ რაითი John Wright

ქართული სამართლის მიმოხილვის Georgian Law Review
სარედაქციო კოლეგია: Editorial Board:

საქართველო, თბილისი 380077, ალ. ყაზბეგის გამზირი 42
42 Al. Kazbegi Ave., 380077 Tbilisi, Georgia
Tel.: (995 32) 537143, Fax: (995 32) 537138,
E-mail: glr@geplac.org

„ქართული სამართლის მიმოხილვა“ არის ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის („ჯეპლაკი“) კვარტალური ჟურნალი, რომელიც გამოიცემა 1998 წლიდან. მისი მიზანია სამართლის სხვადასხვა დარჯიარებული ახალი იდეების, ტენდენციებისა და გამოცდილების მკითხველისთვის გაზიარებით, საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმების ხელშეწყობა. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროპულ კავშირთან საქართველოს დაახლოებას.

„ჯეპლაკი“ შეიქმნა 1997 წელს ევროპული კავშირის „ტასისის“ პროგრამის ფარგლებში, საქართველოში ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმების ხელშეწყობის მიზნით. იგი საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას უწევს კონსულტაციას 1996 წელს „საქართველოს და ევროპულ გაერთიანებებსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ განხორციელების უზრუნველსაყოფად. „ჯეპლაკი“ ფინანსდება ევროპული კავშირის („ევროპეიდის“) მიერ; პროექტის მიმდინარე ფაზას ახორციელებს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (ტოს), 65726 ეშბორნი, გერმანია.

The Georgian Law Review (GLR) is a quarterly publication of the Georgian-European Policy and Legal Advice Centre (GEPLAC) since 1998. The GLR aims at promoting the current legal reforms in Georgia by sharing with readers the experience, trends and new ideas in various fields of law. A particular importance is attached to the rapprochement between the European Union and Georgia.

GEPLAC was established in 1997 in the framework of the EU Tacis Programme in order to support the economic and legal reforms in Georgia. It renders economic policy and legal advice to the Parliament and the Government of Georgia to support the implementation of the Partnership and Co-operation Agreement between Georgia and the European Communities and their Member States concluded in 1996. GEPLAC is funded by the European Union (Europe-Aid); the current phase of the project is being implemented by Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ), 65726 Eschborn, Germany.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული შეხედულებანი, დასკვნები და განმარტებანი წარმოადგენს „ჯეპლაკის“ პოზიციას და არ უნდა განიხილებოდეს როგორც ევროპული კომისიის ან ტოს-ის პოლიტიკა ან მოსაზრება.

The findings, conclusions and interpretations made in the journal are those of GEPLAC and should in no way be taken to reflect the policies or opinions of the European Commission or GTZ.

სარჩევი

„ჯეპლაკის“ საქმიანობა

საქართველოს შრომის კოდექსის პროექტი და კონტინენტური ევროპის ქვეყნების შრომის სამართლის ზოგიერთი ძირითადი პრინციპი, ლეონიდე ადეიშვილი/დავით კერესელიძე	4
შრომის კოდექსის ზოგადი და ინდივიდუალური ნაწილის პროექტი	26

სამართლებრივი ტენდენციები

იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტების მიმოხილვა, გიორგი გოგიბერიძე	78
--	----

სტატიები

ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, ბესარიონ ზოიძე	86
იურიდიული პროფესიები სამართლებრივ სახელმწიფოებში, ლადო ჭანტურია	116
სასამართლო ხელისუფლების მაკონტროლებელი ფუნქცია, გაზანფარ ბაბახან ოღლი ქიარიმოვი	128
აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კონსტანტინე კორკელია	136

საკანონმდებლო სიახლენი

შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, ნინო ჩაჩავა	170
2003 წლის პირველ კვარტალში მიღებული ძირითადი ნორმატიული აქტები	178

სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას, ნათია ნკეპლაძე	184
--	-----

ფულადი ვალდებულების შესრულება და საბანკო ანგარიშით

სარგებლობის უფლება, ნინო ჩოხელი	196
---------------------------------------	-----

სტუდენტური ფორუმი

ევროპული გაერთიანების სასამართლო, ვახტანგ ლონღაძე	202
---	-----

იურიდიული ლიტერატურის მიმოხილვა	212
---------------------------------------	-----

სახელმძღვანელო პრინციპები ავტორებისათვის	218
--	-----

Table of Contents

GEPLAC Activities

Draft Labour Code of Georgia and some Basic Principles of Labour Law in Continental European Countries, <i>Leonide Adeishvili/David Kereselidze</i>	5
General and Individual Sections of the Draft Labour Code	27

Legal Trends

Draft Laws Elaborated by the Ministry of Justice, <i>Giorgi Gogiberidze</i>	79
--	----

Articles

From the History of the Creation of the Civil Code of Georgia, <i>Besarian Zoidze</i>	87
Legal Professions in States Governed by the Rule of Law, <i>Lado Chanturia</i>	117
The Review Functions of the Judiciary, <i>Gazanfar Babakhan Ogli Kiarimov</i>	129
Freedom of Thought, Conscience and Religion under the European Convention on Human Rights and the Georgian Legislation, <i>Konstantin Korkelia</i>	137

Legislative News

Agreement between the Government of Georgia and the Government of the United States of America on Defence Cooperation, <i>Nino Chachava</i>	171
Significant Normative Acts Adopted in the First Quarter of 2003	179

Case Law Review

Payment of Monetary Obligation under a Floating Exchange Rate Regime, <i>Natia Tskepladze</i>	185
Performance of Monetary Obligation and Restriction of the Right to Use Bank Accounts, <i>Nino Chokheli</i>	197

Students Forum

The European Court of Justice, <i>Vakhtang Gongadze</i>	203
--	-----

Book Review	213
-------------------	-----

Guide for Contributors	219
------------------------------	-----

„ჯეპლაკის“ სამხიანობა

საქართველოს შრომის კოდექსის პროექტი და კონტინენტური ევროპის ქვეყნების შრომის სამართლის ზოგიერთი ძირითადი პრინციპი

ლეონიდე ადელიშვილი*
დავით კერესელიძე**

ქვემოთ გამახვილებულია ყურადღება შრომითი ხელშეკრულებისათვის, ისევე როგორც შრომითი ურთიერთობისათვის, დამახასიათებელ ზოგიერთ მნიშვნელოვან პრინციპზე, რომლებიც აისახა შრომის კოდექსის ზოგადი და ინდივიდუალური ნაწილის პროექტში. აქვე წარმოდგენილია პროექტის მომზადების მოკლე ისტორიული ექსკურსი და მის შემუშავებისას წამოყრილ ცალკეულ საკითხთან მიმართებით პროექტის შემუშავებელი სამუშაო ჯგუფის მიერ გამოხატული პოზიცია.

1. შრომითი ურთიერთობების მონესრიგება კონტინენტური ევროპის ქვეყნებში

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში შრომითი ურთიერთობების მონესრიგების განსხვავებული გზები იქნა არჩეული. ასე მაგალითად:

იტალიის 1942 წლის სამოქალაქო კოდექსის (*Codice civile, Cc*) მე-5 ნიგნის 2060-ე-2135-ე მუხლები მოიცავს შრომის სამართლის მარეგულირებელ ზოგად დებულებებს;

1911 წლის შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის მე-5 ნაწილის – ვალდებულებითი სამართლის (*Obligationenrecht, OR*) – 1972 წლიდან ამოქმედებული მე-10 კარი მიზნად ისახავს შრომითი სახელშეკრულებო სამართლის მონესრიგებას;

1992 წლის ნიდერლანდების ახალი სამოქალაქო კოდექსის (*Nieuw Nederlands Burgerlijk Wetboek, NBW*) მე-3 ნიგნის 1997 წლიდან ძალაში შესული მე-10 კარი მოიცავს ინდივიდუალური შრომის სამართლის არსებითად ამომწურავ მონესრიგებას.

სხვა ქვეყნების სამოქალაქო კოდექსები, ანესრიგებს რა ვალდებულებითი ხელშეკრულების ისეთ სახეს, როგორცაა მომსახურების ხელშეკრულება, მოიცავს შრომის სამართლისათვის მნიშვნელოვან ზოგად-აბსტრაქტულ პრინციპებს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შრომითი ხელშეკრულების რამდენიმე ვალდებულებით სამართლებრივ პროტოტიპს ითვალისწინებენ, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შრომის სამართლის სპეციალურ კანონებში მონესრიგება. ასე მაგალითად:

საფრანგეთში 1884 წელს მიღებული პროფესიული გაერთიანებების (*liberté d'association professionnelle*) და 1898 წლის შრომის დაცვის შესახებ კანონებით საფუძველი ჩაეყარა შრომითი ურთიერთობების სპეციალური კანონმდებლობით მონესრიგებას. 1910 წლიდან შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნებსები ძირითადად თავმოყრილია შრომის კოდექსში (*Code du Travail, CT*), თუმცა პარალელურად მოქმედებს ცალკეული შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი სპეციალური კანონები;

ესპანეთში 1980 წელს მიღებული იქნა სპეციალური კანონი (*Estatuto de los Trabajadores, ET*), რომლის შემუშავების მიზანს შრომის სამართლის 1889 წლის სამოქალაქო კოდექსის (*Código civil*) მოქმედების სფეროდან გამოტანა და ამომწურავი მონესრიგება წარმოადგენს;

* სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, თსუ-ის პროფესორი.

** „ჯეპლაკის“ დირექტორის მოადგილე სამართლებრივ საკითხებში.

GEPLAC ACTIVITIES

Draft Labour Code of Georgia and some Basic Principles of Labour Law in Continental European Countries

LEONIDE ADEISHVILI*†
DAVID KERESLIDZE**

This introduction focuses on some basic principles that characterise employment contracts and employment relations reflected in the general and individual parts of the draft Labour Code. There is also a short historical background concerning the draft and some of the drafting working group's deliberations.

1. Regulation of Employment Relations in the Continental European Countries

Continental European countries have chosen different ways to regulate employment relations. For example:

Articles 2060-2135 of Book 5 of the 1942 Civil Code of Italy (*Codice civile, Cc*) contain general provisions regulating labour law;

Title Ten (in effect since 1972) of Book 5 on the Law of Obligations (*Obligationenrecht, OR*) of the 1911 Swiss Civil Code regulates contractual labour law;

Title Ten (in effect since 1997) of Book 3 of the 1992 New Dutch Civil code (*Nieuw Nederlands Burgerlijk Wetboek, NBW*) provides for exhaustive regulation of individual employment relations.

Civil Codes in other countries by regulating specific contractual regimes, like the service contract, cover general-abstract principles concerning labour law. While these codes include several prototypes of employment contracts in the law of obligations, special laws govern employment relations. For example:

In France, by adopting the laws on trade unions (*liberté d'association professionnelle*) in 1884 and labour protection in 1898 the regulation of employment relations by special legislation has been initiated. Since 1910 the rules regulating employment relations are gathered in the Labour Code (*Code du Travail, CT*). However, there are special laws regulating certain employment relations as well;

Spain adopted a special law (*Estatuto de los Trabajadores, ET*) in 1980 that separated labour law from the scope of application of the Civil Code (*Código civil*) of 1889 and regulated it exhaustively;

* Head of the Working Group, Professor of the Tbilisi State University.

** Deputy Director of GEPLAC for Legal Issues.

პოსტსაბჭოური ქვეყნები საბჭოთა კავშირის სამართლებრივ სივრცეში დამკვიდრებული ტრადიციის ერთგულნი დარჩნენ და, შესაბამისად, ახალი შრომის კოდექსები შემუშავებულ იქნა აზერბაიჯანში, რუსეთში, ყაზახეთსა და სხვა სახელმწიფოებში.

ამ ქვეყნებისაგან განსხვავებით, გერმანიაში შრომის კოდექსის თუ ინდივიდუალური შრომიის სახელშეკრულებო ურთიერთობების მომწესრიგებელი ერთიანი კანონის (*Arbeitsvertragsgesetz*) მიღების ყველა მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. შედეგად, შრომითი ურთიერთობების ცალკეული საკითხის მონესრიგება სამოქალაქო კოდექსის (*Bürgerliches Gesetzbuch, BGB*) მომსახურების ხელშეკრულების § 11-ე და შემდგომი პარაგრაფების, სპეციალური კანონებისა და სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით მიიღწევა.

2. საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზა

საქართველოში შრომით სამართლებრივ ურთიერთობებს ანესრიგებს 1973 წლის 1 ოქტომბრის შრომის კანონთა კოდექსი, რომელშიც ძირეული ცვლილებები შეტანილ იქნა, უპირველეს ყოვლისა, 1997 წლის 12 ნოემბრის კანონით „საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“. გარდა ამისა, დამატებითი საკანონმდებლო ბაზა განისაზღვრება მთელი რიგი სპეციალური კანონებით, როგორცაა, მაგალითად, კანონები „პროფესიული კავშირების შესახებ“, „კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ“ და „კოლექტიური შრომითი დავის მოწესრიგების წესის შესახებ“.

1997 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსში – ზოგიერთი მკვლევრის მიერ გამოთქმული მოსაზრების მიუხედავად – არ იქნა ინტეგრირებული ნიგნი შრომის სამართლის შესახებ. შესაბამისად, შრომითი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ახალი კანონისა თუ კოდექსის მიღება კვლავაც აქტუალური რჩება. მისი მეშვეობით უნდა მოხდეს თანამედროვე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქმედი, წესების დამკვიდრება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული შრომის კოდექსის პროექტი სწორედ არსებული საკანონმდებლო ვაკუუმის შევსებას ემსახურება.

3. „ჯეპლაკის“ მონაწილეობა შრომის კოდექსის პროექტის შემუშავებაში

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2001 წლის 12 აპრილის № 01/05-243 წერილისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2001 წლის 28 მაისის № 8-09/515 შუამდგომლობის საფუძველზე, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის („ჯეპლაკი“) სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულ იქნა კონსულტაციების განევა შრომის სამართლის სფეროში. კერძოდ, „ჯეპლაკს“ დაევალა სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული შრომის კოდექსის პროექტის ანალიზი, მისი ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ეუთობით.

2001 წლის 12 ოქტომბერს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და „ჯეპლაკის“ მიერ მოეწყო ერთობლივი სემინარი „საქართველოს შრომის კოდექსის პროექტის შესახებ“. სემინარზე გამართული დისკუსიის შედეგები აისახა წინამდებარე პროექტში, რომლის სამუშაო ვარიანტსაც წარმოგიდგენთ საჯარო განხილვისათვის.

Post-soviet countries have kept the tradition established within soviet legal space and thus new labour codes were adopted in Azerbaijan, Russia, Kazakhstan and other states.

One contrasting country is Germany. All efforts to adopt a labour code or a single law regulating the contractual labour relations (*Arbeitsvertragsgesetz*) have failed. Instead, the more general rules on service contracts of § 611 *et seq.* of the Civil Code (*Bürgerliches Gesetzbuch, BGB*), special laws and legal practice regulate employment relations.

2. Legislative Framework Existing in Georgia

Employment relations in Georgia are regulated by the old soviet Labour Code of 1 October 1973. However, fundamental changes were made to it, mainly, by Law of 12 November 1997 on Changes and Amendments to the Georgian Labour Code. There are also special laws that provide the regulations for some specific employment relations, such as Laws on Trade Unions, on Collective Bargaining and on the Rule of Settlement of Collective Labour Dispute.

The Book on labour law was not incorporated into the Civil Code of 1997 notwithstanding the views expressed by some scholars. Thus, the issue of adopting a new law or code to regulate employment relations remains pressing. Such a code would establish modern rules applicable under market economy conditions.

The draft Labour Code prepared by a working group established at the Ministry of Labour, Healthcare and Social Affairs (working group) is the attempt to do such.

3. GEPLAC Participation in the Elaboration of the Draft Labour Code

Based on a letter No.01/05-243 of 12 April 2001 from the Ministry of Labour, Health and Social Affairs and an application No.8-09/515 of 28 May 2001 of the Ministry of Foreign Affairs, rendering of advice in the field of labour law was envisaged in the work plan of Georgian-European Policy and Legal Advice Centre (GEPLAC). Specifically, GEPLAC analysed the draft Labour Code, prepared by the working group with a view to its compatibility with EU legislation.

On 12 October 2001 the Ministry of Labour, Health and Social Affairs and GEPLAC held a joint seminar on the Draft Georgian Labour Code. Some of the results of the discussion are reflected in the draft code that is now available for public discussion.

4. ინდივიდუალური ნაწილის (ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობების) სტრუქტურა

დამკვიდრებული ტრადიციისამებრ ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებას წინ უძღვის „ზოგადი დებულებანი“ შრომითი ურთიერთობის მოწესრიგებაში კოდექსის ადგილის, ისევე როგორც შრომის სამართლის ზოგადი საფუძვლების, განსაზღვრის მიზნით.

ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებისას შეიძლება, რომელიც ზოგად-აბსტრაქტულ ცნებათა სისტემის პრინციპების დაცვით, თანმიმდევრულად აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობიდან მის შეწყვეტამდე არსებულ ურთიერთობებს. პროექტის ავტორებმა უარი თქვეს შრომითი ურთიერთობების საბჭოური სისტემისათვის დამახასიათებელ არასთანმიმდევრულ მოწესრიგებაზე, რომლის დროსაც, მაგალითისათვის, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მოწესრიგება წინ უსწრებდა საქშუაო და დასვენების დროს, ისევე როგორც შრომის ანაზღაურების შესახებ, დებულებებს.

გამომდინარე იქიდან, რომ დაშქირავებულსა და დაქირავებულს შორის შრომითი უფლებ-მოვალეობანი წარმოიშობა მათ მიერ დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე (ცალკეულ შემთხვევაში – მისი მომზადების სტადიაზე), კოდექსის სისტემაში თანმიმდევრულად აისახა წინასახელშეკრულებო ურთიერთობის დროს და შემდგომ შრომითი ხელშეკრულების დადების საფუძველზე წარმოშობილი მხარეთა უფლებ-მოვალეობები.

გამონაკლისი წარმოადგენს დაქირავებულის კონსტიტუციით გარანტირებული ზოგიერთი უფლება და თავისუფლება, როგორცაა: შრომის თავისუფლება, გაერთიანებისა (თანაბრო-ერტყულება ასევე დამქირავებულზე) და გაფიცვის უფლებები (საქართველოს კონსტიტუციის 30-ე, 26-ე და 33-ე მუხლები). ისინი კოდექსის ზოგად დებულებებში აისახა შრომითი ურთიერთობის არსის განმსაზღვრელ მხარეთა სხვა უფლებებსა და მოვალეობებთან ერთად, რომლებიც შემდგომ ცალკეულ თავებში დაკონკრეტებასა და გაერცობას პოვებენ.

5. მოქმედების სფერო

კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართალში ჩვენ ვერ ვხვდებით შრომის სამართლის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტების მოქმედების სფეროს ზოგად განსაზღვრებებს. შესაბამისი ნორმატიული აქტის მოქმედების სფეროს განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება უშუალოდ ის განმსახვავებელი ნიშან-თვისებანი, რაც შრომითი ურთიერთობას მიჯნავს ზოგადად ვალდებულებითი ურთიერთობისაგან. შრომითი ურთიერთობების ცალკე კანონსა თუ კოდექსში მოწესრიგება ხომ უშუალოდ იმ სპეციფიკიდან მომდინარეობს, რომელიც ასეთ ურთიერთობას სამოქალაქო კოდექსით რეგულირებული ურთიერთობებისაგან განასხვავებს. შესაბამისად, ცალკეულ ქვეყანაში მოცემული შრომითი ხელშეკრულების (მაგ., OR-ის 319-ე მუხლი) თუ დაქირავებულის ცნების (მაგ., ET-ის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილი) განმარტება ზოგადად შრომის სამართლის სპეციფიკისა და, შესაბამისად, მისი მომწესრიგებელი ნორმატიული აქტების (პირთა წრის მიხედვით) მოქმედების სფეროს განმსაზღვრელადაც უნდა მივიჩნიოთ.

პროექტის ავტორებმაც მსგავსი გზა აირჩიეს და შესაბამისად, პროექტის 1-ლი მუხლი შეიცავს მითითებას შრომითი ურთიერთობაზე, რომელიც წარმოიშობა შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე (პროექტის მე-2 მუხლი) და რომლის გამიჯვნაც სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებისაგან დაქირავებულის და, განსაკუთრებით, დაქირავებულის შრომის სამართლისათვის ცენტრალური ცნებების მეშვეობით მიიღწევა (პროექტის მე-4 მუხლი).

4. Structure of Individual Part (Individual Employment Relations)

Traditionally "general provisions" precede the regulation of individual employment relations. Such provisions specify the scope of application of the code and the general basics of employment relations.

For individual employment relations a system was chosen that, following the principles of the system of general-abstract concepts sequentially regulate the employment relations from their origination until their termination. The authors of the draft rejected the disorderly regulation that characterized the soviet system when, for example, the termination of an employment contract preceded the provisions on working time and rest period, as well as remuneration for work.

Given that the labour rights and duties between an employer and employee originate with a conclusion of employment contract (in exceptional cases at the stage of its preparation), the rights and duties of the parties originating during pre-contractual relations and those arising after the conclusion of an employment contract were sequentially reflected in the structure of the code.

There are exceptions in terms of rights and freedoms guaranteed by the Constitution such as freedom of labour, freedom of association and right to strike (Articles 30, 26 and 33 of the Georgian Constitution). They are reflected in the general provisions of the code together with other rights and duties of the parties particularly characterising the essence of employment relation that are further concretised and explored in separate chapters.

5. Scope of Application

The legislations of continental European countries do not provide a specific definition of the scope of normative acts regulating labour law. However, when defining the scope of application of the respective normative act, account should be taken of the differentiating characteristics that generally distinguish the employment relations from other relations in the law of obligations. The regulation of employment relations by a separate law or code is due to their specific character, which distinguishes them from relations regulated under a civil code. Consequently, a definition of an employment contract (e.g. Article 319 OR) or of an employee in any country should be considered as a specificity of labour law in general and thus of the scope of its regulatory normative acts (according to a group of persons).

The authors of the draft Labour Code chose a similar way. Thus, Article 1 of the draft contains a reference to employment relations as originating on the basis of an employment contract (Article 2) and separation of which from other contractual relations is achieved through the concept of an employer and especially an employee that are central for labour law (Article 4).

პროექტის 1-ლი მუხლით განისაზღვრა შრომითი კოდექსის ადგილი შრომითი ურთიერთობების მონესრიგებაში. ამასთან, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით ქართულ სამართალში დამკვიდრებული სპეციალური კანონების უპირატესი გამოყენების ხაზგასმა უფრო ზოგად კანონებთან მიმართებით (რაც არ დამკვიდრდა სხვა არცერთ პოსტსაბჭოურ სამართლის სისტემაში). ამგვარად, ის ურთიერთობები, „რომლებიც განსხვავებულად არ არის მონესრიგებული სპეციალური სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით“, ექცევა შრომის კოდექსის მოქმედების სფეროში. ხოლო „შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის ნორმებით“.

6. შრომის სამართლის წყაროები

კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში მიზანშეწონილად არ მიიჩნევა ნორმატიული აქტების იერარქიის განმეორებითი მონესრიგება ცალკეულ კანონებში. იგი, როგორც წესი, მხოლოდ კონსტიტუციით განისაზღვრება. ხოლო საქართველოში, კონსტიტუციის გარდა, „ნორმატიული აქტების შესახებ“ სპეციალური კანონიც კი იქნა შემუშავებული. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ავტორებმა ასეთი ჩამონათვალის გაკეთება მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს, ისინი ნაწილობრივ გამოხვამაურნენ საქართველოში დამკვიდრებულ ტრადიციას და შრომითი ურთიერთობების მიმართ მოქმედი სამართლის ნორმების ისეთი ნუსხა წარმოადგინეს, რომელიც დამატებით იურიდიულ დატვირთვას იძენს. მასში აისახა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში გავრცელებული – მაგ., ET-ის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის მსგავსი – მითითებაც შრომის სამართლის ისეთ დამატებით წყაროზე, როგორცაა კოლექტიური ხელშეკრულება (პროექტის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი).

7. შრომითი ხელშეკრულება, როგორც შრომითი ურთიერთობის საფუძველი

შრომითი ურთიერთობის საფუძველია შრომითი ხელშეკრულება, რომელიც ვალდებულებითი ხელშეკრულების სპეციალური სახეა. მისი განსაკუთრებულობა მდგომარეობს ხელშეკრულების მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებაში, რადგანაც კერძო სამართლისათვის ფუძემდებლური მხარეთა თანასწორობის პრინციპი ხელშეკრულების დადების მომენტბიდან გარკვეულ მოდიფიცირებას განიცდის. კერძოდ, დაქირავებული ექცევა დამქირავებლის ნების ზეგავლენის ქვეშ, დამოკიდებული ხდება მის მითითებებზე და მის მიერ განსაზღვრულ ორგანიზაციულ პირობებზე.

ფრანგულ სამართალში გაბატონებული განმარტების თანახმად, შრომითი ხელშეკრულება განსხვავდება სხვა ვალდებულებითი ხელშეკრულებისგან იმით, რომ დაქირავებული კისრულობს ვალდებულებას, პირადად შესასრულოს სამუშაო დაქვემდებარებულ მდგომარეობაში (*lien de subordination*). უკანასკნელი ნიშანი (დაქვემდებარებული მდგომარეობა) მოიცავს დაქირავებულის ვალდებულებას, დაექვემდებაროს დამქირავებლის მითითებებს და, შესაბამისად, შესასრულოს ანაზღაურებადი სამუშაო ამ უკანასკნელის მიერ დადგენილ შრომით რეჟიმში (CT-ის L.121-1 და შემდგომი მუხლები). აღნიშნული განმარტება აღიარებულია ზოგადად კონტინენტური ევროპის სამართლებრივ სისტემაში (მაგ.: ET-ის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილი, CC-ის 2094-ე მუხლი, გერმანიაში – *Schaub, Arbeitsrechtshandbuch*, § 8, *RdNr. 1 ff.*; *Hueck/Nipperdey, Lehrbuch des Arbeitsrechts*, § 9 II).

სწორედ დაქირავებულს, როგორც ხელშეკრულების უფრო დაუცველ მხარეს, იცავს შრომის სამართალი, რომელიც მისთვის დაცვის მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომელთა შეცვლა-მოდიფიცირება მხოლოდ დაქირავებულის სასარგებლოდ არის დასაშვები (მაგ.: ET-ის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილი, მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის მე-6 მუხლი).

Article 1 defines the place of the labour code in the regulation of employment relations. Moreover, it was found reasonable to underline the principle set forth by Article 2 II of the Civil Code that special laws take precedence over rather general laws (no post-soviet legal system has done so). Thus, relations "that are not otherwise regulated by the law regulating special legal relations or by international treaty of Georgia" shall fall within the scope of the Labour Code. As for the "issues related to employment relations not regulated by this Code and other special legislation, rules of the Civil Code shall be applicable".

6. Sources of Labour Law

In the legal systems of continental European Countries it is not considered appropriate to regulate repeatedly the hierarchy of normative acts in individual legal acts. As a rule, this happens in the constitution. In Georgia, apart from the Constitution, a special law on Normative Acts addresses this issue. Although the authors of the draft did not consider it reasonable to make such a list, they partly responded to established tradition in Georgia and presented a list of legal norms applicable to employment relations in a way that acquires additional legal meaning. It contains a reference to additional source of labour law such as collective agreement (Article 2.2) widespread in continental European countries, which is similar e.g. to Article 3.1 ET.

7. Employment Contract as a Basis for Employment Relations

An employment contract is the basis of employment relations. It is a special form of contract under the law of obligations. Its peculiarity lies in the legal relation between the parties to a contract, because the principle of equality of parties, which is fundamental to private law, undergoes certain modifications from the moment of the conclusion of a contract. Namely, an employee is under the impact of an employer's will and depends on the latter's instructions and working conditions set by him.

According to the definition in French law, an employment contract differs from a contract under law of obligations as an employee assumes an obligation to personally perform work in a subordinated position (*lien de subordination*). This peculiarity (subordinated position) involves an employee's obligation to follow the employer's instructions and thus perform paid work in working conditions set by the latter (L.121-1 et seq. CT). This definition is dominant in continental European countries (e.g. Article 1.1 ET, Article 2094 Cc, in Germany: *Schaub, Arbeitsrechtshandbuch*, §8, RdNr. 1 et seq.; *Hueck/Nipperdey, Lehrbuch des Arbeitsrechts*, §9 II).

The employee, as a less protected party to a contract, is protected by labour law, which sets minimum standards for his protection. Modification of these standards shall be acceptable only for the benefit of an employee (e.g. Article 3.1 ET, Article 6 of Labour Code in force).

პროექტის ავტორებმა გაიზიარეს ასეთი ხედვა და, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნიეს სათანადო მითითების გაკეთება უშუალოდ ზოგად დებულებებში (მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი).

8. ხელშეკრულების დადების თავისუფლება

შრომითი ურთიერთობის წარმოშობისას, როგორც წესი, კერძოსამართლებრივი ურთიერთობებისათვის ფუძემდებლური ყველა თავისუფლების შენარჩუნება ხდება. ხელშეკრულებას მხარეები დებენ ნების თავისუფალი გამოკლების საფუძველზე (საბჭოთა სამართლისაგან განსხვავებით, გამოცემულია რომელიმე მხარის იძულება ხელშეკრულების დადებაზე). თუმცა ამავდროულად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ნებისმიერი დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნა, რომელიც უშუალოდ კონსტიტუციიდან მომდინარეობს (თანასწორობის პრინციპი). დისკრიმინაციის აკრძალვას ითვალისწინებს როგორც პროექტის ზოგადი (მე-5 მუხლი), ისე წინასახელშეკრულებო ურთიერთობების მომწესრიგებელი დებულებები (მაგ., მე-19 მუხლი).

მიუხედავად იმისა, რომ კონტინენტური ევროპის ქვეყნების შრომის სამართალში შესაძლებელია, დამქირავებლის ხელშეკრულების დადების თავისუფლება შეიზღუდოს განსაზღვრული ფორმით დაქირავებულთა შერჩევისას (საფრანგეთში ისეთ ორგანიზაციაში, რომელშიც 20-ზე მეტი დაქირავებულია, სავალდებულოა შეზღუდული შესაძლებლობების პირის დასაქმება), პროექტის ავტორებმა ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მიიჩნიეს რაიმე გამონაკლისის დანახება. შესაბამისად, ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ კანონით, განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები და ეს შეიძლება, სპეციალური კანონის მეშვეობით განსაზღვროს.

9. ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება

ხელშეკრულების პირობები, რომლებზეც მხარეები თანხმდებიან, ასევე მათი შეხედულები-სამებრ განსაზღვრება და გასათვალისწინებელია მხოლოდ კანონით ან კოლექტიური ხელშეკრულებით განმტკიცებული მინიმალური დაცვის სტანდარტები. ამასთან, კანონით ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა, ანუ, მაგალითად, იმ პირობების განსაზღვრა, რომელთაც ხელშეკრულება აუცილებლად უნდა მოიცავდეს, ემყარება უშუალოდ მხარეების, უპირველეს ყოვლისა, დაქირავებულის ინტერესებს (პროექტის 24-ე-33-ე მუხლები).

10. ხელშეკრულების ფორმის თავისუფლების შეზღუდვა

ვალდებულებითი სამართლის ხელშეკრულების ფორმის თავისუფლების პრინციპი, როგორც წესი, მოქმედებს კონტინენტური ევროპის ქვეყნების შრომის სამართალშიც, თუმცა გარკვეული შეზღუდვებით. ასე მაგალითად, საფრანგეთსა და ესპანეთში უვადო ხელშეკრულების დადების პრეზუმფცია (მაგ., ესპანეთის *Sentencia del Tribunal Supremo, Aranzadi, Repertorio de Jurisprudencia, 1989, 4547*) განაპირობებს წერილობითი ფორმის აუცილებლობას ვადიანი და შეთავსებითი შრომითი ხელშეკრულებებისათვის. ესპანეთის კანონმდებლობით წერილობითი ფორმა სავალდებულოა ასევე პრაქტიკის, სამუშაოს სახლში მსერულებისა და გამოსაცდელი ვადის შესახებ შეთანხმების შემთხვევებშიც. ნიდერლანდებში NBW-ის 7:655-ე მუხლით განსაზღვრული შრომითი ურთიერთობისათვის არსებითი მონაცემების დაქირავებულისათვის წერილობით მეტყობინების გარდა, სავალდებულოა წერილობითი ფორმის დაცვა, აგრეთვე, ხელშეკრულებაში

The authors of the draft shared this opinion and proceeding from its significance found reasonable to make appropriate reference directly in general provisions (Article 2.3).

8. Freedom to Enter into a Contract

Usually, all freedoms fundamental in private legal relations are maintained in employment relations. Parties conclude a contract on the basis of free expression of will (declaration of intention). Unlike soviet law, neither party can be forced to conclude a contract. However, the requirement to prohibit any kind of discrimination, deriving directly from the constitution (principle of equality) should be taken into account. The general provisions (Article 5) as well as provisions regulating pre-contractual relations (e.g. Article 19) set out the principles of non-discrimination.

However, under the labour law of continental European countries freedom of an employer to enter into a contract in selection of employees can be restricted in certain cases. In France, for example, it is obligatory to employ a handicapped person in a company with more than 20 employees. The authors of the draft considered it inexpedient at this stage to set any exception. Restriction of freedom to enter into a contract is acceptable only in exceptional cases and should be defined by a special law.

9. Freedom to Shape Conditions of Contract

The conditions of a contract agreed upon by the parties are defined to their point of view and only minimum protection standards stipulated by a law or collective agreement is taken into account. Moreover, any restriction of freedom to shape the conditions of a contract under law or, for instance, to determine the conditions that a contract should necessarily contain, should be based upon the interests of the parties, especially the employee (Articles 24-33).

10. Restriction of Freedom of (Contract) Form

The principle of freedom of (contract) form applicable in the law of obligations, as a rule, applies in the labour law of continental European countries. However, there are some restrictions. For example, the presumption of a conclusion of contract with unlimited term in France and Spain (e.g. Spanish *Sentencia del Tribunal Supremo, Aranzadi, Repertorio de Jurisprudencia, 1989, 4547*) leads to the necessity of a written form for fixed term and part-time contracts. Under Spanish law, a written contract is obligatory for training, working from home and for probation periods. In the Netherlands, besides notifying an employee in writing with information essential for employment relations as stipulated by Article 7:655 NBW, this also applies to an agreement to forfeit (Article 7:650 NBW) and

პირგასამტეხლოს (NBW-ის 7:650-ე მუხლი) ან კონკურენციის აკრძალვის შესახებ (NBW-ის 7:653-ე მუხლი) შეთანხმების შემთხვევაში იტალიაში CC-ის 2096-ე მუხლი წერილობითი ფორმის დაცვას სავალდებულოდ მიიჩნევს შრომითი ხელშეკრულების გამოსაცდელი ვადით დადების შემთხვევაში.

წარმოდგენილ პროექტში, სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების შრომის კოდექსების მსგავსად, სავალდებულოა შრომის ხელშეკრულების წერილობითი დადება. ამასთან, უმნიშვნელოვანეს პრინციპს აყალიბებს პროექტის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც შრომითი ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება წერილობითი ფორმის დაუცველადაც, „თუ დაქირავებულმა დამქირავებლის თანხმობით ფაქტობრივად შეუდგა მუშაობას“.

ყურადღებას იმსახურებს ხელშეკრულების ენა. CT-ის L. 121-1 მუხლის (1994 წლის 4 აგვისტოს მდგომარეობით) მოთხოვნა – ხელშეკრულება დადებულიყო ფრანგულ ენაზე, ანტიკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული საფრანგეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (*Conseil Constitutionnel, 29.07.1994, 94-345 DC*). შესაბამისად, პროექტით თუმცა გათვალისწინებულია შრომითი ხელშეკრულების დადება სახელმწიფო ენაზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარე არ ფლობს სახელმწიფო ენას, იგი უნდა დაიდოს, აგრეთვე, მისთვის გასაგებ ენაზეც და ორივე ეგზემპლარს ენიჭება თანაბარი იურიდიული ძალა“ (28-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

შრომითი ხელშეკრულების დადების დროს არსებული ნაკლი (ბათილობის საფუძველი), სამოქალაქო სამართალში მოქმედი ზოგადი პრინციპისაგან განსხვავებით, არ ხდის ხელშეკრულებას თავიდანვე, ანუ დადების მომენტიდან, ბათილად, არამედ იგი ძალადაკარგულად ჩაითვლება მხოლოდ ბათილობის საფუძვლის გამოვლენის მომენტიდან. ამასთან, დაქირავებულს არ კარგავს განუღიო სამუშაოსათვის გასამრჯელოს მიღების მოთხოვნის უფლებას (მაგ.: OR-ის 320-ე მუხლის მე-3 ნაწილი, ET-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი).

11. ვადიანი ხელშეკრულება

შრომითი ხელშეკრულება, როგორც წესი, უნდა დაიდოს განუსაზღვრელი ვადით (CT-ის L. 121-5 მუხლი). განსაზღვრული ვადით ხელშეკრულების დადება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ, კანონით ამომწურავად განსაზღვრულ, შემთხვევებში. აღნიშნული საფრანგეთში CT-ის L. 122-1 – 122-3-17 მუხლების, ესპანეთში ET-ის მე-15 მუხლის, ხოლო გერმანიაში 2001 წლიდან ძალაში შესული შეთავსებითი და ვადიანი ხელშეკრულებების შესახებ კანონის (*Teilzeit- und Befristungsgesetz*) §14-ის სათანადო ჩამონათვალის მეშვეობით ხორციელდება.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა ვადიანი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის საკმაოდ ვრცელ სექტორს ითვალისწინებს. კერძოდ, იგი ცალკეულ ქვეყანაში ნებადართულია სხვა დაქირავებულთა შეცვლის მიზნით (პირის სამხედრო სამსახურში განუვების თუ მშობიარობასთან დაკავშირებული შეუვლებლის დროს), დროებითი ამოცანის შესასრულებლად, ან ბაზარზე მექანიზმი განსაკუთრებული მდგომარეობიდან გამომდინარე და ა.შ. ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში ყოველგვარი დამატებითი საფუძვლის არსებობის გარეშეც შესაძლებელია ვადიანი ხელშეკრულების დადება, თუ იგი დასაქმების პრობლემის გადაჭრის ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება.

წარმოდგენილი პროექტის 34-ე მუხლი სწორედ ამ პრინციპის დანერგვას ისახავს მიზნად: შრომითი ხელშეკრულება იდება განუსაზღვრელი ვადით, მისი დადება განსაზღვრული ვადით დაიშვება მხოლოდ კანონით ამომწურავად მონესრიგებულ შემთხვევებში.

prohibit competition (Article 7:653 NBW) in the contract. In Italy Article 2096 Cc states that probationary periods should be subject to a written contract.

The Georgian draft, like labour codes of other post-soviet countries, states that an employment contract must be concluded in written form. However, Article 28.2 lays down a significant principle that contracts without a written form shall be deemed as concluded, "if an employee has actually started work with the employer's consent".

The language of a contract deserves attention. In France, the requirement of Article L. 121-1 CT (as of 4 August 1994) on the conclusion of a contract in the French language was considered as unconstitutional under the Decision of the Constitutional Court of France (*Conseil Constitutionnel, 29.07.94-345 DC*). The draft provides for a conclusion of a contract in the state language, but if a party to the contract does not know the state language, it "shall be concluded also in a language acceptable for the latter and both copies shall have equal legal force" (Article 28.1).

Deficiency (grounds for nullity) at the time of concluding an employment contract, unlike the general principle applicable in civil law, does not make the contract void from the beginning i.e. upon its conclusion. It should be considered void only when the grounds are revealed. Moreover, the employee does not lose the right to require remuneration for the work performed (e.g. Article 320.3 OR, Article 9.2 ET).

11. Fixed Term Contracts

As a rule, employment contracts are concluded without time limits. A fixed term contract is possible only in special cases exhaustively stipulated by the law. This is provided in France by Articles L. 122-1-122-3-17 CT, in Spain by Article 15 ET and in Germany by the relevant list in § 14 of the Law on Part-Time and Fixed Term Contracts (*Teilzeit- und Befristungsgesetz*) enacted in 2001.

However, the legislation of continental European countries provides for quite a broad spectre of possibility of conclusion of fixed term contracts. Some countries allow concluding such contracts in order to replace other employees (in the case of military service or maternity leave), to fulfil temporary tasks or due to extraordinary situations in the market. In some countries, even without any additional grounds, conclusion of a fixed term contract is possible if it is carried out for the purpose of supporting the solution of employment-related problem.

Article 34 of the draft aims at incorporation of this very principle. An employment contract shall be concluded with unlimited term, it can be concluded with a fixed term only in cases exhaustively regulated by law.

12. დაქირავებულის ძირითადი ვალდებულებები

დაქირავებულის ძირითადი ვალდებულებაა, გულმოდგინედ შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული სამუშაო დაქვემდებარებულ მდგომარეობაში (პროექტის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი). ეს ვალდებულება ერთნაირად მოქმედებს ყველა სახისა და შინაარსის შრომით ურთიერთობაში. დაქირავებულის ცნების უმნიშვნელოვანესი ელემენტი – „დაქვემდებარებული მდგომარეობა“ (*lien de subordination, dipendenza, Unterordnungsverhältnis*) – არსებითად განაპირობებს შრომითი ურთიერთობის შინაარსს და მიჯნავს მას სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებისაგან. ამასთან, დაქირავებულს ეკისრება სამუშაოს პირადად შესრულებისა და დაქირავებულისადმი ლიიალობის ვალდებულებები.

დაქირავებული ვალდებულია, შეასრულოს სამუშაო გულმოდგინედ (მაგ.: OR-ის 321a მუხლის 1-ლი ნაწილი, CC-ის 2104-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), გამოეღიწოს მხარეების მიერ სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელ პირობად მიჩნეული პროფესიული ჩვევები და უნარი (პროექტის მე-40 მუხლი), რადგანაც სწორედ ამ კონკრეტულ გარემოებებზე ამყარებულია დაქირავებული თავის ნების გამოვლენას ხელშეკრულების დადების დროს. ესპანეთის სპეციალური კანონი დაქირავებულს „ბეჯითად“ (*diligencia*) მუშაობისა და „პროფესიული“ ზრდის ხელშეწყობის“ ვალდებულებებსაც კი აკისრებს (ET-ის მე-5 მუხლი).

დაქირავებული ვალდებულია, სამუშაო შეასრულოს პირადად (მაგ.: OR-ის 320-ე მუხლის მე-3 ნაწილი, BGB-ის §613), თუმცა, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია, იგი მესამე პირის მიერ იქნეს შესრულებული (პროექტის 38-ე მუხლი). შრომითი ურთიერთობის ამგვარი მოდიფიცირება მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული.

სამუშაო ჯგუფმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია, რომ ლიიალობის ვალდებულება (მაგ.: OR-ის 321a მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილი, CC-ის 2105-ე მუხლი) დაქირავებულის ძირითად ვალდებულებად განხილულიყო. ის, რომ თავისი ვალდებულებების შესრულებისა და დაქირავებულმა უნდა იხელმძღვანელოს ლიიალობის პრინციპით, – მაგ., არ შეასრულოს სამუშაო მესამე პირის (განსაკუთრებით კონკურენტის) სასარგებლოდ, შეინახოს საწარმოო საიდუმლო, ნოუ-ჰაუ (მაგ. გათვალისწინებულია OR-ის 321a მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილი), – წარმოადგენს მის მნიშვნელოვან, თუმცა დამატებით, ვალდებულებას (პროექტის 41-ე მუხლი).

13. დაქირავებულის მითითების უფლება

ის, თუ როგორ უნდა შეასრულოს სამუშაო დაქირავებულმა, ძირითადად ცალმხრივად განისაზღვრება დაქირავებულის მიერ მისი მითითების უფლების გამოყენებით (მაგ.: *Weisungen* OR-ის 32 f მუხლის 1-ლ ნაწილში, *direzione* CC-ის 2094-ე მუხლში, გერმანიაში *Weisungsrecht*, *BAG NJW 1996, 1770*). დაქირავებულის დაქვემდებარებული მდგომარეობა ავალდებულებს მას, დაემორჩილოს დაქირავებულის მითითებებს და ორგანიზაციაში მოქმედ სპეციალურ წესებს.

ამასთან, მას უნდა გააჩნდეს რეალური შესაძლებლობა, გაეცნოს ორგანიზაციაში მოქმედ ყველა, მათ შორის კოლექტიური ხელშეკრულებით განსაზღვრულ, მოთხოვნას ჯერ კიდევ ხელშეკრულების დადებამდე. საფრანგეთში 1982 წლიდან არსებობს წესი, რომლის თანახმადაც, ორგანიზაცია, რომელშიც 20-ზე მეტი დაქირავებულია დასაქმებული, ვალდებულია, იქონიოს ჰიგიენის, უსაფრთხოებისა და დისციპლინის ნორმების განმსაზღვრელი სპეციალური დებულება – შინაგანწესი (CT-ის L.122-33 მუხლი). ასევე, ნიდერლანდურ სამართალშიც მოქმედებს სპეციალური წესები, ე.წ. რეგლამენტები (*reglementen*), რომლებიც თავიანთი შინაარსით საბჭოთა თუ მოხსენიებული კანონმდებლობებში მოწესრიგებულ შრომის

12. Employee's Main Obligations

An employee's main obligation is to perform the job diligently, in a subordinated position (Article 3.1). This obligation applies equally to all types of employment relations. The fundamental element of the concept of an employee's "subordinated position" (*lien de subordination, dipendenze, Unterordnungsverhältnis*) conditions the content of employment relations and distinguishes it from other relations under the law of obligations. In addition, an employee should perform the work himself (personally) and display a loyal attitude towards his employer.

An employee must perform work diligently (e.g. Article 321.a.1 OR, Article 2104.1 Cc), demonstrate professional customs and skills that are considered by the parties as an essential for the performance of work (Article 40). When concluding a contract an employer bases his expression of will upon these circumstances. In Spain, the employee is obliged to work "diligently" (*diligencia*) and even "promote increasing productivity" (Article 5 ET).

An employee shall perform the work himself (personally) (e.g. Article 320.3 OR and §613 BGB), although subject to the specificity of work, it could be performed by a third party (Article 38).

The working group did not consider the duty of loyalty (e.g. Article 321a.3 and 321a.4 OR, Article 2105 Cc) as an employee's main obligation. The fact that during performance of duties employee must be guided with the principle of loyalty – not to perform work in favour of third party (especially competitor), to keep commercial secrets and expertise (e.g. Article 321a.3 and 321a.4 OR) are important but ancillary obligations (Article 41).

13. Employer's Right to Instruct

How an employee should perform the work is basically stipulated by the application of the employer's right to instruct (e.g. *Weisungen* of Article 321d.1 OR, *Direzione* of Article 2094 Cc also in Germany, *Weisungsrecht, BAG NJW 1996, 1770*). An employee's subordinated position obliges him to obey instructions and special rules applicable within the organisation.

In addition, he should have an opportunity to get familiar with all the requirements applicable within the organisation including ones set by collective agreement already before the conclusion of the contract. In France since 1982, an organisation employing more than 20 employees must have a special charter i.e. internal rules laying down hygiene, safety and disciplinary rules (Article L.122-33 CT). In the Netherlands, so-called regulations (*reglementen*) apply which resemble internal labour rules regulated under soviet or post-soviet legislation. However, since 2000 an employer's right to unilater-

შინაგანანესს ემსგავსებიან. თუმცა 2000 წლიდან მნიშვნელოვნად შეიზღუდა დამქირავებლის უფლება, ცალმხრივად შეცვალოს ასეთი შინაგანანესის დებულებები (NBW-ის 7:613-ე მუხლი).

დაქირავებულს მინიჭებული აქვს სამუშაოსა თუ მითითების შესრულებაზე უარის თქმის უფლება, თუკი აღნიშნული ეწინააღმდეგება კანონს, ან შრომის უსაფრთხოების პირობების შეუსრულებლობის გამო გარკვეულ საფრთხეს უქმნის დაქირავებულის ან მესამე პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ასეთ შემთხვევაში დაქირავებული ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამქირავებელს შესაბამისი გარემოების არსებობის შესახებ. შეტყობინების ვალდებულება ვრცელდება დაქირავებულის ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაზეც (პროექტის 43-ე მუხლი).

14. დამქირავებლის ძირითადი ვალდებულებები

დამქირავებლის ძირითადი ვალდებულებებია: დაქირავებულის სამუშაოთი უზრუნველყოფის, გასამრჯელოს გადახდისა და დაქირავებულზე ზრუნვის ვალდებულება.

14.1 სამუშაოთი უზრუნველყოფის ვალდებულება

დაქირავებულს მისი „პიროვნების თავისუფალი განვითარების“ კონსტიტუციური უფლებიდან (კონსტიტუციის მე-16 მუხლი) და სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპიდან, *pacta sunt servanda*-დან, გამომდინარე, ენიჭება ხელშეკრულების შესაბამისი სამუშაოს მოთხოვნის უფლება (გერმანიაში ე.წ. *Beschäftigungsanspruch – Schaub, Arbeitsrechtshandbuch*, § 110, Rdnr. 1ff.). ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მოთხოვნის უფლება ხელს უწყობს დაქირავებულის პიროვნების განვითარებას, მისი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას.

გარდა ამისა, დამქირავებლის მიერ დაქირავებულის სამუშაოთი უზრუნველყოფის ვალდებულება უშუალოდ განაპირობებს ამ უკანასკნელის გასამრჯელოს მოთხოვნის უფლებას (პროექტის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადება და მე-3 ნაწილი), რადგანაც ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ გაწეული სამუშაო. შესაბამისად, უშუალოდ დაქირავებულის ინტერესშია ის, რომ მან დამქირავებლისაგან მიიღოს სამუშაო, რისი შესრულების შემთხვევაშიც მას ენიჭება გასამრჯელოს მოთხოვნის უფლება.

თუ დამქირავებელი ვერ უზრუნველყოფს დაქირავებულს სამუშაოთი, ანუ მისი ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენისას, დაქირავებულს ეძლევა კომპენსაცია ხელფასის სრული ოდენობით (პროექტის 72-ე მუხლის 1-ლი წინადადება). ამისათვის აუცილებელია, რომ დაქირავებულმა დამქირავებელს შესთავაზოს თავისი სამსახური, ანუ იყოს მზად სამუშაოს შესასრულებლად და იგი არ არის ვალდებული, მოახდინოს იძულებითი გაცდენილი დროის დამატებითი კომპენსაცია (გათვალისწინებულია, მაგ., OR-ის 324 მუხლის 1-ლ ნაწილში, BGB-ის § 615-ის 1-ლ ნაწილში). სამუშაოთი უზრუნველყოფის ვალდებულების შეუსრულებლობა, როგორც წესი, არ წარმოშობს (ვალდებულების შეუსრულებლობისათვის) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, თუმცა ზოგიერთ დაქირავებულს (მაგ. სცენაზე მოღვაწე ხელოვანს) შეიძლება მიენიჭოს ასეთი მოთხოვნის უფლებაც (გერმანიაში: *Schaub, Arbeitsrechtshandbuch*, § 110, Rdnr. 5).

14.2 გასამრჯელოს გადახდის ვალდებულება

დაქირავებულის მიერ სამუშაოს შესრულების ვალდებულებას შეესატყვისება დამქირავებლის გასამრჯელოს გადახდის ვალდებულება. ამასთან, გასამრჯელო მოიცავს ხელფასს და შეიძლება მოიცავდეს დამატებით ანაზღაურებას (პროექტის მე-8 მუხლი).

ally change the provisions of such internal rules (Article 7:613 NBW) has significantly been restricted.

An employee has the right to refuse performance of work or instruction when doing so breaks the law or due to safety conditions, that threatens the employee's or third parties' life or health. In such cases, an employee shall inform the employer immediately. The obligation to inform applies also to the case of an employee's conflict of interests (Article 43).

14. Employer's Main Obligations

An employer's main obligations include the obligation to provide work, remuneration and care for the employee.

14.1 Obligation to Provide Work

Subject to constitutional right "to free personal development" (Article 16 of the Constitution) and one of the key principles of contract law, *pacta sunt servanda*, an employee has the right to demand work congruent with an employment contract (in Germany so called *Beschäftigungsanspruch* – *Schaub, Arbeitsrechtshandbuch*, § 110, RdNr. 1 et seq.). The right to demand work prescribed by an employment contract promotes employee's personal development and increases his/her professional skills.

Moreover, an employer's obligation to provide work to an employee directly leads to the latter's right to demand wages (first sentence of Article 8.2 and Article 8.3), because remuneration depends only on performed work. Thus, it is in the employee's interest to obtain work from an employer after performing of which he/she acquires the right to demand wages.

2. Draft Law on Changes and Amendments to the Law on Auditing Activity

This draft seeks to improve the legislative framework regulating auditing activity and its organizational arrangement. There will now be mandatory essential elements to an auditor's report. Draft provides the definitions of a false audit, how to deal with companies that have majority state ownership, and grounds to refuse to carry out audit.

The notion of an audit is more precise and there are now mandatory elements to an audit. The draft introduces the concept of a false audit. This is an audit conducted without a proper auditing procedure or where it contradicts to the documentation submitted to the auditor. It will be up to a court to decide whether an audit is true or false.

An audit is now mandatory for certain enterprises. Business will be subject to an annual audit to ascertain accuracy, completeness and compliance of financial (bookkeeping) records and accounts, with existing legislation and international auditing standards. Such audits are mandatory for limited liability companies and joint stock companies if their

ჩატარება სავალდებულოა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებისა და სააქციო საზოგადოებებისათვის, თუ მათი წლიური ბრუნვა აღემატება 25000 ლარს, და სანარმოებში, სადაც სახელმწიფოს წილი 50%-ზე მეტია. აუდიტორი შეირჩევა ღია კონკურსის საფუძველზე. აუდიტორი ფირმა ვალდებულია, დაზღვიოს ხელშეკრულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის რისკი.

განისაზღვრება აუდიტის ჩატარებაზე უარის თქმის საფუძველები. აუდიტორ ფირმებს ეძლევათ შესაძლებლობა, უარი განაცხადონ აუდიტის ჩატარებაზე შესაძლებელი სამეურნეო სუბიექტის მიერ საჭირო ინფორმაციის წარუდგენლობის, აგრეთვე, აუდიტის ჩატარების დროს ისეთი გარემოების გამოვლენის შემთხვევაში, რომელსაც შეუძლია, არსებითი ზეგავლენა მოახდინოს საფინანსო (ბუღალტრული) ანგარიშგების უტყუარობაზე და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მოცემულია, აგრეთვე, აუდიტორთა სერთიფიკატის გაცემის წესი და პირობები, აუდიტორული საქმიანობის ლიცენზიის შეჩერებისა და გაუქმების საფუძველები. და ბოლოს, პროექტი ადგენს აუდიტორული ფირმის მინიმალური სანესდებო კაპიტალის ოდენობას და წესს საქმიანი თვისებების, მომსახურებისა და საფასო პოლიტიკის არაკეთილსინდისიერი რეკლამირების აკრძალვის შესახებ.

3. კანონპროექტი „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ; სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ; „პატიმრობის შესახებ“ კანონში დამატებების შესახებ და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონში დამატებების შესახებ

აღნიშნული კანონპროექტები უკავშირდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების – რომის სტატუტის რატიფიცირებას. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო ორგანო, რომელიც მართლმსაჯულებას ახორციელებს იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომელთაც ბრალი მიუძღვით ისეთ დანაშაულებრივ ქმედებებში, როგორცაა: გენოციდი, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ომის დანაშაული, აგრესიის დანაშაული. სახელმწიფო, რომელიც მოახდენს აღნიშნული წესდების რატიფიცირებას, ავტომატურად აღიარებს თავის ტერიტორიაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არ ცვლის მართლმსაჯულებების ეროვნულ ორგანოებს და არც ზემდგომი ინსტანციის სასამართლოა. იგი „დამატებითი მართლმსაჯულების“ ორგანოა იმ შემთხვევებისათვის, როცა შიდასახელმწიფოებრივ იურისდიქციას არ შეუძლია, ან უარს ამბობს მართლმსაჯულების განხორციელებაზე. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად მომზადდა ახალი კანონი. ეს კანონი არეგულირებს თანამშრომლობის პრაქტიკულ საკითხებს, განსაზღვრავს საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობაზე უფლებამოსილ ორგანოს – იუსტიციის სამინისტროსა და საერთაშორისო სასამართლოს მოთხოვნათა შესრულების პროცედურებს. საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობისათვის იუსტიციის სამინისტროში იქმნება სპეციალური სამსახური.

პროექტი დეტალურად განსაზღვრავს: საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის წესსა და პირობებს, თხოვნის შინაარსსა და ფორმას, უფლებამოსილებებს თხოვნის მიღებასა და შესრულებასთან დაკავშირებით, კონსულტაციებისა და ხარჯების ანაზღაურების წესს, საერთაშორისო სასამართლოსა და სხვა სახელმწიფოსაგან ერთსა და იმავე საკითხზე მიღებული თხოვნების აღსრულების საკითხებს, საერთაშორისო სასამართლოს თხოვნის შესრულებასთან დაკავშირებით განხორციელებული მოქმედებების გასაჩივრების წესს. პროექტი არეგულირებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას მიკუთვნებულ დანაშაულში ექვიტანული პირის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემის წესს. განსაზღვრავს პირის დამატიმრებისათვის წარმოსადგენი თხოვნის ფორმასა და შინაარსს, პირის დაპატიმრებისა და გადაცემის წესს, გადასაცემი პირის უფლებებს.

annual turnover is over GEL 25, 000 or companies that are more than 50% state owned. The audit contract is subject to open competition. The auditing company is obliged to insure liability against a violation of the contract.

There are also now grounds to refuse to conduct an audit. Auditing companies can refuse to conduct an audit if a company refuses to present necessary information or if during the auditing they uncover circumstances that may substantially influence the accuracy of the financial (bookkeeping) records and accounts and in other cases prescribed by law.

There are also procedures to issue a certificate to an auditing company, to suspend a company and to cancel a license to audit. Finally, the draft lays down the minimum charter capital of an audit firm and procedures that prohibit the unfair advertisement of their qualities, services and prices.

3. Draft Laws on Cooperation between Georgia and the International Criminal Court; on Changes and Amendments to Criminal Procedure Code; on Changes to the Criminal Code and the Law on Imprisonment; and on Changes to the Law on Enforcement Proceedings

These draft-laws concern Georgia's ratification of the Rome Statute of the International Criminal Court. The International Criminal Court is a permanent international tribunal that exercises jurisdiction over individuals accused of crimes such as genocide, crimes against humanity, war crimes and crimes of aggression. Any state that ratifies the Rome Statute accepts the jurisdiction of the International Criminal Court on its territory.

The International Criminal Court does not substitute domestic law nor is it a court of appeal. Rather it complements national jurisdictions when a state concerned is unable or unwilling to prosecute. In order to establish the basis for the cooperation with the International Criminal Court a new law has been proposed. This law regulates particular issues of cooperation, specifies the authority of the Ministry of Justice that deals with cooperation and procedures needed to comply with requests from the International Criminal Court. A special department for cooperation with the International Criminal Court will be set up within the Ministry.

The draft lays down procedures and conditions for cooperation. This includes contents and forms of request, how to deal with a request from the International Criminal Court, rules of consultation, rules to reimburse costs, issues of execution of requests from the International Criminal Court and other states on the same case, and rules of appeal against actions taken in respect of meeting a request. The draft regulates the transfer of a person suspected of a crime falling within the jurisdiction of International Criminal Court to the International Criminal Court, specifies the form and contents of the request to be submitted to arrest the person, the rules of arrest and transfer, and the rights of the person to be transferred.

თანამშრომლობა შეიძლება მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერი საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო სასამართლოს განსჯად ქმედებათა გამოძიებას და სისხლისსამართლებრივ დევნას. ასეთი საპროცესო მოქმედებებს შეიძლება განეკუთვნებოდეს: პირთა იდენტიფიცირება, მათი ადგილსამყოფელის დადგენა; მტკიცებულებათა, მათ შორის მონმის ჩვენების მოპოვება; ექსპერტის დასკვნის მომზადება და წარდგენა. ეს შესაძლოა მოიცავდეს, აგრეთვე: იმ პირის დაკითხვას, ვის მიმართაც წარმოებს გამოძიება ან ვინც სისხლისსამართლებრივი ნესით იდენტიფიცირდება; დაპატიმრებული პირის დროებით გადაცემას; ჩხრეკას, ამოღებას, ყადაღის დადებას, ექსპუმაციას; მასალებისა და დოკუმენტების წარდგენას; მონმეთა და დაზარალებულთა, ასევე მტკიცებულებათა დაცვას; თანხისა და ქონებრივი ღირებულების მქონე ნივთების იდენტიფიკაციას; დანაშაულის იარაღის დაყადაღებასა და ამოღებას; სასამართლოს წინაშე პირთა, მონმეთა და ექსპერტთა ნებაყოფლობით გამოცხადებისათვის ხელის შეწყობასა და სხვა იმ საპროცესო ღონისძიებების განხორციელებას, როლებიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

აგრეთვე გათვალისწინებულია საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებათა საქართველოში აღსრულების ნესი და პირობები. საქართველოში შეიძლება აღსრულდეს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ გასამართლებული პირი არის მოქალაქე, ან/და მუდმივად ცხოვრობს, ან/და გააჩნია საკუთრება საქართველოში. საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულდება მას შემდეგ, როცა თანამშრომლობაზე უფლებამოსილი ორგანო გასცემს თანხმობას. საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია, ნებისმიერ დროს გამოაგზავნოს თავისი წარმომადგენელი საქართველოში, რათა მან შეამოწმოს სასჯელის აღსრულების პირობები, შეხედეს და ესაუბროს მსჯავრდებულს. მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოა უფლებამოსილი, შეამციროს მის მიერ მსჯავრდებული პირის პატიმრობის ვადები.

რომის სტატუტის რატიფიცირებასთან დაკავშირებით ასევე მომზადდა ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. ცვლილებების თანახმად, ერთმანეთისაგან იზიჯნება გადაცემის, როგორც პირის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემისა და ექსტრადიციის, როგორც პირის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემის პროცედურები, შესაბამისად ზუსტდება მათ განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურული დებულებები.

სისხლის სამართლის კოდექსში მომზადებული ცვლილებებითა და დამატებებით ზუსტდება იმ დანაშაულთა შემადგენლობები (გენოციდი (407-ე მუხლი), დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ (408-ე მუხლი), ეკოციდი (409-ე მუხლი), საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა შეიარაღებული კონფლიქტის დროს (411-ე მუხლი), საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სხვა დარღვევა (413-ე მუხლი), რომლებიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს განსჯადობას განეკუთვნება. „პატიმრობის შესახებ“ და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონებში მომზადებული დამატებებით ზუსტდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა საქართველოში აღსრულების ნესი და პირობები.

Cooperation may cover the execution of legal proceedings laid down by Georgian legislation, which will support investigation and prosecution of crimes falling within the jurisdiction of the International Criminal Court. This may include the identification and whereabouts of persons; taking evidence, including testimony under oath, the production of evidence, including expert opinion and reports. It may also involve questioning any person under investigation or who has been prosecuted, the temporary transfer of arrested persons, search and seizure, exhumation, provision of records and documents, protection of victims and witnesses and the preservation of evidence, identification of proceeds, property and assets, seizure of instrumentalities of crimes, assurances to witnesses or experts to appear before the court and the execution of other legal proceedings that are not prohibited by Georgian legislation.

There are also procedures to ensure the enforcement of the International Criminal Court sentences in Georgia. The sentence of the International Criminal Court will be enforced in Georgia if the person found guilty is a national and/or permanently resides and/or owns property in Georgia. Sentence of imprisonment adopted by the International Criminal Court shall be enforced in the territory of Georgia as soon as the authority competent for cooperation gives its consent. The International Criminal Court has the right to send its representative to Georgia at any time to check enforcement conditions, meet and interview the sentenced person. It is only in the power of the International Criminal Court to reduce a sentence.

To ratify the Rome Statute changes to the Criminal Procedure Code were prepared. The proposed changes distinguish between surrender i.e. delivering a person by the state to the International Criminal Court and extradition i.e. a delivery by the state to the other one. In addition, the changes provide for provisions to exercise these legal proceedings.

The proposed changes and amendments to the Criminal Code specify the *corpus delicti* of genocide (Article 407), crime against humanity (Article 409), ecocide (Article 409), intentional violation of International Humanitarian Law norms in a period of armed conflict (Article 411), other violations of International Humanitarian Law norms (Article 413), falling within the jurisdiction of the International Criminal Court. The changes to the laws on Imprisonment and Enforcement Proceedings specify the procedure and conditions to enforce sentences adopted by the International Criminal Court in Georgia.

ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან*

ბესარიონ ზომიძე**

1. კოდიფიკაციის საფუძვლები

კოდიფიკაციას ქვეყნები ან საკუთარ, ან კიდევ სხვის გამოცდილებაზე აგებენ. ანდა როგორც ერთზე, ისე მეორეზე.¹ საკუთარი გამოცდილება რომ გახდეს ძირითადი სამშენებლო მასალა, საამისოდ სამი პირობა მაინც უნდა არსებობდეს. კოდექსის შემქმნელ ქვეყანას უნდა გააჩნდეს: ჯერ ერთი, საკანონმდებლო ტრადიციები, რომლებშიც ნაწილობრივ მაინც იქნებოდა ასახული კოდიფიკაციით მონესრიგებული პრინციპები; მეორე, მდიდარი სასამართლო პრაქტიკა, რომელშიც გამოჩნდებოდა სამოქალაქო ბრუნვის ახლებურად მონესრიგების მოთხოვნილება და მესამეც, განვითარებული დოქტრინა, რომელიც დაასაბუთებდა კოდიფიკაციის აუცილებლობას. სამწუხაროდ, საქართველო და, შეიძლება ითქვას, ყველა ყოფილი საბჭოთა სახელმწიფო მოკლებული აღმოჩნდა ამ ბედნიერებას.

ა) კანონმდებლობა. საქართველო გასაბჭოების შემდეგ მხოლოდ სოციალისტური ეკონომიკის მომწესრიგებელი კანონმდებლობის ანაბარა დარჩა. მართალია, ძველი ინერციის წყალობით, თავდაპირველად ცოტა ხანს შემორჩა საბაზრო ეკონომიკის მომწესრიგებელი კანონმდებლობა საკორპორაციო სამართალში, მაგრამ ისიც მალე გაქრა ცხოვრებიდან.² ორწლიანი დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ფაქტობრივად ხელუხლებელი დარჩა. საბჭოთა კანონმდებლობის გულისყური მიპყრობილი იყო სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის მონესრიგებისაკენ. ამ დარგში მართლაც ბევრი ნორმატიული აქტი იქნა მიღებული, რომელთა უმეტესობა კანონქვემდებარე აქტის სახით გამოიცემოდა. არ არსებობდა არავითარი სამართლებრივი მექანიზმი მათი კონსტიტუციურობის შესამოწმებლად. ყველაზე დიდი ნაკლი ამ კანონმდებლობისა ის იყო, რომ იგი უარყოფდა კერძო სამართლის ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორიცაა საკუთრებისა და ხელშეუხებლობის თავისუფლება. არც იმის ოქმა შეიძლება, რომ ამ კანონმდებლობიდან ყველაფერი სანაგვეზე გადაიყარა. სწორედ ამას ვერ ვიტყვით საბჭოთა სამოქალაქო კოდექსის იმ დებულებებზე, რომლებიც გერმანული სამოქალაქო სჯულდებიდან იყო აღებული.³ თუმცა ეს იმდენად უმნიშვნელო ჩანდა, რომ იგი არ წარმოადგენდა დიდ ფასეულობას ახალი სამოქალაქო კოდექსისათვის. კოდექსის შემამუშავებელმა კომისიამ გულდასმით გადახედა ამ კოდექსის ცალკეულ დებულებებსაც და რისი გათვალისწინებაც კი შეიძლებოდა, გაითვალისწინა. ზოგი რამ მასში ბევრად უკეთესად გამოიყურებოდა, ვიდრე

* ნაწყვეტი მონოგრაფიიდან, რომელიც მიეძღვნება სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიასა და ევროპული კერძო სამართლის რეცეფციის პრობლემებს საქართველოში.
1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი.
2 პოსტსაბჭოურ ქვეყნებში კოდიფიკაციის პრობლემებზე იხ. *Knieper/Boguslavski, Konzept zur Rechtsberatung in Transformationsstaaten, Eschbon, 1995, 1-57.*
3 აღსანიშნავია, რომ პირველი საბჭოთა სამოქალაქო კოდექსი მრავლად შეიცავდა ნორმებს ამხანაგობათა შესახებ, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საექციო საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელ ნორმებს. 20-იან წლებში სავაჭრო სამართალში სახელმძღვანელოც კი გამოქვეყნებულა (იხ. *ჯაფარიძე, სავაჭრო სამართალი, თბილისი, 1925*).
4 პროფესორი სერგო ჯორბენაძე 1922 წლის კოდექსის პოზიტოურ თვისებად სწორედ რომ მის დასავლურ გამოცდილებას მიიჩნევდა (იხ. *ჯორბენაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები, კრებული: სამართლის რეფორმა საქართველოში, თბილისი, 1994, 141*).

ARTICLES

From the History of the Creation of the Civil Code of Georgia*

BESARION ZOIDZE**

1. Essential Principles of Codification

States base their codification either on their own or some other state's experience or on the both of them.¹ For their own experience to become the basic component, at least three conditions should be met. A country developing a Code should have: firstly, the legislative traditions that would at least partially reflect the principles regulated by the codification; secondly, abundant judicial practice that would display the demand for the regulation of the civil circulation in a new manner; and thirdly, a well-elaborated doctrine that would prove the urgency of codification. Unfortunately, Georgia and, it could be said that all the former Soviet states do not have such requirements.

a) **Legislation.** After becoming a Soviet Republic the only legislation Georgia disposed of was the one that regulated the Socialist economy. However, owing to inertia, legislation regulating a market economy was still present in Company Law for a short period, but soon disappeared.² During the two years of independence civil legislation remained unchanged. The main concern of Soviet legislation was to regulate relations between Socialist organisations. Many normative acts were adopted in this field, the majority of which had the status of sub-legal acts. No mechanism existed for verifying their constitutionality. The major deficiency of this legislation was the rejection of such fundamental principles of private law as the freedom of property and contract. It could not be said that the whole legislation of that period was sent to a waste paper basket. This could not be said about those provisions of the Soviet Civil Code, which were taken from German Civil Law.³ However their number was so small, that they had no material importance for the new Civil Code. The Commission responsible for the elaboration of the Code looked through these individual provisions and took account of those, which were more or less valuable. Some things looked better in this code than in the follow up Soviet ones. Namely, the title "The Law of Things" was still valid and mortgage fell within

* The current article will become a part of the study regarding the history of creation of the Civil Code and the issues of reception of the European Private Law in Georgia.

** Deputy Chairman of the Constitutional Court of Georgia, Professor.

For the issues of codification in Post Soviet Countries See: *Knieperl Bogustavski*, Konzept zur Rechtsberatung in Transformationsstaaten, Eschborn, 1995, 1-57.

² It should be mentioned that the first Soviet Civil Code contained many provisions regarding partnership associations, the major part of which were dedicated to the provisions establishing the joint stock companies. In 20-ies of XX c., even a guidebook in Trade Law was published (See: *Japaridze*, Trade Law, Tbilisi, 1925).

³ Professor *Sergo Jorbenadze* considered, that the positive feature of the Code of 1922 was its western experience (See: *Jorbenadze*, The main problems of Georgian Civil Code – in: Law Reform in Georgia, Tbilisi, 1994, 141).

მომდევნო საბჭოთა კოდექსებში. კერძოდ, ამ დროისათვის სახელწოდება „სანიტო სამართალი“ ისევ ძალაშია და გირავნობაც ამ სამართლის სისტემაშია. აღნაგობის უფლებაც ჯერ არ ჩანს გამჭარბული კოდექსიდან. ამის მოუხედავად, საბჭოთა კანონმდებლობამ კარგად აჩვენა, თუ როგორ არ უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალი. იგი იყო კარგი ნიმუში სამართლისაგან პიროვნების გაუცხოებისა და ამდენად, ახალი კოდექსის მხოლოდ ნეგატიურ წყაროდ თუ შეიძლება ჩაითვალოს.

სწორედ ასეთი კანონმდებლობით მოვიდა საქართველო სამოქალაქო კოდექსამდე. მართალია, ვიდრე იგი ძალაში შევიდოდა, მანამდე მიღებულ იქნა მთელი რიგი ახალი ნორმატიული აქტებისა,⁴ მაგრამ მათ არ შეიძლებოდა ჰქონოდათ კოდექსისათვის რაიმე წყაროს მნიშვნელობა: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მათი და კოდექსის შემუშავება თითქმის ერთდროულად მიმდინარეობდა და მეორეც, ისინი ისეთი ხასიათის კერძო ურთიერთობებს ანესრისებდნენ, რომლებიც ვერ ჩაჯდებოდა ახალი კოდექსის სხეულში.

ბ) სასამართლო პრაქტიკა. საბჭოთა სასამართლო მხოლოდ საბჭოთა სამართლის სრულყოფას ემსახურებოდა. საბჭოთა ხანაში საშოსამართლო სამართალი ფაქტობრივად არ არსებობდა. საქმეს ვერ შევიდა უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებანი, რომლებიც მხოლოდ მოქმედი სამართლის ახსნა-განმარტებითა და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების ამოცანით შემოიფარგლებოდა. კანონმდებლობა მოსამართლეს არ აძლევდა დამოუკიდებელი მოქმედების საშუალებას. ასეთ ვითარებაში აშკარა იყო კონფლიქტი და გაუცხოება მოსამართლის შინაგან რწმენასა და მოქმედ კანონმდებლობას შორის. პრეცედენტი მიუღებელი იყო საბჭოთა სამართლისათვის. სასამართლოები უპირატესად ნორმათა სიტყვასიტყვით განმარტებას სჯერდებოდნენ. სამართლის სარკეში მათ მხოლოდ პოზიტიური სამართალი უნდა დაენახათ და არაიურიდიულ სამოსელში (ფორმაში) მისი გამოვლინება „მოჩვენებად“ უნდა აღქმულიყო. არსებული მხოლოდ მატერიალურად არსებულთან იყო გაიგივებული და, ამდენად, სასამართლოების პრაქტიკაც სამართლებრივი მატერიალიზმის გამოხატულებას წარმოადგენდა. მართალია, ცალკეულ შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებანი სამართლის წყაროდაც ჩაუთვლიათ, მაგრამ პრაქტიკულად იმდენად იშვიათი იყო ნორმის შემცველი დადგენილებანი, რომ ისინი არ წარმოადგენდა სამართლის წყაროს.⁵ საბჭოთა სასამართლო ვერ ამაღლდა ფეოდალური ხანის ქართული სასამართლოს დონეზე – როგორც ქართული სამართლის ისტორიული წყაროების მეტყველებენ, თვით კანონმდებელი აძლევდა მოსამართლეს მოქმედი სამართლის სრულყოფის საშუალებას. ყოფილა შემთხვევები, როცა სასამართლოს სამკვიდრო წილი მიუცია უკანონო შეილისათვის, მაშინ, როცა პოზიტიური სამართალი, როგორც საერო, ისე საეკლესიო, ამის უფლებას არ იძლეოდა არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებშიც.

გ) ცივილისტური დოქტრინა. სამოქალაქო კოდექსის დიდი კოდიფიკაციები დოქტრინის ერთგვარ შეჯამებადაც უნდა მივიჩნიოთ. ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელოვანი თეორიული წყარო ფრანგული მეცნიერება გახლდათ.⁶ კიდევ უფრო მეტად ითქმის ეს გერმანულ სამოქალაქო სჯულდებაზე, რომელიც ურთიერთდამპირისპირებული სამართლებრივი იდეების შერიგების ძეგლადაც შეიძლება ჩაითვალოს. გერმანული იურისტიკის ერთი ნაწილი კოდიფიკაციის მომხრე იყო, სხვები კი მისი წინააღმდეგი.⁷ და მაინც, კოდექსის შემუშავება ჩაითვალა გერმანული ხალხის სულიერი კულტურის ბრწყინვალე ძეგლად. სამოქალაქო კოდექსმა კიდევ უფრო განამტკიცა გერმანიის სახელმწიფოებრიობა. კანონმდებელი მაშინ უფრო ნაკლები კონსერვატი-

⁴ ასეთი იყო კანონი „სამენარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“; კანონი „მენარმეთა შესახებ“; კანონი „საკუთრების უფლების შესახებ“ და ა.შ. კოდექსის მიღების შემდეგ ზოგი მათგანი გაუქმდა. იხ. ამ საკითხზე: *Тжешелнале, Судебная практика и уголовный закон*, Тбилиси, 1975, 29-45.

⁶ დომასა და პოტეს შორებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კოდიფიკაციის საფუძვლების მომზადებისათვის. საფრანგეთში ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი იურიდიული ენა (იხ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997, 26).

⁷ ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997, 27-29.

the framework of this law as well. The right to build did not seem to disappear from the code. Despite this, Soviet legislation had well demonstrated what Civil Law should not look like. It was a good example of the alienation of an individual from the law and thus could be considered only as a negative source of a new code.

This kind of legislation prevailed before the adoption of the new Civil Code of Georgia. However, its enactment was preceded by the adoption of a number of new normative acts.⁴ However, they could not serve as a source for the code. Firstly, the code and the normative acts were elaborated concurrently, and secondly they regulated such private relations that could find no room in the new code.

b) Judicial practice. The Soviet court served only the enhancement of Soviet justice. No judge-made law actually existed in the Soviet era. The resolutions of the Supreme Court Plenums could not do any good either, as they were limited to the interpretation of the effective law and the establishment of common judicial practice. Legislation of those times did not allow judges to act independently. In such a situation conflict and alienation between the inherent beliefs of a judge and the effective legislation was apparent. No case law was admissible. The courts limited themselves to the word for word interpretation of the rules. They were to see only the positive law of the mirror of the law and its manifestation in a non-judicial sense was considered as a "phantom". Existence was understood only as material existence. Hence court practice was itself the demonstration of judicial materialism. In certain cases the resolutions of the Supreme Court Plenum were considered as a source of law, but actually resolutions containing some rules were so scarce, that even the textbooks of those times stated that they were not the source of law.⁵ The Soviet Court failed to reach the level of Georgian courts of the feudal era. As historical sources demonstrate 'parliament' enabled a judge to improve effective law. There were cases when the court granted a child born out of wedlock with a part of heritage, while positive law, both secular and ecclesiastical, did not allow this either in Georgia, nor in any other Orthodox country.

c) Civil Law Doctrine. The great codifications of civil codes could be considered as a certain summary of the Doctrine. An important theoretical source for the Napoleon's Civil Code was French science.⁶ This is even more the case with German civil law that can be considered as a memorial to the reconciliation of contradictory legal ideas. Some German Lawyers supported the idea of codification, while others were against.⁷ Still the elaboration of the Code was considered as a remarkable monument of the spiritual culture of the German people. The Civil Code reinforced the statehood of Germany. A legislator was less conservative towards the Doctrine, than after the adoption of the

⁴ E.g. The Law on the Principles of the Law on Entrepreneurial Activities, The Law on Entrepreneurs, The Law on Property Rights, etc. Some of these Laws were abolished after the adoption of the Code.

⁵ See: *Tkesheliadze*, Judicial Practice and the Criminal Law (in Russian), Tbilisi, 1975, 29-45.

⁶ Works of *Daumat* and *Pothier* turned out to be particularly important for the establishments of codification principles. Independent legal language was developed in France already in XVIII c. (See *Chanturia*, Introduction to the General Part of the Civil Code of Georgia, Tbilisi, 1977, 26).

⁷ See: *Chanturia*, Introduction to the General Part of the Civil Code of Georgia, Tbilisi, 1977, 26.

ულობით იყო განწყობილი დოქტრინის მიმართ, ვიდრე კოდექსის მიღების შემდგომ. ერთხელ ჩამოყალიბდა თუ არა ტრადიცია, კანონმდებელიც მისი ერთგულების გზას დაადგა. ამისი ნათელი მაგალითია ის, რომ საუკუნე გავიდა სამოქალაქო კოდექსის მიღებიდან და გერმანელი კანონმდებელი ძირითადად დამატებითი კანონებით ცდილობს, ფეხი აუბას სამოქალაქო ბრუნვის სიხლეტებს და მხოლოდ საუკუნის მიწურულს იქნა აღიარებული, რომ კოდექსში შეიძლება დამატებითი კანონებით გათვალისწინებული ნორმების შეტანა. თავიდან აღებული გეზი – კოდექსიდან დამატებითი კანონებისაკენ – მიწვევნილოვნად შეიცვალა იმით, რომ ზოგიერთ დამატებითი კანონში მოცემული ნორმების გადანერგვა დაიწყო სამოქალაქო კოდექსში. კანონმდებელი დღეს ვაცვილებთ მეტი სიმპათიითაა განწყობილი დოქტრინის მიმართ. ამისი გამოხატულება იყო ვალდებულებითი სამართლის რეფორმის კომისიის შექმნა, რომელშიც მოსამართლეებთან ერთად ცნობილი ცივილისტიებიც შევიდნენ.

გერმანული დოქტრინა, XIX საუკუნიდან მოკიდებული დღეის ჩათვლით, იმდენად სრულყოფილი აღმოჩნდა, რომ იგი თეორიული წყარო გახდა არა მარტო თავად გერმანული კანონმდებლობისათვის, არამედ სხვა ხალხებისათვისაც და მათ შორის ქართველებისათვის. ამ დოქტრინისათვის დამახასიათებელი აბსტრაქტული აზროვნების სტილი კარგად მოერგო ქართულ ცნობიერებას, რაც 30-იან წლებში კიდევ გამოვლინდა სამართლის ფილოსოფიის სფეროში.⁸

სამუსაოვად, საბჭოთა ცივილისტური დოქტრინა შეუძლებელია ჩაითვალოს ახალი სამოქალაქო კოდექსის თეორიულ წყაროდ. მეტიც, ახალი კანონმდებლობა მეტწილად ამ დოქტრინის უარყოფაა. თუკი რაიმე სერიოზული გავლენა, ეს მოხდა რევოლუციამდელ რუსეთში. რუსმა ცივილისტებმა, მე-19 საუკუნიდან დაწყებული 1917 წლამდე, შეძლეს დამუშავებინათ სამოქალაქო სამართლის ურთულესი პრობლემები და თვალის კი გაესწორებინათ ევროპული მეცნიერებისათვის. „მივიწყებული მეცნიერება“ დღევანდელმა ცივილისტებმა კვლავ გამოიყვანეს არენაზე და დაიწყო მათი ნაზრვის მასობრივი გამოცემა. ევროპული კულტურისადმი რუსი იმპერატორების კეთილგანწყობა ხელს უწყობდა სამართლის მეცნიერების განვითარებას რუსეთში. საქმე იქამდეც მივიდა, რომ განზრახული იყო ფრანგული სამოქალაქო კოდექსის რეცეფცია, რაც არ მოხერხდა ნაპოლეონის რუსეთში შემოჭრის გამო. ასეთი დახვეწილი დოქტრინის არსებობის პირობებში რუსეთის თავისუფლად შექმნილ შექმნა თავისი სამოქალაქო კოდექსი, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა და მხოლოდ პროექტის რამდენიმე ტომით შეხვდა რევოლუციას, რომელმაც უშუალოდ სანაგვეზე მოისროლა ისინი. დოქტრინისადმი კონსერვატიული დამოკიდებულების ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ დოქტრინა ვაცვილებით ნინ წავიდა, ვიდრე რუსული მართლმშენება, ხალხის სამართლებრივი ცნობიერება, რაც არსებითად წარმოადგენდა კომუნისტურ ცნობიერებას. ხალხის მართლმშენებისათვის უცხო იყო რომის კერძო სამართლის სულისკვეთება. რუსეთში თემური საკუთრების ნიშნები მეოცე საუკუნემდე შემორჩა. ადენად, არსებობდა დოქტრინისა და ხალხის მართლმშენების დაპირისპირება. კანონმდებელი კი, უმეტესწილად, პოპროსკის იდეებს უფრო ნაკლებ ანგარიშს უწევდა, ვიდრე ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანისას. სანიმუშოდ მოვიტან ერთ მაგალითს: როცა XIX საუკუნის მიწურულს მეცნიერებმა კანონმდებელს შესთავაზეს კანონის პროექტი ქალის სამემკვიდრეო უფლებების გაფართოებასთან დაკავშირებით, ორი-სამი ხმა დააკლდა მის მიღებას.⁹ დღევანდელ რუსულ სამოქალაქო კანონმდებლობაში საეჭვოა, ვეროვანი პატივი ჰქონდეს მიგებული ამ დოქტრინას, უფრო მეტიც, ზოგიერთ საკითხში ახალი რუსული კანონმდებლობა საბჭოთა დოქტრინის ერთგული დარჩა. სამისოდ ოპერატიული მმართველობისა და სრული სამეურნეო გამგებლობის ცნებებიც კმარა, რომ არაფერი ვთქვათ საკუთრების ფორმების თაობაზე. ამით სულაც არ გვიჩნდა, დავამცირით რუსული

⁸ სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, თბილისი, 2002. ეს ნაშრომი, რომელიც გერმანულად 1925 წელს დაისტამბა, მხოლოდ 2002 წელს გამოვიდა მშობლიურ ენაზე; ნანეიშვილი, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა.

⁹ იხ. ზოიძე, ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), თბილისი, 2000, 178.

Code. Once the tradition was developed the legislator followed in its footsteps faithfully. An example of this is that a century has already passed from the adoption of the Civil Code and a German legislator tries to keep up with the novelties of civil circulation mainly through additional laws. It was only at the end of the twentieth century that it was acknowledged, that the provisions, envisaged by additional laws might be included in the Code. The initial policy – from Code to additional laws was considerably changed through the transposition of the provisions of certain additional laws into the Code. For the time being the legislator favours the doctrine. This was shown in setting up the Commission for the Reform of the Law of Obligations that included both judges and celebrated civil law specialists.

Starting from nineteenth century the German Doctrine has proved to be so well advanced that it became a theoretical source not only for German law, but for others as well, including Georgians. The abstract way of thinking, typical for this Doctrine matched well Georgian perception. This was demonstrated in the 1930s.⁸

Unfortunately, Soviet Civil Law doctrine could not be considered as a theoretical basis for new civil codes. Indeed new legislation is mainly a rejection of this doctrine. Anything that matters now was done in pre-Revolutionary Russia. From the beginning of the nineteenth century until 1917 Russian civil law specialists managed to handle the most complicated problems of the Civil Law and even attained a level playing field with European scientists. Contemporary civil law specialists gave new life to "the forgotten science" and started publishing their ideas. The benevolence of Russian Tsars towards European culture promoted the development of legal science in Russia. It was even planned to receive the French Civil Code, but Napoleon's invasion foiled this idea. Thanks to this high doctrine Russia could freely develop its own Civil Code. However, it failed to and when the revolution happened there were a number of volumes of a draft Code. One of the reasons for a conservative attitude towards the Doctrine was that the latter was far more advanced than Russian legal consciousness and people's feeling for law and order. This legal consciousness was actually the communist legal consciousness. The spirit of Roman private law was unfamiliar. The elements of communal structure were maintained until the twentieth century. Thus there was a contradiction between the Doctrine and the people's feeling for law and order. The legislator took less account of *Pokrovski* than of a mere mortal. When at the end of nineteenth century scientists offered the legislator a draft Law on the Expansion of Inheritance Rights of Women, the law failed as it lacked two or three votes.⁹ When looking through contemporary Russian Civil Law I doubt whether this Doctrine was paid due attention. What is more, new Russian legislation is devoted to Soviet Doctrine. The concepts of 'operational governance' and 'full economic management' are sufficient evidence of this, along with types of property. However, I do not intend to

⁸ See: *Surguladze*, State Power and Law, Tbilisi, 2002 (in Georgian). This study was published in the German language in 1925, and only in 2002 it was published in the native language; *Naneishvili*, The Validity of the Law and the Attempt of Proving Some Normative Facts.

⁹ See: *Zoidze*, Old Georgian Heritage Law (Comparative-Legal Study), Tbilisi, 2000, 178 (in Georgian).

ცივილისტიკის უდიდესი მიღწევები, რაც ნამდვილად მოიპოვეს საბჭოთა ხანაში. ფუნდამენტური შრომები შეიქმნა ვალდებულებით სამართალში, კერძოდ: ბრალის, პასუხისმგებლობის შესახებ, საერთოდ სამართალდარღვევაზე. არასწორი მეთოდოლოგიური საფუძველი ხშირად პრობლემის არასწორი მიმართულებით კვლევას განაპირობებდა. რაღა შორს წავიდეთ, პასუხისმგებლობის პრობლემებზე მქონდა საკანდიდატო ნაშრომი და როცა სამოქალაქო კოდექსის კომენტარებზე ვმუშაობდი, მომიხდა ბრალის ცნების ხელმეორედ გააზრება. ხშირად, დოქტრინის ეული პროგრესული ნაშრომები „ბურჟუაზიული“ მეცნიერებისადმი კეთილგანწყობად ფასდებოდა და იგი წინადადებდა რჩებოდა მხოლოდ. მართალია, საბჭოთა ცივილისტიკა მხარი დაუჭირეს პასუხისმგებლობის დაზღვევის შემოტანას საბჭოთა სამართალში,¹⁰ მაგრამ მათი აზრი არ გაიზიარეს. იგივე უნდა აღინიშნოს მორალური ზიანის ანაზღაურებაზეც.

საქართველოშიც ანალოგიურად ვითარდებოდა ცივილისტიკური დოქტრინა. საბჭოთა სამართლებრივი იდეოლოგია არ იძლეოდა განსხვავებული აზროვნების საშუალებას. სწორედ საბჭოთა რეპრესიებს შეეწინააღმდეგებოდა მოაზროვნე ქართველი პროფესორები: ნანიევილი და სურგულაძე. გარდა ამისა, მოკავშირე რესპუბლიკებში სამართლის სახელმძღვანელოებიც ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც ეს მიღებული იყო რუსეთში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „რუსულ ზარბაზანს უნდა ესროლა რესპუბლიკებში“. ეს ზარბაზანი კი ისე კარგად ისროდა, რომ გასროლის ადგილზეც ყველაფერს თავდაყირა აყენებდა. ქართული დოქტრინაც ისეთივე ტყუპისცალი იყო რუსულისა, როგორც ყველა სხვა ყოფილი საბჭოთა ქვეყნისა. საქართველოში მხოლოდ ოციანი და ოცდაათიან წლებში დასტურდება გერმანული ცივილისტიკის გავლენა. თანაც, უფრო ისეთი თეორიული და ფილოსოფიური პრობლემების გარშემო, როგორცაა: მფლობელობის არსება, ფაქტისა და სამართლის მიმართება სამოქალაქო სამართლის ქრილში და ა.შ. პარადოქსული იყო კომუნისტების ნამოღვაწარი: გერმანული კანონმდებლობა გერმანული დოქტრინის გარეშე. ასეთ ვითარებაში, ცხადია, ეს დოქტრინა ჰგავდა მიუსაუზუნს, რომელმაც სხვების დაუსმარებლად მოახერხა ჭაობიდან ამოსვლა. მეორე პარადოქსი ის იყო, რომ გერმანული დოქტრინის გავლენა გაცილებით ძლიერ იგრძნობოდა სისხლის სამართალში, მაშინ, როცა ამ დარგში კანონმდებლობის გავლენები უმნიშვნელო ჩანდა.¹¹ და მინც, ვერც ეს დოქტრინა ახდენდა სერიოზულ გავლენას კანონმდებლობაზე. როგორც ჩანს, დაძინაზე საზოგადოებაში კრიმინალური მეცნიერების როლი ყოველთვის გამოკვეთილია და სახელმწიფოს ინტერესიც უფრო ამ მეცნიერებისაკენაა მიყრდნობილი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საგანთა არსებითი გადაადგილება მოხდა და ცივილისტიკა სამართლის იერარქიული კიბის სათავეში მოექცა. დამოუკიდებელმა ქვეყანამ უპირველეს საქმედ მიიჩნია სამოქალაქო კოდექსის მიღება და დიდად არ მოუკლავს თავი სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავების დაჩქარებით. ეს უკანასკნელი ძალაში შევიდა სამოქალაქო კოდექსის მიღებიდან 3 წლის შემდეგ.

2. მართლშეგნება კოდიფიკაციის პროცესში

ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართულმა მართლშეგნებამ, რომელშიც ზაზგასმითაა გამოკვეთილი კერძო ინტერესების განსაკუთრებული შეგრძნება. ამ მართლშეგნებამ გააერთიანა ყველა: მოქალაქე, რომლისთვისაც იქმნებოდა სამოქალაქო კოდექსი, მეცნიერი, რომელიც ქმნიდა ამ კოდექსს და კანონმდებელი, რომელმაც მიიღო ეს კოდექსი და სული შთაბერა. მართლშეგნების ასეთი კერძოსამართლებრივი ხასიათია გამოკვეთილი ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების მთელ სიგრძეზე. ისტორიული წყაროები მეტყველებენ საქართველოში კერძო ინტერესების განსაკუთრებულ გაქანებაზე. ვინ იცის, როდის ექნებოდა ქართველ

¹⁰ იხ. ზოიძე, ავტომობილის მფლობელთა ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხისათვის, საბჭოთა სამართალი, №4, 1985.

¹¹ იხ. ამ საკითხზე: გამყრელიძე, გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართალზე, სამართალი, 1996, №3-4, 41-42.

diminish the major achievements of the Russian Civil Law. Fundamental studies were developed in the field of the Law of Obligations, namely concerning culpability, liability, and offence. Wrong methodological guidelines often led to misdirected study of the problem. My doctorate concerned liability issues and when I was working on comments to the Civil Code I had to re-conceive the concept of 'culpability'. Rather often the progressive initiative of the Doctrine was considered benevolent towards "bourgeois" science and remained as a proposal only. Though Soviet civil law scientists favoured the idea of the introduction of 'a third party liability' into Soviet Law, nobody supported them.¹⁰ The same could be said about moral damages as well.

Civil Law Doctrine followed the same route of development in Georgia. Soviet legal ideology did not allow for a different mode of thinking. *Naneishvili* and *Surguladze*, who took up the German way of thinking, became the victims of Soviet repression. Law textbooks were similar to those in Russia. To put it another way "it was the Russian cannon to fire in the Republics". And this cannon used to fire so well that everything was turned upside down even at the shooting place. The Georgian Doctrine was a twin brother to the Russian one, like the Doctrines of other Soviet Republics. The influence of German civil law science could be detected in Georgia only 1920s and 1930s and was concerned mainly with such theoretical and philosophic issues, as the essence of ownership, the correlation between a case and the law from the point of view of the Civil Law. Communists' endeavours were of a paradoxical nature. In a sense it was German Law without German Doctrine. The Doctrine was more like Baron *Munchausen* who managed to save himself from the Moors without anybody's help. The second paradox was that the influence of the German Doctrine was far stronger in criminal law, though the influence of the law was rather insignificant in this field.¹¹ However this Doctrine could not significantly affect the legislation. It deemed that the role of criminal science was always stressed in the culpable society and this science is always of main interest for the state. After regaining independence the subjects have essentially changed their place and civil law science acquired the upper position in the legal hierarchy. The adoption of the Civil Code became the first priority for the independent state, and it did not make any rush to accelerate the elaboration of a Criminal Code. The latter was enacted three years after the adoption of the Civil Code.

3. Legal Consciousness during the Codification Process

Georgian legal consciousness, where the specific understanding of private interests is particularly stressed, played a major component in the development of the Civil Code. This sense united everyone from ordinary citizens, who were the beneficiary of the code, scientists, who developed it and to the legislators who passed it. This private law type of legal consciousness is notable throughout the whole history of Georgian statehood. Historical sources demonstrate a particular verve of

¹⁰ See: *Zoidze*, For the Issue of Mandatory Insurance of Third Party Liability of Vehicle Owners, *Sabtshta Samartali (Soviet Law)*, 1985, No.4.

¹¹ See: *Gamkrelidze*, Influence of German Criminal Law on the Georgian Criminal Law, *Samartali (Law)*, 1996, No.3-4, 41-42.

ხალხს სამოქალაქო კოდექსი, რომ არა ისტორიული ბედუკუღმართობა. მას რომ შემდგომაც იმ ინერციით ველო, როგორც ეს მოახერხა ვახტანგ VI-ის სამართლის წინგთა კრებულის შექმნით, ადვილად შესაძლებელი იქნებოდა, რომ წაპოლიეონის სამოქალაქო წინგთა კრებით სინამდვილეში საუკუნით ადრე მაინც გვეხილა. ის, რისი სურვილიც რუსეთში XIX საუკუნეში განითვლინდა, რუსეთში, რომელიც უპირატესად საჯარო-სამართლებრივი მართლშეგნების ქვეყანა იყო, რატომ არ შეიძლებოდა საქართველოშიც გაჩენილიყო. ვერც რუსეთის იმპერიის ორასწლიანმა იძულებამ და ვერც საბჭოთა იმპერიის ბატონობამ ვერ შეცვალა ეს მართლშეგნება. საბჭოთა პოზიტიური სამართლისაგან მოკვეთილი ნამდვილი სამართალი ხალხის მართლშეგნებაში პოულობდა თავშესაფარს. საბჭოთა ხანაში საქართველო განიხილებოდა ისეთ ქვეყანად, სადაც მოჭარბებული იყო კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია, რასაც ვერ ითავისებდა სოციალისტური სინამდვილე. მაშინ, როცა ადამიანებს ბაზარზე თავისუფლად არ შეეძლოთ გაეყიდათ უმნიშვნელო საგნებიც კი, საქართველოში ლაზიშვილები მალულად კერძო საწარმოებს ქმნიდნენ. სწორედ ამის გამო ბევრჯერ დაისაჯა ეს ქვეყანა. ყველაზე გახმაურებული დადგენილება კერძომესაკუთრული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა შესახებ სწორედ საქართველოს მაგალითზე მიიღო სსრკ კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. მაგრამ მართლშეგნება რისი მართლშეგნებაა, ასე ადვილად რომ იყოს შესაძლებელი მისი შეცვლა. შეიძლება ცვალო კანონები, სამართლებრივი მოძღვრებები, მაგრამ ძნელად თუ შეცვლი ხალხის მართლშეგნებას. მართლშეგნება ხალხის სულიერი კულტურის გამოხატულებაა და თუ მას ვერ მოერგო პოზიტიური სამართალი, მათ შორის მუდმივი გაუცხოება და ბრძოლა იქნება, ისე როგორც ეს იყო საბჭოთა სინამდვილეში. თუკი პროგრესული მართლშეგნებისათვის ჩამორჩენილი სამართალი ყოველთვის უცხო სხეული იქნება, სამაგიეროდ, ჩამორჩენილი მართლშეგნებისათვის განვითარებულმა სამართალმა შეიძლება სტიმულატორის როლი შეასრულოს. ამ უკანასკნელის მაგალითად გამოდგება ზოგიერთი მუსლიმანური ქვეყნის ისტორია, როცა პროგრესული სამართლის გადმონერგვით მართლშეგნებაც გაკეთილშობილებულა. არც იმას უარგყოფთ, რომ ჩამორჩენილი სამართლის რეცესიამ შეიძლება მართლშეგნების დანაგვიანება გამოიწვიოს, რაც ერთობ ხანგრძლივი პროცესს მოიცავს.

ქართული მართლშეგნებისათვის სავსებით მისაღები აღმოჩნდა ახალი სამოქალაქო კოდექსი. იგი ადვილად ჩაჯდა ამ მართლშეგნების ცნობიერებაში. მოიხსნა გაუცხოება მართლშეგნებასა და სამართალს შორის. ეს კერძოსამართლებრივი ფსიქოლოგია დღესაც აზვირთებულ მდინარეს ჰგავს, რომელიც ყველაფერს წაღეკავს, თუ არ იქნება თავის კალაპოტში ჩაყენებული და ზომიერად შეზოჭილი. სხვანაირად, საზოგადოება საბაზრო ეკონომიკის გზით კი არ ივლის, არამედ უფსკრულში გადაიჩეხება. სამოქალაქო კოდექსი კერძო ინტერესის „მოთოკვის“ მექანიზმებსაც შეიცავს, რისი გამოყენების პრაქტიკა სწორედ რომ მართლშეგნებებში უნდა გაცნობიერდეს. სხვანაირად ხალხი ამ მექანიზმს თავისუფლების შეზღუდვად ჩაუვლის.

სრულიად განსხვავებულ მართლშეგნებასთან გვაქვს საქმე რუსულ სინამდვილეში. თუკი რუს ფილოსოფოსებს დაკომონებთ, ეს მართლშეგნება მთლიანად, ისტორიულად იყო კომუნისტური და, ამდენად, საჯარო-სამართლებრივი. ამ მართლშეგნებით ქმნიდა ყოველთვის რუსეთი თავის სახელმწიფოს და მან გაასახელმწიფოებრივა ხალხის კერძო ცხოვრება. უმჯობესია, აფართოებდე ქვეყნის ტერიტორიებს, ვიდრე იმკიდე მხოლოდ მის სიკეთეს. სამწუხაროა, რომ ფასეულობათა იერარქიაში სახელმწიფო იდგა ყველაზე მაღლა, სახელმწიფო თავისი ნეგატიური ვაგებით – იძულების მექანიზმით და არა იმდენად პოზიტიური სახით – როგორც სოციალური კეთილდღეობის დანესებულება. ეს მართლშეგნება ნაწილობრივ სამოქალაქო კოდექსსაც დაეყრდნობა, რაც იმით გამოიხატა, რომ მასში საჯარო-სამართლებრივი მონესკრივების კვალიც შეიმჩნევა. და მაინც, რუსეთში ისევე შეიყვარეს სამოქალაქო კოდექსი, როგორც სხვაგან. მართლშეგნება ნამდვილად ვერ ჩაითვლება რუსულ სამოქალაქო კანონმდებლობის მთავარ წყაროდ – აქ გადაამწყვეტი სიტყვა დოქტრინამ და კანონმდებელმა თქვა. მოკლედ, თუ საქართველო კერძო მართლშეგნების ქვეყანად უნდა მივიჩნიოთ, მედლის არცერთი მხარე ცალ-ცალკე არ არის უნივერსალური.

private interest in Georgia. Who knows when Georgians would have developed the civil code, if not that its history was full of the reversals of fortune? Had it followed the inertia, which produced the Book of Law of Vakhtang VI, it would have been possible to see Napoleon's Civil Book in Georgia at least a century ago. Why could not the desire, which revealed itself back in the nineteenth century in Russia, where mainly the public law type of legal consciousness prevailed, originate in Georgia as well? Neither two hundred years of the Russian Empire, nor Soviet rule could change this sense. During the Soviet period Georgia was considered to be the republic where private-owner psychology flourished. When nobody was allowed to sell freely even at the market, the *Lazishvili* family managed to create clandestine private companies. Georgia was punished several times for this. The Central Committee of the Party adopted the famous Resolution on the Fight against the Private-Owner Ideology as an example to Georgia. But legal consciousness would not be so if it were so easy to change it. One may change laws, legal dogmas, but the legal consciousness of a people can hardly be changed. Legal consciousness is the manifestation of people's culture and if the positive law fails to adjust to it there will always be the government alienation and contradiction between them, as was the case during the Soviet era. While the outdated law will always be a foreign matter for progressive legal consciousness, the advanced law may become a stimulator for outdated legal consciousness. The history of a number of Muslim countries may serve as an example of the latter, when the transposition of progressive laws resulted in the elevation of legal consciousness. However, no one can deny that the reception of some outdated laws may be obstructive and prove a time-consuming process.

The new Civil Code turned out to be quite acceptable for Georgian legal consciousness. It easily found its place. The alienation between legal consciousness and the law was removed. This private law psychology is like a blustering river, which may wash away everything unless confined to its bed and reasonably controlled. Otherwise society would rather perish than follow the route to a market economy. The Civil Code contains "restraining" mechanisms as well, the application of which should be comprehended by our legal consciousness. Otherwise people will consider this mechanism as a restriction of freedom.

Russian legal consciousness is quite different. Even Russian philosophers consider that their legal consciousness has always been of a communist nature and of a public law type. Russia always based its statehood on this legal consciousness. This legal consciousness made the private life of people public. It is better to expand the territories of the country than to enjoy its wealth. It is a pity, that the state held the upper position in the hierarchy of values. By this one means the state with its negative meaning – with the mechanism of coercion and not in its positive manifestation – as an institute securing social welfare. This legal consciousness has partially found itself in the Civil Code as well as some traces of public law regulation. Nevertheless, Russia loves its civil code. Legal consciousness could not be counted as a main source of Russian civil law. The determinants were the Doctrine and the legislator. In short, Georgia could be considered as the state of private legal consciousness, while Russia – of a public one. Neither side is universal independently.

3. ნაწილ-ნაწილ კოდიფიკაცია. კოდექსი და დამატებითი კანონები

ჩვენ წინაშე არ მდგარა კოდექსის ნაწილ-ნაწილ კოდიფიკაციის საკითხი, რასაც პრაქტიკულად ზოგიერთ ქვეყანაში ჰქონია ადგილი. ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი 40 წელზე მეტია მუშავდება და ჯერ კიდევ არ დასრულებულა მისი შექმნა. ამ კოდექსის უმეტესი ნივნები მხოლოდ ძალაშია შესული. ჰოლანდიელების გამოცდილებას „მზაბექს“ რუსებმაც, როცა ჯერ კოდექსის ზოგადი ნაწილი მიიღეს და შემდგომ – განსაკუთრებული. ნაწილ-ნაწილ კოდიფიკაციის ეს მოდელი სერიოზული კრიტიკის საგნად იქცა რუსეთში. საქმე ისაა, რომ ზოგად ნაწილს კოდექსისათვის აზრი მაშინ აქვს, თუკი მას თან ახლავს განსაკუთრებული ნაწილი, სხვანაირად გაუგებარი ხდება მისი ფუნქციური დანიშნულება. გამოდის, რომ კოდექსის ნაწილ-ნაწილ კოდიფიკაციასაც თავისი წესი აქვს: ვინაიდან კოდექსი ერთიანი ნორმატიული სხეულია, ნაწილ-ნაწილ შესაძლებელი უნდა იყოს მისი შედარებით დამოუკიდებელი ინსტიტუტების კოდიფიკაცია. რუსეთს ჯერ კიდევ არ მიუღია კოდექსის მემკვიდრეობითი სამართლის წიგნი, მაგრამ ამით კოდექსის სხეული არ დაზიანებულა. ყველა შემთხვევაში, მისი ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებული ნაწილების ცალკე კოდიფიკაცია გაუმართლებელი უნდა იყოს – რა საჭიროა კოდექსის იმ ნივნის ნაადრევი მიღება, რომელიც სხვა ნივნების გარეშე ფაქტობრივად ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. ჰოლანდიელების პრაქტიკა შედარებით განსხვავებულია და თანაც იქ კოდექსის შემუშავება დროში ერთობ გაიწვია.¹² საქართველოში კოდიფიკაციის ტრადიციული გზა განმეორდა. ჩვენ ვიცით, რომ 40 წელიწადში კი არ უნდა დაწერილიყო კოდექსი, არამედ, სულ ცოტა, 5 წელიწადში მაინც. ასეთ ვითარებაში მისი ნაწილ-ნაწილ კოდიფიკაცია სრული უაზრობა იყო და კოდექსზე მომუშავე კომისიას არც კი უფიქრია აღნიშნულზე – კოდექსის ყველა წიგნი ერთიანად შევიდა ძალაში.

თუმცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში ქვეყანაში საქმიანობა დაიწყო არატრადიციულმა რელიგიურმა ორგანიზაციებმა. მათ საქმიანობას განსხვავებული რეაქცია მოჰყვა საზოგადოებაში და ხშირად გამოიწვია ფიზიკური და მორალური დაპირისპირება სხვადასხვა ჯგუფს შორის. შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ მოვლენების ასეთ განვითარებას ხელი შეუწყო არარსებობამ ეფექტიანი ნორმატიული ბაზისა, რომელსაც ადეკვატური უნდა მენეჯირებინა აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება. ასეთი რელიგიური ორგანიზაციების და/ან მათი წევრების საქმიანობა გახდა სასამართლო განხილვის საგანი რამდენიმე საქმეში. ასეთმა საქმიანობამ გამოიწვია საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციებისა და საზოგადოების ღრმა შეშფოთება.⁶³ ეს შეშფოთება ეხება რელიგიური შემწყნარებლობისა და რელიგიური უმცირესობების, განსაკუთრებით იეჰოვას მოწმეთა, შეურაცხყოფის მზარდი რაოდენობის აქტებს.⁶⁴ ევროპის საბჭოს კომისიამ რასიზმისა და შეწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (ECRI) ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ:

„ECRI ღრმად შეშფოთებულია იმ მრავალრიცხოვანი ინფორმაციების გამო, რომელთა თანახმად, საქართველოში არსებულ რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლები მუდმივად განიცდიან ძალადობასა და შეურაცხყოფას. ...უმეტესწილად, თავდასხმებს რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლებზე აწყობენ ქართველი მართლმადიდებელი საზოგადოების ექსტრემისტულად განწყობილი ელემენტები. ამასთან, ECRI სერიოზულად არის შეშფოთებული არა მხოლოდ ამგვარ ელემენტთა არსებობითა და საქმიანობით, არამედ ამ საქმიანობაზე საჯარო ხელისუფლების არაადეკვატური რეაგირებით და იმ ფართოდ გავრცელებული შემწყნარებლობით, რომელსაც საზოგადოება აშკარად იჩენს ამ ექსტრემისტების მიმართ. ...რაც შეეხება ხელისუფლების რეაგირებას, მიუხედავად უამრავი ინფორმაციისა ქართველი მართლმადიდ-

⁶² Second Periodic Report of Georgia Under ICCPR, CCPR/C/GEO/2002/2, 27 February 2001, paras. 437 and 438.

⁶³ სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 2002 წლის 24 მარტი, N3/413; საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 2001 წლის 22 თებერვალი, N3/599; საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 2001 წლის 11 ოქტომბერი, N79; მარნეულის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, 2002 წლის წლის 13 მაისი, N3/9-2002. ორი განაცხადი შეტანილია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (*Gidani Congregation of Jehovah's Witnesses v. Georgia*, application number 71156/01 and *Union of Jehovah's Witnesses, The Watchtower Bible, Tract Society of Pennsylvania v. Georgia*, application number 72874/01), რომლებიც მოგვიანებით გაერთიანდა.

⁶⁴ იხ. Resolution 1257(2001) on "Honouring of Obligations and Commitments by Georgia" of the Parliamentary Assembly of the Council of Europe, paras. 11 (iii) and 12; Concluding Observations of the Human Rights Committee on the Second Report of Georgia under the ICCPR, 19 May 2002, para. 17; the reports of the Public Defender of Georgia for, *inter alia*, the periods covered: January-November 2000, 20, 35-39; January-June 2001, 34-42; July-August 2001, 37-43; Monthly Bulletin of the non-governmental organisation "Human Rights in Georgia", January, 2003, N1(47), 3; Country Reports on Human Rights Practices (2002): Georgia, released by the Bureau of Democracy, Human Rights and Labour of the US Department of State, 31 March 2003, Section 2, para. c.

4. The Practice

Georgia is a country with centuries-old traditions of respect for freedom of religion and religious tolerance. Anti-semitism, religious strife or religious hatred have never been known in Georgia. The old part of Tbilisi where Georgian, Armenian, Russian and Catholic churches as well as a synagogue, and mosque are in close proximity, is a good example of the tradition of religious tolerance. Along with the Georgian Orthodox religion which has played a special role in the history of Georgia, traditional religions such as Islam, Judaism, Catholicism and Gregorianism were respected.⁶²

However, by the time of the restoration of Georgian independence, a number of non-traditional religious organisations started to operate in the country. Their activities provoked different reactions among the public. This frequently caused physical and moral confrontation among various groups. It may be assumed that the lack of an effective legal framework which should have adequately regulated the right to freedom of thought, conscience and religion has contributed to such developments. Activities of such religious organisations and/or their members have become the subject of judicial consideration in a number of cases and caused deep concern of international and national organisations, including human rights organisations and the general public.⁶³ Such concerns relate to the increase in the number of acts of religious intolerance and harassment of religious minorities, particularly Jehovah's Witnesses.⁶⁴ The European Commission Against Racism and Intolerance of the Council of Europe pointed out in this regard that:

"ECRI is deeply concerned at widespread reports of repeated manifestations of violence and harassment against members of minority religions in Georgia. ...Violent attacks and harassment of members of minority religions are mostly carried out by extremist elements of the Georgian Orthodox community. However, ECRI is seriously concerned not only by the presence of these extremist elements in Georgian society and their activities, but also by the inadequate response of the public authorities to such activities and by the widespread societal tolerance apparently afforded to these extremist elements. ...[D]espite numerous reports of illegal behaviour committed by the

⁶² Second Periodic Report of Georgia Under ICCPR, CCPR/C/GEO/2002/2, 27 February 2001, paras. 437 and 438.

⁶³ Among others, see the Decision of the Supreme Court of Georgia, 24 March 2000, N3k/413; the Decision of the Supreme Court of Georgia, 22 February 2001, N3k/599; the Decision of the Supreme Court of Georgia, 11 October 2001, N79; the Decision of Marneuli District Court, 13 May 2002, N3/9-2002. Two complaints have been lodged before the European Court of Human Rights (*Gidani Congregation of Jehovah's Witnesses v. Georgia*, application number 71156/01 and *Union of Jehovah's Witnesses, The Watchtower Bible, Tract Society of Pennsylvania in Georgia v. Georgia*, application number 72874/01) which were subsequently merged.

⁶⁴ Among others, see Resolution 1257(2001) on "Honouring of Obligations and Commitments by Georgia" of the Parliamentary Assembly of the Council of Europe, paras. 11(iii) and 12; Concluding Observations of the Human Rights Committee on the Second Report of Georgia under the ICCPR, 19 May 2002, para. 17; the reports of the Public Defender of Georgia for, *inter alia*, the periods covered: January-November 2000, 20, 35-39; January-June 2001, 34-42; July-August 2001, 37-43; Monthly Bulletin of the non-governmental organisation "Human Rights in Georgia", January, 2003, N1(47), 3; Country Reports on Human Rights Practices (2002): Georgia, released by the Bureau of Democracy, Human Rights and Labour of the US Department of State, 31 March 2003, Section 2, para. c.

დებელი საზოგადოების ექსტრემისტულად განწყობილი ელემენტების უკანონო მოქმედების შესახებ, ჯერჯერობით ნაკლებად არის წარმოდგენილი სამართლებრივი დევნის წარმატებული მაგალითები.⁶⁵

ნათელია, რომ სახელმწიფო ორგანოებმა კარგად იცის შექმნილი მდგომარეობის შესახებ. გატარდა გარკვეული ღონისძიებები აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების დაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. იმ ღონისძიებებს შორის, რომლებიც მიზნად ისახავენ აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების უზრუნველყოფას, აღსანიშნავია საქართველოს პარლამენტის დადგენილება (2001 წლის 30 მაისი) რელიგიური ექსტრემიზმის შესახებ. მასში ბაზი გაეცა აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების უზრუნველყოფის აუცილებლობას და დაიგმო აღმსარებლობის გამო პირთა დევნა. დადგენილებაში ასევე მოეწონა სამართალდამცავ ორგანოებს, დაიცვან ადამიანის უფლებები და აღკვეთონ რელიგიური ექსტრემიზმის ყოველგვარი გამოვლინება და დაევალა პარლამენტის ოურიდიულ და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტებს, მოამზადონ შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებები სხვადასხვა რელიგიური კონფესიის საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების მიზნით.

ახლახან, 2003 წლის 4 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განმტკიცების შესახებ 2003-2005 წლებისათვის მოქმედების გეგმის დამტკიცების თაობაზე. მოქმედების გეგმა ითვალისწინებს კომპლექსური ღონისძიებების გატარებას რელიგიური ექსტრემიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ საბრძოლველად (მე-4 პუნქტი). ასეთი ღონისძიებები მოიცავს რელიგიური ექსტრემიზმის აღმოფხვრასა და შემწყნარებლობის კულტურის ხელშეწყობას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდას, რელიგიური დისკრიმინაციის რაიმე გამოვლინების დაგმობას. მოქმედების გეგმა ასევე ადგენს რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ კანონის მიღების აუცილებლობას.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ხელისუფლებამ გაატარა გარკვეული ღონისძიებები აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების დასაცავად. თუმცა აშკარაა, რომ უნდა გატარდეს ბევრად უფრო ეფექტიანი ღონისძიებები საქართველოში აზრის, სინდისისა და რელიგიის სათანადო დონეზე უზრუნველსაყოფად.

უდავოა, ევროპის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ არა მხოლოდ ნეგატიური ვალდებულება, არ შეზღუდონ კონვენციით დაცული უფლებები, არამედ ასევე პოზიტიური ვალდებულება, გაატარონ ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება არ შეილახოს მესამე მხარის მიერ. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს რელიგიურ უმცირესობათა შეურაცხყოფის შემთხვევების სათანადო გამოძიება და იმ პირთა გასამართლება, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ადამიანის უფლებათა შელახვაზე.

5. დასკვნა

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა. საქართველოს კანონმდებლობა ძირითადად შეესაბამება ევროპის კონვენციის სამართლებრივ სტანდარტებს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების დაცვასთან დაკავშირებით. თუმცა აღმოჩენილია რამდენიმე წინააღმდეგობა საქართველოს კანონმდებლობისა და კონვენციის სტანდარტებს შორის:

⁶⁵ იხ. paras. 49-51 of the first report on Georgia, CRI(2002)2, adopted on 22 June 2001 and made public on 23 April 2002.

extremist elements of the Georgian Orthodox community, very few prosecutions have so far been carried out with success".⁶⁵

It is clear that the state authorities are well aware of the situation. Certain measures have been taken to improve the situation with regard to protection of the right to freedom of thought, conscience and religion. Amongst the measures aimed at guaranteeing the right to freedom of thought, conscience and religion is the adoption of a decree by the Parliament of Georgia on religious extremism (30 March 2001). It calls for the guarantee of the right to freedom of thought, conscience and religion and condemns persecution of persons for their religion. It also calls upon the law enforcement bodies to protect human rights and prevent any manifestation of religious extremism and instructed the legal and human rights protection committees of the Parliament to prepare legislative proposals for legal regulation of activities of various religious confessions.

More recently, on 4 March 2003 the President of Georgia adopted a decree on the Approval of the Plan of Action for Strengthening Human Rights and Freedoms of Various Groups of Population for the years of 2003-2005. The Plan of Action provides that complex measures shall be taken to fight religious extremism and intolerance (para. 4). Such measures include elimination of religious extremism and promotion of culture of tolerance, propaganda of religious tolerance by mass media, condemnation of any manifestation of religious discrimination. The Plan of Action also stipulates the need for adoption of the law on religious entities.

As evidenced from the above the authorities have taken certain measures to protect the right to freedom of thought, conscience and religion. However, it is clear that measures that are more effective have to be taken to provide adequate protection of the right to freedom of thought, conscience and religion in Georgia.

There is no doubt that the States which are parties of the European Convention have not only a negative obligation not to interfere in the rights protected under the Convention, but also positive obligation to take measures to ensure that the right to freedom of thought, conscience and religion are not violated by the third parties. The Georgian authorities should conduct proper investigation of cases of harassment against religious minorities and prosecute those responsible for such offences.

5. Conclusion

A number of conclusions may be drawn from the analysis of Georgian legislation with regard to its compliance with the standards of the European Convention on Human Rights. Georgian legislation mainly meets the legal standards of the European Convention on the protection of the right to freedom of thought, conscience and religion. However, several inconsistencies between the standards of Georgian legislation and of the Convention have been identified:

⁶⁵ See paras. 49-51 of the first report on Georgia, CRI(2002)2, adopted on 22 June 2001 and made public on 23 April 2002.

ა) ზოგადად კონსტიტუციით გათვალისწინებული სტანდარტები შეესაბამება ევროპის კონვენციის სტანდარტებს. კონსტიტუცია უფრო მაღალ სტანდარტებსაც კი ითვალისწინებს, ვიდრე ევროპის კონვენცია, რაც იმით გამოიხატება, რომ საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს იკრძალება ამ უფლების შეზღუდვა. ამას გარდა, კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს მხოლოდ ერთ კანონიერ მიზანს (სხვათა უფლებები), რომელთა გამოც შეიძლება შეიზღუდოს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება, მაშინ, როდესაც კონვენციის მე-9 მუხლი უფლებათა შეზღუდვის კანონიერი მიზნების ბევრად უფრო ვრცელ ჩამონათვალს ითვალისწინებს.⁵⁴ თუმცა კონსტიტუციასთან დაკავშირებით აღმოჩენილია ორი პრობლემა:

პირველი, კონვენციის მე-9 მუხლისაგან განსხვავებით, კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი არ აზუსტებს, რომ შეიძლება შეიზღუდოს რელიგიის ან მრწამსის მხოლოდ გამოვლინება და იგი ზოგადად უშვებს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას.

მეორე, თუმცა კონსტიტუციის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება, ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს, რომ იკრძალება ადამიანის დევნა მხოლოდ სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის (მაგრამ არა სინდისის) გამო, აგრეთვე მისი იძულება – გამოიქცას თავისი შეხედულება მათ შესახებ. ამდენად, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ტოვებს „სინდისს“ იმ საფუძვლებიდან, რომელთა გამო იკრძალება ადამიანის დევნა;

ბ) თავისთავად კონსტიტუციური შეთანხმების დადება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არ უნდა იქნეს გავრეული სხვა რელიგიების დისკრიმინაცია. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ასეთი შეთანხმების დადება, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში, შეიძლება გამართლდეს ისტორიული თვალსაზრისით. თუმცა აღსანიშნავია, რომ შეთანხმება, რომელიც გარკვეულ უპირატესობებს ანიჭებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, მხოლოდ მაშინ დააკმაყოფილებს ევროპის კონვენციის სტანდარტებს, თუ სხვა რელიგიები არ არის ჩაყენებული დისკრიმინაციულ მდგომარეობაში. სხვა რელიგიებსაც უნდა ჰქონდეთ შესაბამისი უპირატესობები, ასეთი უპირატესობები შეიძლება აისახოს ოუსტიციის სამინისტროს მიერ მოზადებულ კანონპროექტში. თუ სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონის საფუძველზე სახელმწიფო სხვა რელიგიებს მიაჩნდება იმავე უპირატესობებს, რაც ენიჭება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას კონსტიტუციური შეთანხმების მიხედვით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რელიგიების იდენტური (არადისკრიმინაციული) მდგომარეობა სათანადოდ იქნება უზრუნველყოფილი;

გ) რაც შეეხება კანონპროექტს სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ, მისი მიღება უნდა დაქარაღდეს, რათა შეიქმნას სამართლებრივი ბაზა საქართველოში აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების ყოვლისმომცველად მონესრიგების მიზნით. პროექტის დებულებათა უმრავლესობა ჯეროვნად ასახავს ევროპის კონვენციის დებულებებს, რაც უზრუნველყოფს ადეკვატურ გარანტიებს არადისკრიმინაციის საფუძველზე ამ უფლებით სარგებლობისათვის. თუმცა არის რიგი წინააღმდეგობებისა კანონპროექტსა და კონვენციას შორის.

კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტისაგან განსხვავებით, რომელიც უშვებს ამ უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას რელიგიისა ან რწმენის მხოლოდ გამოვლინებასთან დაკავშირებით, კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების ზოგადად შეზღუდვას და არა მხოლოდ მის გამოვლინებასთან დაკავშირებით.

⁵⁴ საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან წესობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა.

a) In general, the standards provided for in the Constitution meet those of the European Convention. The Constitution even provides higher legal standards than the European Convention by prohibiting the restriction of the rights concerned in time of war or other public emergency. Apart from that Article 19(3) of the Constitution stipulates only one legitimate aim (the rights of others) for which the right to freedom of thought, conscience and religion may be restricted, while Article 9 of the Convention lays down much more extensive list.⁶⁶ Yet, two problems have been discovered with regard to the Constitution.

Firstly, unlike Article 9 of the Convention, Article 19(3) of the Constitution does not specify that only the manifestation of one's religion and belief may be restricted, but takes a general approach making it possible to restrict the right to freedom of thought, conscience and religion.

Secondly, although under para. 1 of Article 19 of the Constitution every person has the right to freedom of speech, thought, conscience, religion and belief, para. 2 of the same Article only provides that the persecution of a person for his speech, thought, religion or belief (but not conscience) is prohibited as is the compulsion to express opinions about them. Thus, para. 2 of Article 19 leaves out 'conscience' for which the persecution will be prohibited;

b) The conclusion of the Constitutional Agreement with the Georgian Orthodox Church in itself should not be understood as discrimination of other religions. The conclusion of such Agreement with the Georgian Orthodox Church which played the special role in the history of Georgia may be justified from a historical point of view. However, the Agreement which gives certain privileges to the Georgian Orthodox Church will meet the standards of the European Convention only if other religions are not discriminated. Other religions should be given similar privileges. If under the law on the freedom of conscience and religious entities the State gives the same privileges to other religions as those given to the Georgian Orthodox Church under the Constitutional Agreement, identical (non-discriminatory) treatment of Georgian Orthodox Church and other religion will be duly secured;

c) As regard the draft law on the freedom of conscience and religious entities its adoption should be accelerated in order to set forth the legal framework for comprehensive regulations of the right to freedom of conscience, religion and belief in Georgia. The majority of the provisions of the draft law duly reflect the provisions of the European Convention offering adequate legal guarantees to enjoy the right concerned on a non-discriminative basis. However, there are several inconsistencies.

Unlike Article 9(2) of the Convention which permits a restriction of rights only with regard to the manifestation of one's religion or beliefs, Article 4(3) takes a more general approach by allowing a restriction of the right to freedom of thought, conscience and religion and not only their manifestation.

⁶⁶ Interests of public safety, the protection of public order, health or morals, the protection of the rights and freedoms of others.

ამას გარდა, კანონპროექტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს უფრო ვრცელ ჩამონათვალს იმ კანონიერი მიზნებისას, რომელთა გამოც შეიძლება შეიზღუდოს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება. კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი არ ითვალისწინებს ისეთ კანონიერ მიზნებს, როგორებიცაა: „სახელმწიფო თავდაცვა“ და „კონსტიტუციური წყობილება“. ამდენად, კანონპროექტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ეწინააღმდეგება კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტს. ასეთი ვრცელი ჩამონათვალის არსებობა ასევე ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტს, რომელიც მოუთითებს მხოლოდ სხვათა უფლებაზე, როგორც ერთადერთ კანონიერ მიზანზე, რომლის გამოც შეიძლება შეიზღუდოს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება.

კანონპროექტის ის დებულება, რომლის თანახმად, რელიგიურ გაერთიანებას შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე, თუ „სახელმწიფო რელიგიური ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ გაერთიანება არ არის რელიგიური“ (მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტი), ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;

დ) რაც შეეხება იმ პირთა სამართლებრივ მდგომარეობას, რომლებიც მრწამსის გამო უარს აცხადებენ სამხედრო სამსახურის გავლაზე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ევროპის კონვენციის სტანდარტებს, სახელმწიფომ უნდა გაატაროს ეფექტიანი ღონისძიებები, რათა აღმოფხვრას პრაქტიკული დაბრკოლებები ამ უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად;

ე) რელიგიური შემწყნარებლობის ხანგრძლივი ტრადიციის მიუხედავად, აშკარაა, რომ ამჟამად აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების დაცვის მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელია. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ატარებს გარკვეულ ღონისძიებებს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების დასაცავად, აუცილებელია ბევრად უფრო ეფექტიანი ღონისძიებების გატარება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ უფლების ადეკვატური დაცვა. ასეთი ღონისძიებები უნდა მოიცავდეს რელიგიურ უმცირესობათა შეურაცხყოფის შემთხვევების სათანადო გამოძიებასა და იმ პირთა გასამართლებას, რომლებმაც შელახეს ადამიანის უფლებები.

Apart from that, Article 4(3) of the draft law provides more extensive legitimate aims for which the right to freedom of thought, conscience and religion may be restricted. No legitimate aim such as the interests of 'state defence' and 'constitutional system' are contained in Article 9(2) of the Convention. Thus, Article 4(3) of the draft law contradicts Article 9(2) of the Convention. In a similar vein, unlike Article 9(2) of the Convention, Article 9(3) of the draft law provides for more extensive legitimate aims for the restriction of the right concerned.

The provision of the draft law that religious entities may be refused registration if "as a result of a State religious assessment it has been established that the entity is not religious" (para. 1, Article 13) is in contradiction with the case-law of the European Court;

d) As regards conscientious objectors, although the legislation of Georgia governing the status of conscientious objectors are in line with Convention standards, the State should take effective measures to eliminate practical obstacles in securing the protection of the rights concerned;

e) Despite a long tradition of religious tolerance, it is clear that at present the practice of protection of thought, conscience and religion is not satisfactory. Although the State authorities take certain measures to protect the right to freedom of thought, conscience and religion, measures that are far more effective need to be taken to provide adequate protection of the right concerned. Such measures should include the proper investigation of cases of harassment against religious minorities and the prosecution of those responsible for such offences.

საკანონმდებლო სიხსლანი

შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

ENINო ჩაჩაპა*

შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ხელი მოეწერა 2002 წლის 10 დეკემბერს.

შეთანხმების თანახმად, აშშ-ის მთავრობას შეუძლია, დაიკავოს და ისარგებლოს შენობებითა და ტერიტორიებით, რომლებიც გამოყენებულ იქნება აშშ-ის მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის განსათავსებლად და სატრანსპორტო საშუალებების, ხომალდებისა და საფრენი აპარატების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა საქმიანობისათვის. ამ და სხვა დანიშნულებისათვის შენობებისა და ტერიტორიების გამოყენება ხორციელდება ქართულ მხარესთან შეთანხმების საფუძველზე.

საქართველო თავის ტერიტორიაზე განლაგებულ აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს აღმოუჩენს ლოგისტიკურ მხარდაჭერას, რომლის მოცულობაც განსაზღვრულია შეთანხმების დანართში, სადაც დადგენილია ლოგისტიკური უზრუნველყოფის შემდეგი კატეგორიები: განთავსება, ტექნიკური უზრუნველყოფა და სარემონტო მომსახურება, სასმელი და ტექნიკური წყლის მიწოდება; კომუნალური, სამედიცინო, ტრანსპორტით მომსახურება და სხვა სათანადო უზრუნველყოფა. აღნიშნული მომსახურებისათვის აშშ-ის მთავრობა იხდის შესაბამის ანაზღაურებას საქართველოს შეიარაღებული ძალებისა ან მთავრობისათვის არსებულ ტარიფებსა და განაკვეთებზე არანაკლებ ხელსაყრელი ტარიფებითა და განაკვეთებით. აშშ-ის მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი ვალდებულია, პატივი სცეს საქართველოს კანონებს და არ ჩაერიოს საქართველოს საშინაო საქმეებში.

აშშ-ის მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო პერსონალს შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა-გასვლა პასპორტებისა და ვიზების გარეშე, პირადობის დამადასტურებელი მონუმობით და ინდივიდუალური ან კოლექტიური ბრძანებით. ვიზები არ მოეთხოვებათ აგრეთვე აშშ-ის მთავრობის კონტრაქტორებსაც.

აშშ-ის მთავრობის სამოქალაქო და სამხედრო პერსონალი სარგებლობს დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის 1961 წლის კონვენციით ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალისათვის განსაზღვრული სტატუსით, რომელიც მოიცავს მთელ რიგ პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს.

აშშ-ის სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის დისციპლინური კონტროლის განსაკუთრებული მნიშვნელობის ვათავალისწინებით, საქართველოს მთავრობა ანიჭებს აშშ-ის მთავრობას აღნიშნული პერსონალის მიმართ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების ექსკლუზიურ უფლებას.

* საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის პირველი მდივანი.

LEGISLATIVE NEWS

Agreement between the Government of Georgia and the Government of the United States of America on Defence Cooperation

NINO CHACHAVA*

The Agreement between the Government of Georgia and the Government of the United States of America on Defence Cooperation (the Agreement) was signed on 10 December 2002.

Under this Agreement the U.S. Government is authorised to have access to and use certain facilities and areas for the accommodation of United States military and civilian personnel and various activities related with the operation of vehicles, vessels and aircraft. These facilities and areas shall be used for the above and other purposes only on the basis of mutual agreement with the Georgian party.

Georgia will provide to U.S. Forces logistic support, the scope of which is stipulated by an annex to the Agreement. The annex encompasses the following categories of logistic support: accommodation; maintenance and repair services; water, drinkable, and non-drinkable; utilities and services; medical support and services; land, air and sea transportation services. The U.S. Government will pay reasonable costs associated with the provision of logistic support at such rates and charges that are no less favourable than those available for the Georgian armed forces or Government. The United States military and civilian personnel have a duty to respect the laws of Georgia and not to interfere in the internal affairs of the country.

The United States military and civilian personnel may enter and exit Georgia without passports and visas, with identification cards and with individual or collective movement orders. United States contractors shall not be required to have visas either.

The United States military and civilian personnel enjoy the status, provided for administrative and technical staff by the Vienna Convention on Diplomatic Relations (1961). This status involves a number of privileges and immunities.

Recognising the particular importance of disciplinary control over the United States military and civilian personnel, Georgia authorises the U.S. Government to exercise exclusive criminal jurisdiction over such personnel.

* First Secretary of the International Law Department of the Ministry of Foreign Affairs of Georgia.

შეთანხმების თანახმად, აშშ-ის მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო პერსონალს საქართველოს ტერიტორიაზე ენიჭება იარაღისა და სამხედრო ფორმის ტარების უფლება, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

აშშ-ის ძალების მიერ ან მათი სახელით შექმნილი საქონელი ან მომსახურება თავისუფლდება ყველა სახის გადასახადისა თუ მოსაკრებლისაგან. გადასახადისაგან თავისუფლდება აგრეთვე აშშ-ის პერსონალისა და მათი კონტრაქტორების მიერ შეერთებული შტატებიდან ან საქართველოს ფარგლებს გარეთ სხვა წყაროებიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი. აღნიშნული რეჟიმი არ ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე. აშშ-ის პერსონალი ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისუფლდება აგრეთვე საქართველოში იმპორტირებული და საქართველოში შექმნილი ქონების ფლობის, საკუთრების ან სარგებლობის გადასახადებისაგან.

აშშ-ის შეიარაღებულ ძალებსა და კონტრაქტორებს შეუძლიათ, შემოიტანონ ნებისმიერი მონყობილობა, მასალა ან მომსახურება, რომელიც აუცილებელია მათი საქმიანობისათვის საქართველოში. საქართველოში შემოტანილი ნებისმიერი ნივთის იმპორტი და რეექსპორტი არ ექვემდებარება ლიცენზირებას ან სხვა სახის შეზღუდვას და თავისუფლდება ყველა სახის გადასახადისაგან.

საფრენ საშუალებებს, ხომალდებსა და სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებსაც გამოიყენებს აშშ-ის შეიარაღებული ძალები, შეუძლიათ, გადაკვეთონ და დატოვონ საქართველოს ტერიტორია და თავისუფლად გადაადგილდნენ მის ფარგლებში. ისინი თავისუფლდებიან ყველა სახის გადასახადისაგან და არ ექვემდებარებიან ინსპექტირებას.

საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს აშშ-ის სამხედრო თუ სამოქალაქო პერსონალისა და საკუთრების ხელშეუხებლობასა და უსაფრთხოებას. აშშ კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს იმ შენობებისა და ტერიტორიების შიდა უსაფრთხოებას, რომლებიც გადაცემულია მათ სარგებლობაში.

აშშ-ის სამხედრო და სამოქალაქო პერსონალს შეუძლია, ისარგებლოს კომუნალური მომსახურებით საქართველოს შეიარაღებული ძალებისა ან მთავრობისათვის არსებულ პირობებზე არანაკლებ ხელსაყრელი პირობებით. მათ აგრეთვე ეძლევათ ნებართვა, ისარგებლონ საკუთარი სატელეკომუნიკაციო სისტემებით, რაც მოიცავს რადიოს, პექტრითა და სიხშირებით სარგებლობის უფლებას. აღნიშნული განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის დაცვითა და საქართველოს შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით.

ამორტიზაციის შემდეგ დარჩენილ ღირებულებას საქართველო აშშ-ის მთავრობას აუნაზღაურებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ის ძალების მიერ შენობა-ნაგებობებით სარგებლობის პროცესი შეწყდება საქართველოს უშუალო ინიციატივით.

შეთანხმების განცხადებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება მოლაპარაკების გზით და არ გადაეცემა მესამე მხარეს ან რომელიმე ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლოს.

დასკვნითი დებულებების თანახმად, შეთანხმება ძალაში შედის საქართველოს მხრიდან შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ აშშ-ის მხარისათვის შეტყობინების დღიდან, ძალაშია ერთი წლის განმავლობაში და შემდგომში გრძელდება მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე არ შეატყობინებს წერილობით თავისი განზრახვის თაობაზე – შეწყვიტოს შეთანხმების მოქმედება. შეთანხმებაში შესწორებების შეტანა ხდება შეთანხმების ძალაში შესვლისათვის დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

Pursuant to the Agreement, the United States military and civilian personnel may possess and carry arms and wear uniforms while performing official duties in Georgia.

Acquisition of articles and services by or on behalf of U.S. forces shall not be subject to any taxes or duties. Also exempted from taxation is any income received from the United States or from sources outside Georgia by the United States military and civilian personnel and their contractors. This provision is not applicable to Georgian nationals. The United States personnel shall not be liable to pay any tax or similar charges on the ownership, possession or use of the property imported into Georgia or acquired therein during the term of the Agreement.

The U.S. forces and their contractors may import into Georgia any equipment, supplies, material or services required for their operations in Georgia. The importation and re-exportation of any articles brought into Georgia shall not be subject to any license, other restrictions, customs duties and taxes.

Aircraft, vessels and vehicles operated by or for U.S. forces may enter, exit, and move freely within the territory of Georgia. Such aircraft, vessels and vehicles shall be exempt from any taxes and free from inspection.

The Georgian government shall secure the safety and security of the United States military and civilian personnel and their property, while the U.S. forces shall provide internal security of those facilities and areas, assigned to their exclusive use.

The United States military and civilian personnel may use public utilities on terms and conditions, no less favourable than those available to the Georgian armed forces or Government. They are also allowed to operate their own telecommunication systems, which includes the right to use radio spectrum and frequencies. The above should be done in full compliance with effective Georgian legislation and in agreement with the respective Georgian authorities.

Georgia shall compensate the United States Government for the residual value, if any only in the event that U.S. forces discontinue the use of a facility at the initiative of Georgia.

Any dispute regarding the interpretation or application of this Agreement will be resolved by consultations between the parties and will not be referred to any national or international tribunal or any third party for settlement.

According to the final provisions, the Agreement shall enter into force upon the date that Georgia notifies the United States of America that all internal procedures as are necessary to give effect to the Agreement in Georgia have been satisfied, and shall have an initial term of one year. Thereafter it shall continue to be in force unless terminated by either party on written notice to terminate the Agreement. Amendments to the Agreement shall be made in accordance with the procedure, agreed upon for the entry of the Agreement into force.

ვინაიდან, საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, სამხედრო ხასიათის ხელშეკრულებები ექვემდებარება რატიფიცირებას, ზემოხსენებული შეთანხმების ძალაში შესვლის აუცილებელ პირობად განისაზღვრა მისი რატიფიცირება საქართველოს პარლამენტის მიერ. შესაბამისად 2003 წლის 21 მარტს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა მისი რატიფიცირება და შეთანხმება ძალაში შევიდა საქართველოს მხრიდან რატიფიცირების თაობაზე შეტყობინების დღიდან, ანუ 2003 წლის 25 მარტიდან.

ამგვარად, შეთანხმება აწესებს აშშ-ის შეიარაღებული ძალების სამხედრო თუ სამოქალაქო პერსონალისათვის მთელ რიგ პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს, ადგენს შეღავათიან საგადასახადო რეჟიმს, რამაც გამოიწვია გარკვეული ნინაალმდეგობები მისი რატიფიცირებისას.

დისკუსიების საგანი გახდა შეთანხმების VII მუხლის დებულებები, რომელთა თანახმადაც, აშშ-ის სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი, ასევე სხვა პირები, საქართველოს ტერიტორიაზე სარგებლობენ იარაღის ტარების უფლებით, აგრეთვე უფიზო მიმოსვლისა თუ სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისათვის დაკავშირებული დებულებები. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი უფლება ნაწილს წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს მინიჭებული აქვთ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და პროგრამაში – „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ – მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის მათი შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ (PFP SOFA) 1995 წლის 19 ივნისის შეთანხმების თანახმად, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 1 მაისს და საქართველოსათვის ძალაშია 1997 წლის 18 ივნისიდან, აგრეთვე, საქართველოსა და აშშ-ს შორის წერტილისა და აღჭურვის შესახებ ნოტების გაცვლის გზით დადებული შეთანხმებით, რომელიც ასევე რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2002 წლის 12 აპრილს, ძალაშია და საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია. რაც შეეხება სხვა პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს, აშშ-ის სამოქალაქო და სამხედრო პერსონალს ჯერ კიდევ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და აშშ-ის მთავრობას შორის ჰუმანიტარული და ტექნიკური-ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობისათვის თანამშრომლობის თაობაზე 1992 წლის 31 ივლისს ხელმოწერილი ხელშეკრულებით მიენიჭა დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ეცნის 1961 წლის კონვენციით აღმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალისათვის განსაზღვრული სტატუსი. ამავც შეთანხმებით დადგენილია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმიც.

გარკვეული უთანხმოება გამოიწვია შეთანხმების X მუხლმა, რომლის თანახმადაც, აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს უფლება ეძლევათ, შემოიტანონ საქართველოში ნებისმიერი მოწყობილობა, ნაწილები, მასალა ან მომსახურება. გამოითქვა მოსაზრება, რომ ფრაზა „ნებისმიერ მოწყობილობა“ ატარებდა მეტად განზოგადებულ ხასიათს და უშვებდა საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალული იარაღისა თუ მოწყობილობების შემოტანის შესაძლებლობას. ამგვარი ვარაუდი უსაფუძვლოა, ვინაიდან მსგავსი ქმედებების განხორციელება შეუძლებელია როგორც თავად შეთანხმების, ასევე საქართველოს კანონმდებლობისა და სხვა უნივერსალური საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე. პირველ რიგში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს მუხლი ეხება მხოლოდ იმ მოწყობილობებს, რომლებიც აუცილებელია აშშ-ის შეიარაღებული ძალების საქმიანობისათვის საქართველოში. ამასთან, ამავც შეთანხმების IV მუხლის თანახმად, აშშ-ის შეიარაღებული ძალები თუ სამოქალაქო პერსონალი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში. ამავც დროს, აშშ-ს, ისევე როგორც საქართველოს ნაკისრი აქვთ მასობრივი განადგურების იარაღის აკრძალვის 'ფეროში თანამშრომლობის ვალდებულება, როგორც ორმხრივი ხელშეკრულებების, ისე მრავალ-მხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე და მონაწილეობენ ბირთვული, ბაქტერიო-ლოგიური, ტოქსიკური თუ ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ საერთაშორისო კონვენციებში.

According to the Georgian Constitution and Article 14 of the Law of Georgia on International Agreements, military agreements are subject to ratification by the Georgian Parliament as a binding prerequisite for the entry of the above-discussed Agreement into force. Consequently on 21 March 2003 Parliament ratified it and the Agreement entered into force from the date of notification on ratification by Georgia, i.e. from 25 March 2003.

The Agreement envisages a number of privileges and immunities for the United States military and civilian personnel, and provides for a beneficial tax regime. This caused certain disagreements upon its ratification.

Largely disputed were the provisions of Chapter VII of the Agreement, under which the United States military and civilian personnel, as well as other persons enjoy the right to carry arms in Georgia. Equally contentious were the provisions related to visa-free entry and exit and the movement of vehicles. However, under the Agreement among the States parties to the North Atlantic Treaty and the other States participating in the Partnership for Peace regarding the status of their forces, made on 19 June 1995, the armed forces of the countries of the North Atlantic Treaty enjoy this right. Georgia ratified the Agreement on 1 May 1997 and it came into force on 18 June 1997. The right is also provided for by the Agreement on Training and Equipment made between Georgia and the United States through the exchange of notes, which was ratified by the Georgian Parliament on 12 April 2002. The Agreement is in force and is an integral part of Georgian legislation. As regards the other privileges and immunities, the United States military and civilian personnel were granted the status provided for the administrative and technical staff by Vienna Convention on Diplomatic Relations (1961) under the Agreement on Humanitarian and Technical and Economic Promotion made between the governments of the United States and the Republic of Georgia on 31 July, 1992. This Agreement envisages a beneficial tax regime as well.

Certain differences of opinion were caused by Article 10 of the Agreement, under which U.S. forces may import into Georgia any equipment, supplies, material or services. Some considered that the phrase "any equipment" was very general and authorised the import of prohibited weapons and equipment. However, such a supposition is groundless as no such action is allowed either by the Agreement itself or by Georgian law and other international agreements. This Article means only such equipment that is necessary for the U.S. armed forces activities in Georgia. Furthermore, according to Article 4 of the Agreement, the United States military and civilian personnel have a duty to respect Georgian laws. Additionally, by virtue of both bilateral and multilateral agreements, Georgia and the United States have assumed the international obligation to cooperate in the field of the prohibition of weapons of mass destruction and are parties to international conventions on the prohibition of nuclear, bacteriological, toxic and chemical weapons.

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობა დაიწყო ჯერ კიდევ 1997 წელს და გრძელდება დღემდე, თუმცა ხელშეკრულებების უძრავლესობა შეეხება სამხედრო თანამშრომლობის კონკრეტულ, სპეციფიკურ მიმართულებებს. 2002 წლის 10 დეკემბრის შეთანხმება თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოსა და აშშ-ს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის „ჩარჩო“ დოკუმენტად, რომლის ხელმოწერაც, თავის მხრივ, განიხილება ურთიერთობების ახალი სტრატეგიული პარტნიორობის ეტაპზე გადასვლისათვის აუცილებელ სამართლებრივ წინაპირობად.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმების უმნიშვნელოვანეს ეტაპზე პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და ძირითადი პრინციპების განსაზღვრას, რასაც უშუალოდ ემსახურება აღნიშნული შეთანხმება.

გარდა ამისა, აღნიშნული შეთანხმება განიხილება საქართველოში მიმდინარე ქართულ-ამერიკული „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად.

ზემოაღნიშნული შეთანხმება ხელს შეუწყობს საქართველოსა და აშშ-ს შორის სამხედრო სფეროში სამართლებრივი ბაზის გამყარებას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და უსაფრთხოების სტრუქტურების სწრაფ და ეფექტიან რეფორმას, დასავლურ სტანდარტებზე ქართული შეიარაღებული ძალების გადასვლას. ყოველივე ეს შესაძლებელს გახდის საქართველოს ინტეგრაციას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

Military cooperation between Georgia and the United States dates back to 1997. However, the majority of agreements concern specific military cooperation, while the Agreement on Defence Cooperation, signed on 10 December 2002 could be considered as a framework instrument in the military field. Its signature is regarded as the necessary legal precondition for the transfer to a new stage of strategic partnership in Georgian-U.S. relations.

At this important stage of reforming the Georgian armed forces attention is accorded to the intensification of cooperation between the two states and the establishment of basic principles. This is the purpose of the Agreement.

Furthermore, the Agreement is regarded as one of the most important elements for the successful implementation of the Georgian-American "train and equip" programme.

The Agreement reinforces the military legal framework between Georgia and the United States and enhances the speedy and efficient reform of Georgia's armed forces and security infrastructure, introduction of international standards into of Georgian army. This makes possible Georgia's integration into European and North Atlantic structures - a foreign policy priority.

2003 წლის პირველ კვარტალში მიღებული ძირითადი ნორმატიული აქტები

საქართველოს კანონები

- 29.01.2003 „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, №1945, სსმ* 2003, №5, მუხ.26
- 29.01.2003 „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, №1947, სსმ 2003, №5, მუხ.27
- 29.01.2003 საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე, №1949, სსმ 2003, №5, მუხ.28
- 29.01.2003 „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, №1953, სსმ 2003, №5, მუხ.30
- 29.01.2003 „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, №1955, სსმ 2003, №5, მუხ.31
- 29.01.2003 „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, №1957, სსმ 2003, №5, მუხ.32
- 29.01.2003 „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, №1959, სსმ 2003, №5, მუხ.33
- 29.01.2003 „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, №1961, სსმ 2003, №5, მუხ.34
- 29.01.2003 „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, №1963, სსმ 2003, №5, მუხ.35
- 29.01.2003 საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ, №1965, სსმ 2003, №5, მუხ.36
- 29.01.2003 საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ, №1967, სსმ 2003, №5, მუხ.37
- 30.01.2003 საქართველოს 2003 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, №1968, სსმ 2003, №6, მუხ.38
- 27.02.2003 „მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, №1977, სსმ 2003, №7, მუხ.39

* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (სსმ) არის საქართველოს ოფიციალური ბეჭედიანი ორგანო.

Significant Normative Acts Adopted in the First Quarter of 2003

Laws of Georgia

- 29.01.2003 Law on Making Changes and Amendments to the Law of Georgia on Customs Tariffs and Fees, No.1945, SSM* 2003, No.5, Art. 26
- 29.01.2003 Law on Making Changes to the Law of Georgia on Public Service, No.1947, SSM 2003, No.5, Art.27
- 29.01.2003 Law on Making Changes to the Labor Code of Georgia, No.1949, SSM 2003, No.5, Art.28
- 29.01.2003 Law on Making a Change to the Law of Georgia on Veterans of War and Military Forces, No.1953, SSM 2003, No.5, Art.30
- 29.01.2003 Law on Making Changes to the Law of Georgia on Healthcare, No.1955, SSM 2003, No.5, Art.31
- 29.01.2003 Law on Making Changes to the Law of Georgia on Education, No.1957, SSM 2003, No.5, Art.32
- 29.01.2003 Law on Making a Change to the Law of Georgia on Status of a Member of the Parliament, No.1959, SSM 2003, No.5, Art.33
- 29.01.2003 Law on Making a Change to the Law of Georgia on Social Protection Guarantees of the Employees of the Prosecutor's Office of Georgia, No.1961, SSM 2003, No.5, Art.34
- 29.01.2003 Law on Making a Change to the Law of Georgia on Budgetary System and Budgetary Powers, No.1963, SSM 2003, No.5, Art.35
- 29.01.2003 Law on Making Changes and an Amendment to the Tax Code of Georgia, No.1965, SSM 2003, No.5, Art.36
- 29.01.2003 Law on Making Amendments to the Tax Code of Georgia, No.1967, SSM 2003, No.5, Art.37
- 30.01.2003 Law on State Budget of Georgia for 2003, No.1968, SSM 2003, No.6, Art.38
- 27.02.2003 Law on Making Changes to the Law of Georgia on Mobilization, No. 1977, SSM 2003, No.7, Art. 39

* Sakartvelos Sakanonmdablo Matsne (SSM) is the Georgian official law gazette.

- 28.03.2003 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, №2030, სსმ 2003, №9, მუხ.49
- 28.03.2003 „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, №2031, სსმ 2003, №8, მუხ.40
- 28.03.2003 „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე, №2032, სსმ 2003, №8, მუხ.41
- 28.03.2003 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, №2033, სსმ 2003, №8, მუხ.42
- 28.03.2003 „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, №2034, სსმ 2003, №8, მუხ.43
- 28.03.2003 „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, №2035, სსმ 2003, №8, მუხ.44
- 28.03.2003 „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, №2036, სსმ 2003, №8, მუხ.45
- 28.03.2003 „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, №2037, სსმ 2003, №8, მუხ.46
- 28.03.2003 „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, №2038, სსმ 2003, №8, მუხ.47
- 28.03.2003 „შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტისა და რეექსპორტის რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, №2039, სსმ 2003, №8, მუხ.48
- 28.03.2003 „სამწარმოო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, №2044, სსმ 2003, №9, მუხ.52
- 28.03.2003 „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, №2072, სსმ 2003, №9, მუხ.51
- 28.03.2003 „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, №2076, სსმ 2003, №9, მუხ.50
- 28.03.2003 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე, №2080, სსმ 2003, №9, მუხ.53

- 28.03.2003 Law on Making a Change to the Code of Georgia on Administrative Offenses, No. 2030, SSM 2003, No.9, Art.49
- 28.03.2003 Law on Making a Change to the Law of Georgia on Structure and Rule of Activity of Executive Power, No.2031, SSM 2003, No.8, Art.40
- 28.03.2003 Law on Making Changes and an Amendment to the Law of Georgia on Privatization of State Property, No.2032, SSM 2003, No.8, Art.41
- 28.03.2003 Law on Making a Change to the Law of Georgia on Legal Person of Public Law, No. 2033, SSM 2003, No.8, Art.42
- 28.03.2003 Law on Making a Change to the Law of Georgia on State Levy, No.2034, SSM 2003, No.8, Art.43
- 28.03.2003 Law on Making Changes to the Law of Georgia on Administration and Disposition of Non-agricultural State Owned Land, No.2035, SSM 2003, No.8, Art.44
- 28.03.2003 Law on Making a Change to the Law of Georgia on Communications and Post, No.2036, SSM 2003, No.8, Art.45
- 28.03.2003 Law on Making a Change to the Law of Georgia on Trade-Industry Chamber of Georgia, No.2037, SSM 2003, No.8, Art. 46
- 28.03.2003 Law on Making a Change to the Law of Georgia on National Investment Agency of Georgia, No.2038, SSM 2003, No.8, Art.47
- 28.03.2003 Law on Making a Change to the Law of Georgia on Regulation of Export and Re-export of Metal Scrap and Waste of Ferrous and Non-ferrous Metals, No.2039, SSM 2003, No.8, Art.48
- 28.03.2003 Law on Making a Change to the law of Georgia on Basis for Issuing License and Permission for Entrepreneurial Activity, No.2044, SSM 2003, No.9, Art.52
- 28.03.2003 Law on Making a Change to the Law of Georgia on Social and Legal Protection Guarantees of the Judges, No.2072, SSM 2003, No.9, Art.51
- 28.03.2003 Law on Making a Change to the Law of Georgia on Protection of Consumers' Rights, No.2076, SSM 2003, No.9, Art.50
- 28.03.2003 Law on Making an Amendment to the Code of Georgia on Administrative Offences, No.2080, SSM 2003, No.9, Art.53

საქართველოს პარლამენტის დადგენილებები

- 27.02.2003 საქართველოს პარლამენტის დადგენილება №1983 საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის ფედერალურ სამინისტროს შორის „კოსოვოში უსაფრთხოების უზრუნველყოფი საერთაშორისო ძალების (KFOR) ფარგლებში თანამშრომლობისა და მხარდაჭერის შესახებ“ შეთანხმების რატიფიცირების თაობაზე
- 21.03.2003 საქართველოს პარლამენტის დადგენილება № 1991 საქართველოს მთავრობისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის „თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების რატიფიცირების თაობაზე

Decisions of the Parliament of Georgia

- 27.02.2003 Decision of the Parliament of Georgia No.1983 on Ratification of an Agreement between the Ministry of Defense of Georgia and Federal Ministry of Defense of the Federal Republic of Germany on Cooperation and Promotion within the Framework of International Forces Responsible for Establishing and Maintaining Security in Kosovo (KFOR)
- 21.03.2003 Decision of the Parliament of Georgia No.1991 on Ratification of an Agreement between the Governments of Georgia and the United States of America on Cooperation in the Field of Defense

1. Circumstances of the Case

სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას

ნათია ნაკვლაძე*

სააპელაციო სასამართლომ 1999 წლის 5 ნოემბრის №22/818 გადაწყვეტილებით გააუქმა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება. კერძოდ, ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა პროცენტის (საურავის) მოთხოვნის ნაწილში და მოპასუხეს (საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტს) დააკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ ზედმეტად გადახდილ გადასახადებზე პროცენტის გადახდა.

1. საქმის გარემოებანი

მოსარჩელის სარჩელის საფუძველს წარმოადგენდა მის მიერ 1998 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოში იმპორტირებული სანჯავის განბაჟებისას ზედმეტად გადახდილი თანხის გადახდის დღისათვის აშშ-ის დოლართან მიმართებაში ლარის არსებული კურსით დაბრუნება, ანუ კურსთაშორის სხვაობით განცდილი ზარალის ანაზღაურება, სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის შესაბამისად. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს დაეკისრა ზარალის ანაზღაურების სახით 11 656, 27 აშშ-ის დოლარის გადახდა, რაც რაიონული სასამართლოს მიერ მოტივირდა შემდეგნაირად: 1996 წლის 8 მარტის შეთანხმება „საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა 1997 წლის 16 აპრილს, მაგრამ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, სასამართლოს მოსაზრებით, უნდა შესრულდეს 1996 წლის 10 ივლისიდან, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 24 ივნისის №408 ბრძანებულების მიხედვით, რომლითაც ზემოთითხილებული შეთანხმება დამტკიცდა. აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა იმპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახადებიდან გათავისუფლება, რაც არ შესრულდა მოპასუხის მხრიდან და მოსარჩელეს ზედმეტად დაერიცხა საბაჟო გადასახადი 44 438, 18 ლარი, რაც მას 1999 წლის 4 მარტს უკან დაუბრუნდა. რაიონულმა სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ საბაჟო გადასახადი გადახდილია უცხოური ვალუტით, აშშ-ის დოლარით, რამაც შეადგინა 32 617, 67 აშშ-ის დოლარი, ხოლო ეროვნულ ვალუტა - ლარსა და აშშ-ის დოლარის კურსთა სხვაობა გადახდილ და დაბრუნებულ თანხას შორის შეადგენს 11 656, 27 აშშ-ის დოლარს, რაც წარმოადგენს მოსარჩელის მიერ განცდილ მატერიალურ ზარალს. შესაბამისად, სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებისას იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე (9) მუხლით და სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლით.

* თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის თავმჯდომარე.

CASE LAW REVIEW

Payment of Monetary Obligation under a Floating Exchange Rate Regime

NATIA TSKEPLADZE*

With its Decision No. 22/818 of November 5 1999 the Appellate Court repealed Tbilisi Isani-Samgori District Court Decision of 20 July 1999 and delivered a new decision. The Appellate Court partially satisfied the plaintiff's demand regarding the payment of interest (penalty) and obliged the defendant (State Customs Department) to pay the interest for overpaid charges in favour of a plaintiff.

1. Circumstances of the Case

In his claim the plaintiff demanded the return of the sum overpaid during customs clearance of the fuel imported to Georgia from the Republic of Azerbaijan according to the exchange rate of GEL against USD for the date of payment, i.e. reimbursement of damages caused by difference in exchange rates. The plaintiff based his claim on Article 389 of the Civil Code of Georgia. The defendant did not acknowledge the claim and demanded its dismissal.

The plaintiff's claim was satisfied by the appealed decision and the defendant was obliged to pay USD 11 656.27 as damages. The motivation of the district court was the following: the Georgian Parliament ratified an Agreement between Georgia and the Republic of Azerbaijan on Free Trade on 16 April 1997, but the court considered that the obligations under this agreement should be fulfilled starting from 10 July 1996, pursuant to the Presidential Ordinance N 408 of 24 June 1996, which adopted the above mentioned governmental agreement. The agreement provided for the exemption of imported products from the payment of customs duties, but the defendant failed to comply with requirements of the agreement and imposed on the plaintiff the payment of excessive charges in an amount of GEL 44 438,18 which was returned to the latter on 4 March 1999. The district court decided that the plaintiff paid customs charges in USD – total USD 32 617,67. The difference between the paid and returned sums made USD 11 656,27 given the difference in the exchange rate of the national currency Lari against USD. The plaintiff was caused damages in amount of the above sum. The court referred to Article 42.9 of the Georgian Constitution and Article 389 of the Civil Code of Georgia.

* Chairperson of the Administrative Law and Tax Cases Chamber of the Tbilisi Court of Appeals.

საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტმა მითითებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება, შესაბამისად, – სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი მოტივით: საბაჟო დეპარტამენტში არ შემოსულა და შესაბამისად საბაჟო ორგანოებისათვის სახელმძღვანელოდ არ დაგზავნილა საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობათაშორის შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რის გამოც საბაჟო ორგანოებს არ შეეძლოთ, გაეთვალისწინებინათ მისი მოთხოვნები და გაეგრძელებინათ შეღავათები იმპორტიორებზე საბაჟო გადასახადების ნაწილში. აპელანტმა მიიჩნია, რომ საბაჟო ორგანოთა და მისი მუშაკების მოქმედება არაბრალულია და არ უნდა დადგეს ზიანის მიყენებისთვის მათი პასუხისმგებლობის საკითხი.

აპელაციის იურიდიულ მხარეს წარმოადგენს სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 412-ე და 997-ე მუხლების გაუთვალისწინებლობა და გამოუყენებლობა, ვინაიდან მითითებული ნორმების საფუძველზე ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და რომ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაკისრება უკანონოა.

სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელემ აპელანტის სააპელაციო საჩივარზე წარმოდგენილ შეპასუხებაში გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის საფუძველზე და მოითხოვა ზედმეტად გადახდილ გადასახადზე საურავის დარიცხვა 2 283 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, მხარეთა მიერ წარმოდგენილი და სასამართლოს ინიციატივით მოკვლეული მტკიცებულებები და მხარეთა განმარტებების მოსმენისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აპელანტის სააპელაციო საჩივარი საფუძველიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება არ არის კანონიერი, იგი უნდა გაუქმდეს და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას რაიონული სასამართლოს მიერ დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე(ა) მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი. შესაბამისად, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული.

2. სასამართლოს მოტივაცია

სააპელაციო სასამართლომ გავიზარა რაიონული სასამართლოს მტკიცება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ საბაჟო გადასახადი გადაიხადა აშშ-ის დოლარით, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 16 სექტემბრის №363 ბრძანებულებით დადგინდა იქნა, რომ 1995 წლის 2 ოქტომბრიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადასახადო საშუალებად გამოცხადდა ეროვნული ვალუტა „ლარი“, აგრეთვე, 1995 წლის 23 ივნისის „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ კანონის“ 36-ე მუხლში 1995 წლის 19 სექტემბრის ცვლილებებით განისაზღვრა, რომ „საქართველოს ფულის ერთეულია ლარი“, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „ლარი არის ერთადერთი კანონიერი საგადასახადო საშუალება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე“, შესაბამისად, 1995 წლის 2 ოქტომბრიდან საბაჟო კანონმდებლობის საფუძველზე საბაჟო გადასახადების გადახდა ხორციელდება ეროვნული ვალუტით – ლარით. საბაჟო კოდექსის მიხედვით, საბაჟო დეკლარაციას აცხებს თავად დეკლარანტი, ხოლო, რადგან მითითებული ნორმატიული აქტების საფუძველზე გადასახადის გადახდელმა გადასახადი

State Customs Department of Georgia appealed against the above-mentioned decision and demanded its revocation. The motivation for the adoption of a new court decision was as follows: Customs Department had not received the Agreement between Georgia and Azerbaijan on Free Trade and consequently the agreement was not circulated among customs authorities as a guiding instrument. Thus the customs authorities could not have taken account of its requirements and applied custom benefits to the importers. The appellant considered that the customs authorities and their officers were not guilty of their actions and they should not bear the responsibility for damages.

The legal part of the appeal is non-consideration and non-application of Articles 412 and 997 of the Civil Code of Georgia, insofar as under these provisions only the damage that a debtor could have foreseen is subject to reimbursement and the imposition of liability without fault was unlawful.

In his counter action against appellant's appeal the plaintiff increased his demand on the grounds of Article 252 of the Tax Code of Georgia and demanded the payment of a penalty in amount of GEL 2 283 for overpaid charges.

The appellate court examined the case file and evidenc submitted by the parties and obtained under the court initiative. After hearing the explanations of the parties and court proceedings, the court arrived at the conclusion that the appellant's claim was sound and it should be satisfied; that Tbilisi Isani-Samgori District Court decision of 20 July 1999 was not lawful; that it should be repealed and the appellate court should deliver a new decision due to the following circumstances:

The Appellate Court considered that the district court violated the provisions of substantial and procedure law upon delivery of the appealed decision, namely, the requirements of Articles 393 and 394 (a) of the Civil Procedure Code of Georgia. The court applied the law it should not have been applied and did not apply the law it should have been applied and misinterpreted it. Thus, the decision was not adequately founded from the legal point of view.

2. Motivation of the Court

The appellate court has not upheld the statement of the district court, that the plaintiff paid customs charges in USD because under the Ordinance No. 363 of the Head of the State of Georgia (16 September 1995) national currency "Lari" has been declared as the legal payment instrument on the whole territory of Georgia since 2 October 1995; also according to the amendment made on 19 September 1995 to Article 36 of the Law of Georgia on the National Bank of the Republic of Georgia of 23 June 1995, "Lari is the currency unit of Georgia", while under paragraph 2 of the same Law "Lari is the only legal payment instrument on the whole territory of Georgia". Consequently, by virtue of the customs legislations all customs charges are paid in national currency – Lari starting from 2 October 1995. In accordance with the Customs Code of Georgia it is the duty of a declaring person to fill in a customs declaration and as far as a taxpayer paid charges in national currency according to the above quoted normative acts, the customs authority returned the overpaid sum

გადიხნად ეროვნული ვალუტით, შესაბამისად, ზედმეტად გადახდილი თანხაც საბაჟო ორგანომ დააბრუნა ლარებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება თანხის უცხოური ვალუტით – აშშ-ის დოლარით გადახდის დაკისრების თაობაზე ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის გადაწყვეტისას რაიონულმა სასამართლომ არ გამოიყენა საგადასახადო კოდექსის 222-ე მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია: „უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციების გადაანგარიშება ლარებზე: ა) ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით, თუ ასეთი არ არსებობს, მაშინ იმ კურსით, რომელიც განისაზღვრება ლარის მიმართ უცხოური ვალუტის გამოქვეყნებული კურსის მიხედვით“. ამასთან, საბაჟო გადასახადის დაირეგულირება და გადახდევინების წესს არეგულირებს საქართველოს 1998 წლის 20 მარტის კანონი „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“, რომლის მე-19 მუხლით განსაზღვრულია, რომ საბაჟო გადასახადის გადახდევინების საფუძველია სატიკრო-საბაჟო დეკლარაცია. ამ მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია, რომ საბაჟო გადასახადის თანხის განსაზღვრისას უცხოური ვალუტა გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე, სატიკრო-საბაჟო დეკლარაციის გაფორმების დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სწორედ ამ გარემოებას ითვალისწინებს საბაჟო დეკლარაციაში დაფიქსირებული აშშ-ის დოლარის (ან სხვა რომელიმე ვალუტის) კურსი ლართან მიმართებით და არა იმას, როგორც ამას მოსარჩელე ამტკიცებს და ეს რაიონულმა სასამართლომაც გაიზიარა, კერძოდ, საქონლის განბაჟება მოხდა აშშ-ის დოლარით და რაკი თანხის უკან დაბრუნება მოხდა იმ დროისათვის არსებული კურსის გაუთვალისწინებლად, მოსარჩელემ განიცადა ზარალი 11 656, 27 აშშ დოლარის ოდენობით, ამიტომ სააპელაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს რაიონული სასამართლოს მტკიცებულებას აღნიშნულზე, ვინაიდან არ არის დადგენილი, თუ რით გამოიხატა მიყენებული ზიანი, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში იურიდიულად დაუსაბუთებელია.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მოსარჩელის მიერ საბაჟო გადასახადის ზედმეტი ოდენობით გადახდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულია საბაჟო გადასახადის გადახდევინების საფუძვლის – საბაჟო დეკლარაციის შევსების წესი, დეკლარანტის უფლება-მოვალეობანი, საბაჟო დეკლარაციის მიღებისა და ფორმის წესი, რომლის ძირითადი პრინციპი არის ის, რომ საბაჟო გადასახადების გაანგარიშებისა და საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო მონაცემებს იძლევა თავად დეკლარანტი, ანუ საქონლის გადამაადგილებელი პირი, ხოლო საბაჟო კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად, წარმოდგენილ საბაჟო დეკლარაციას იღებს საბაჟო ორგანო და ახდენს მის რეგისტრაციას დადგენილი წესით, ხოლო რეგისტრაციის მომენტთან იგი იქცევა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელ საბუთად“. 1998 წელს, მოსარჩელემ, მოახდინა რა აზერბაიჯანიდან საქართველოში იმპორტირებული საქონლის საბაჟო გაფორმება საბაჟო დეკლარაციების საფუძველზე, არ შექონია რაიმე პრეტენზია გაცხადებული გადასახადის ზედმეტად გადახდაზე და როგორც საქმის მასალებით და საქმის სასამართლო განხილვით დასტურდება, გადასახადების ზედმეტად გადახდის შესახებ მისთვის ისევე, როგორც საბაჟო ორგანოსთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი. ამდენად, ზედმეტად გადახდილი გადასახადის გადახდით რეალურად თუ რა სახის ზარალი განიცადა მოსარჩელემ თანხის უკან დაბრუნებამდე დაუსაბუთებელია. აქ სააპელაციო სასამართლო გულისხმობს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის მიერ გადასახადების ზედმეტად გადახდისას არ ყოფილა გაუთვალისწინებელი ხარჯი, რადგან მიიჩნევენ, რომ იხდდნენ კანონით გათვალისწინებული ოდენობით და შეღავათების არსებობის თაობაზე მათთვის ცნობილი არ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ მოპასუხის მტკიცებით, აღნიშნული შეთანხმება უცნობი იყო როგორც საბაჟო ორგანოები-

in Lari as well. Taking the above said into consideration the appellate court considered that the decision of the district court to oblige the defendant to pay the sum in foreign currency – in USD was against the legislation in force.

The appellate court held that, when considering the dispute, the district court had not applied Article 222 of the Tax Code of Georgia, which states, that “transaction made in foreign currency shall be converted into Lari: a) if available, according to the official exchange rate of the National Bank of Georgia for the date of transaction; b) if no such official rate is available, at a rate established on the basis of the published exchange rates of foreign currency against Lari.” The rules of charging and payment of customs duties are regulated by the Law of Georgia on Customs Fees and Tariffs of 20 March 1998. Under Article 19 of this Law the grounds for the payment of customs charges is shipment-customs declaration. Part 3 of this Article states that upon the calculation of customs charges, foreign currency is converted into the national currency of Georgia at an official exchange rate of the National Bank of Georgia for the date of drawing up a shipment-customs declaration. Under the assessment of the appellate court the exchange rate of USD against Lari, mentioned in the customs declaration took account of this circumstance and not of the statement of the plaintiff. The district court agreed to the former assessment. Namely, the goods underwent customs clearance in USD and since the overpaid sum was returned according to the exchange rate effective for that period, the plaintiff was caused damage in amount of USD 11 656,27. Thus the appellate court cannot agree with the statement of the district court, as it is not established what was the actual damage, and consequently, the appealed decision is not substantiated in this part from the legal point of view.

The appellate court considered it established that the plaintiff overpaid customs charges, though customs legislation provides for the rules of filling in the customs declaration, rights and obligation of a declaring person, the format and the procedure of acceptance of a customs declaration. The main principle is that all the necessary information for the calculation of customs charges and customs clearance is submitted by a declaring person, i.e. a person moving goods. Under Article 90 of the Customs Code of Georgia a customs declaration is accepted and registered by a customs authority in accordance with the established procedure. From the moment of its registration the customs declaration becomes a document evidencing the facts of legal importance. In 1998, the plaintiff, who subjected goods imported from Azerbaijan into Georgia to customs clearance on the grounds of a customs declaration, did not complain of overpayment of charges and as is evidenced by the case materials and the court proceedings, both he and the customs authority became aware of the overpayment of customs charges later on. Thus, it is not proved what kind of damage was actually caused to the plaintiff through over payment of charges before the return of this sum. The appellate court believes that upon overpayment of customs charges the plaintiff did not bear any contingencies, as it was assumed, that he paid charges in the established amount and he was not aware of existing benefits and exemptions. It should be mentioned that the defendant asserted that the above-mentioned agreement was not familiar, either to customs authorities or to their public officials and thus it was not fulfilled – only the Enactment No. 991 of the

სათვის, ისე მათი სახელმწიფო მოხელეებისათვის და ამდენად იგი არ სრულდებოდა – მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 29 დეკემბრის №991 განკარგულებით დარეგულირდა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებათა რეალიზაციის პროცესში ბიუჯეტსა და იმპორტიორებს შორის წარმოქმნილი ურთიერთდავლიანების დაფარვის საკითხი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მსჯელობა 1996 წლის 8 მარტის შეთანხმების „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ ძალაში შესვლისა და ამოქმედების თაობაზე, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები უნდა შესრულდეს 1996 წლის 10 ივლისიდან. აღნიშნულზე მსჯელობისას სასამართლომ შეფასება არ მისცა იმ გარემოებას, რომ შეთანხმება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა მხოლოდ 1997 წლის 16 აპრილს და რომ შეთანხმების 1996 წლის 10 ივლისიდან ძალაში შესვლის თარიღად მიჩნევა კონსტიტუციისა და 1993 წლის 11 თებერვლის სპეციალური კანონის – „საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, რატიფიკაციისა და დენონსაციის შესახებ“ დებულებათა დარღვევას ნიშნავს, რადგან მითითებულ შეთანხმების ძალაში შესვლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის მიერ რატიფიცირება. შესაბამისად, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა მითითებული შეთანხმების ძალაში შესვლის საკითხის შეფასებისას და ამოქმედების თარიღის დადგენისას.¹

რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი და ამასთან არასწორად განმარტა ნორმა, როცა მიიჩნია, რომ დავა ეხება არამართლზომიერი ქმედების შედეგად ზიანის მიყენების საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებით ურთიერთობებს და მიზანშეწონილად ჩათვალა 389-ე მუხლის გამოყენება, ხოლო ამ ნორმის არასწორი განმარტებით სარჩელი საფუძვლიანად იქნა მიჩნეული.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმა არ უნდა იქნეს გამოყენებული აღნიშნულ შემთხვევაში იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველოში 1998-1999 წლებში არც ფულის ერთეული (კურსი) გაზრდილა ან შემცირებულა; ფულის ერთეულის გაზრდა ან შემცირება გულისხმობს მისი ნომინალური ღირებულების შეცვლას, როგორც ეს, მაგალითად, მოხდა რუსეთში უახლოეს წარსულში რუბლის შემთხვევაში, როცა 1000 რუსული რუბლი გაუტოლდა 1 რუსულ რუბლს ანუ შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), რასაც საქართველოში მითითებულ პერიოდში ადგილი არ ჰქონია; ასევე, არ შეცვლილა ვალუტა. მითითებულ მუხლში არ არის განსაზღვრული, რომ ფულის ერთეულის (კურსის) შეცვლა გულისხმობს ეროვნული ვალუტის – ლარის კურსის შეცვლას სხვარომელიმ ვალუტასთან მიმართებით, ამდენად, ამ ნორმის, მით უფრო მისი არასწორი ინტერპრეტაციით, გამოყენება კონკრეტული დავის გადაწყვეტილისა დაუშვებელია.

საბაჟო კოდექსის 170-ე მუხლის მიხედვით, საბაჟო ორგანოები და მათი მოხელეები პასუხისმგებელნი არიან იმ ზიანისათვის, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებსა და მათ ქონებას მიაყენეს თავიანთი არამართლზომიერი გადაწყვეტილებით, მოქმედებით ან უმოქმედობით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ხოლო ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძველზე კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. სააპელაციო სასამართლოს აზრით, ლოგიკურია, რომ ზიანის დადასტურების შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით დადგენილი ზიანის ანაზღაურების შესახებ ნორმები, ასევე, მართებული იქნება კონსტიტუციის 42-ე (9) მუხლზე მითითება.

¹ აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის უკვე არსებობდა სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 1999 წლის 1-ლი სექტემბრის გადაწყვეტილება 03პ/16 საქმეზე, რომლითაც დადგინდა მითითებული მთავრობათაშორის შეთანხმების რატიფიცირების აუცილებლობა, მისი იურიდიული ძალის ჰქონედ აღიარებისათვის.

Georgian President of 29 December 1999 made it possible to regulate the repayment of mutual indebtedness arising between the Budget and the importers during the implementation of the agreements on free trade.

The appellate court did not uphold with the district court deliberations on entering into force and enforcement of the Agreement between Georgia and the Republic of Azerbaijan on Free Trade, under which the assumed obligations were to be fulfilled starting from 10 July 1996. When deliberating about the above issue the court did not assess the fact that Georgian Parliament ratified the agreement only on 16 April 1997 and adoption of 10 July 1996 as the date of entering the agreement into force is the violation of the Georgian Constitution and the special Law of Georgia of 11 February 1993 on Entering into, Ratification and Denouncement of the International Agreements of the Republic of Georgia, as the necessary precondition for the entry into force of the above agreement is the ratification by the supreme legislative body of the country – the Parliament. Consequently the court did not apply the law it should have applied for the assessment of the entry into force of the mentioned Agreement and for the establishment of the enforcement date.¹

The district court applied the law it should not have applied, namely, Article 389 of the Civil Code and misinterpreted this provision when it considered that the dispute concerned the obligatory relations, arising on the grounds of the damage caused as a result of an unlawful action and considered it reasonable to recourse to Article 389 of the Civil Code. Due to incorrect interpretation of the provision, the claim was acknowledged as sound.

The appellate court considered that the above provision should not have been applied in this case given a very simple reason: in 1998-1999 currency unit (its rate) did not increase or decrease; the increase or decrease of a currency unit means the change of its nominal value as it was the case in Russia not long ago, when 100 Rubles were restated to 1 Ruble, i.e. currency unit (its rate) decreased. But the same did not happen in Georgia for the same period, and the currency unit was not changed. The above quoted Article did not say that the change of currency unit (its rate) means the change of the exchange rate of the national currency – Lari for some other currency. Thus the application of this provision, moreover its incorrect interpretation upon settlement of a dispute is inadmissible.

According to Article 170 of the Customs Code of Georgia, the customs authorities and their officials are responsible for the damage caused to a natural or a legal person and their property through their unlawful decisions, actions or omission while performing official duties. Damage should be reimbursed on a general basis in accordance with the procedure, established by the law. In the opinion of the appellate court, in the case of establishing the damage, it would be logical to apply the provisions of the civil law concerning damages, also to make a reference to Article 42.9 of the Constitution.

¹ It should be mentioned, that for that period there already existed a judgment entered into force No. 03b/16 of 1 September 1999, which established the necessity of ratification of the above-mentioned governmental agreement, for making it legally binding for its parties.

რაიონულმა სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის ზიანის ანაზღაურების მოვალეობის მომწესრიგებელი ნორმები, მათ შორის 412-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საბაჟო ორგანოთათვის შეუძლებელია, ცნობილი ან სავარაუდო ყოფილიყო მომავალში ეროვნული ვალუტის – ლარის მიმართება უცხოურ ვალუტებთან, მათ შორის აშშ-ის დოლართან, მით უმეტეს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როდესაც ნებისმიერი ვალუტა მერყეობს დღის განმავლობაშიც კი და ეს ფინანსურ-ეკონომიკური ურთიერთობებისათვის ბუნებრივი მოვლენაა.

სააპელაციო სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია საბაჟო ორგანოს არამართლზომიერი ქმედება, როცა საბაჟო გადასახადების გადახდისას მოსარჩელეს ზედმეტად გადაახდევინეს გადასახადი, რაც თვით მოპასუხემ აღიარა ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების ფაქტით და სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით მიაჩნია, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ საურავის (პროცენტის) ნაწილში: საბაჟო კოდექსის 75-ე მუხლი გადასახადის უკანონოდ გადახდევინების შემთხვევაში უთითებს საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის გამოყენების თაობაზე, ეს უკანასკნელი კი ადგენს, რომ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით, გადასახადის ზედმეტად გადახდევინების შემთხვევაში, პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს გადასახადის გადახდელისთვის ანაზღაურების შესახებ დეკლარაციის წარდგენის მომენტიდან ნაშეტი თანხის დაბრუნების მომენტამდე... გადახდილი პროცენტი კი უთანაბრდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სამთავრობო სესხისათვის დადგენილ განაკვეთს.

აღსანიშნავია, რომ მოპასუხემ საქმის სასამართლო განხილვისას ცნო მოსარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში და აღიარა პროცენტის გადახდის დაკისრების კანონიერება საბაჟო ორგანოზე მოსარჩელის სასარგებლოდ, შესაბამისად, მოპასუხეს დაეკისრა პროცენტის საიისი 2 641, 35 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის სარჩელი მიყენებული ზარალის სახით მოპასუხისათვის 11 656, 27 აშშ-ის დოლარის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლოდ, ხოლო გაზრდილი მოთხოვნა საურავის დაკისრების თაობაზე საფუძვლიანად მიიჩნია და მოპასუხეს დააკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 2 641, 35 ლარის გადახდა.

3. კომენტარი

მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია რამდენიმე ასპექტის გამო, რასაც ქვემოთ განვიხილავთ; აქ კი დავსვენთ, რომ გადაწყვეტილებას სასამართლო პრაქტიკისთვის ჰქონდა პრეცედენტული ხასიათი და იგი დღემდე უცვლელია.

ა) ამ დროისათვის აქტუალური იყო თემა – სააპელაციო სასამართლოს როლი და დანიშნულება ქართულ სასამართლო სისტემაში და ხაზგასმული იყო შეხედულება, რომ კოლეგიური სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა არსებითად განხილვა მხოლოდ დროის დაკარგვაა უამისოდაც გაჭიანურებულ სასამართლო პროცედურებში.

ჩვენი აზრით, კონკრეტული გადაწყვეტილება მკაფიო მაგალითია სამირისპიროს სამტიციებლად, ვინაიდან მასში მხარეთა მოთხოვნებთან, მოსაზრებებთან, რაიონული სასამართლოს დასკვნა-დასაბუთებასა და აპელაციის მოტივებთან ერთად, მოცემულია არა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს განსხვავებული მოსაზრებები და დასკვნები, არამედ

The district court did not apply the law it should have applied, namely, the provisions of the Civil Code, regulating the obligation of damages. According to Article 412, subject to reimbursement is only the damage which the debtor could have foreseen, and which is the direct result of the action causing damage.

The appellate court considered that, customs authorities could not have been aware or foreseen the future exchange rate of the national currency – Lari in relation with other foreign currencies, including USD. Moreover in a market economy the exchange rate of any currency may fluctuate even during a day and this is quite natural for financial-economic relations.

The appellate court stated that the customs authority committed an unlawful action, when it overcharged the plaintiff with customs charges, which was acknowledged by the defendant itself through the return of the overcharged sum. On the grounds of the above statement the court considered that the claim should be met only with respect to penalty (interest): in the case of unlawful levying a customs charge, Article 75 of the Customs Code of Georgia refers to Article 252 of the Tax Code of Georgia. The latter states that in the case of overpayment of a charge through the violation of tax laws, the interest should be payable from the moment of submission of a repayment declaration to a taxpayer until the repayment of the overpaid sum. The paid interest is equalled to the interest rate fixed by the National Bank of Georgia for governmental credits.

It should be mentioned that during the case consideration the defendant acknowledged plaintiff's claim in this part, as well as the legality of obliging a customs authority of the duty to pay the interest in favour of the plaintiff. Consequently the defendant was obliged to pay GEL 2 641,35 as interest.

The appellate court considered groundless the plaintiff's claim on the imposition of USD 11 656,27 upon the defendant as damages, while the increased demand on the imposition of penalty was considered as a sound one and the court obliged the defendant to pay GEL 2 641,35 in favour of the plaintiff.

3. Comments

In our opinion the decision made on the administrative case concerned is notable from the several points of view; but we shall speak about them later on. We would like just to mention that this decision should become a part of case law and it is still unchanged.

a) The issue – the role of the appellate court and its importance for Georgia's judicial system – was rather topical for that period and there was a point of view strongly expressed that the reconsideration of a case on merits by a court with bench of judges would be unreasonably time consuming for otherwise delayed proceedings.

We consider that the above discussed decision is an apparent example of the opposite, because together with the demands and opinions of the parties, conclusions and arguments of the district court and the motives of appellation the decision concerned gives the dissenting opinions and conclusions, as well as legally substantiated criticism of the

იურიდიულად დასაბუთებული კრიტიკა ვასაჩივრებული გადაწყვეტილებისა, რომლებითაც დაირღვა სამართლის ნორმები და რომელიც სააპელაციო სასამართლომ შეცვალა ახალი გადაწყვეტილებით, რაც, თავის მხრივ, დამყარებულია კანონის მართებულ გამოყენებასა და სწორ განმარტებაზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმებისას გადაწყვეტილების დასაბუთებული კრიტიკა მიგვაჩინა აუცილებელ და მნიშვნელოვან ფაქტორად, რათა ქვემდგომ სასამართლოს არ დარჩეს უკუპრობისა და ბუნდოვანების განცდა, თუ რატომ გააუქმა სასამართლომ მისი გადაწყვეტილება, რაც შეესაბამება კიდევ სხს კოდექსის 389-ე მუხლის დ) პუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსში მოცემული უნდა იყოს საფუძვლები, რომელთა გამოც სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

ბ) მოცემული გადაწყვეტილებით, სააპელაციო სასამართლომ ახლებურად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი; ახლებურად, ვინაიდან იგი სრულად განსხვავდებოდა იმ დროინდელი სასამართლო პრაქტიკით დადგენილი განმარტებისაგან. ვფიქრობთ, სააპელაციო სასამართლოს განსხვავებულ ინტერპრეტაციას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა:

- 1) კანონის მართებული გაგებისთვის,
- 2) სამოსამართლო სამართლის როლისა და დანიშნულებისთვის,

3) სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი თვალსაზრისით, რაც გამოიხატებოდა პრაქტიკულ შედეგში.

თუ არა სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის ახალი, მართებული განმარტება, ეროვნული ვალუტა ლარის აშშ-ის დოლართან კურსთაშორის სხვაობის (მზარდი თუ კლებადი ინფლაციის) გათვალისწინება საგადაამხდელი ურთიერთობაში (რაც დამკვიდრებულ იქნა სასამართლო პრაქტიკით) ფაქტობრივად, უბოკლეს პერიოდში გამოიწვევდა ქართული ეროვნული ვალუტის – ლარის გაძევებას ბრუნვიდან და სრულიად უნაყოფოს გახდიდა სახელმწიფოს მიერ საქართველოს მიმართ ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადაამხდელი საშუალებად ეროვნული ვალუტის „ლარის“ გამოცხადებისა და უზრუნველყოფის თაობაზე მიღებულ ღონისძიებებს, სახელმწიფო დაკარგავდა ერთ-ერთ აუცილებელ სახელმწიფოებრივ ატრიბუტს – ეროვნულ ფულს. საინტერესოა, რომ სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის განმარტებისა და გამოყენებისას სასამართლოები აიგივებდნენ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას ქართული ვალუტის კურსის მიმართებას უცხოურ ვალუტებთან, რაც ახლოსაა „ფულის კურსის“ მიმართ საყოფაცხოვრებო დამოკიდებულებასთან და საერთო არაფერი აქვს სამართლებრივ ინტერპრეტაციასთან; ამასთან, საგულისხმოა, რომ სასამართლოები აკმაყოფილებდნენ რა სარჩელებს ფულის კურსთაშორის სხვაობით (იგულისხმება ლარის დოლართან მიმართება) გამოწვეული ზარალის ანაზღაურების თაობაზე, უგულვებელყოფდნენ იმ გარემოებას, რომ საბაზრი ეკონომიკის პირობებში სავსებით დასაშვებია ვალუტის მერყეობა და რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ლარის კურსი აშშ-ის დოლართან მიმართებით გაიზრდებოდა, ვფიქრობთ, ეს სრულ ქაოსს გამოიწვევდა, უპირველესად, სასამართლოში დავათა განხილვისას.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ნორმის ინტერპრეტაციისას მითითებული მაგალითიც რუსეთის სახელმწიფოში განხორციელებული ფინანსური რეფორმის შესახებ, როდესაც შეიცვალა ფულის ერთეულის ნომინალური ღირებულება, ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს ეტლ სწორ და მართებულ ინტერპრეტაციას, ამყარებს აზრს, რომ კანონი სწორედ ამგვარ ვითარებაში (ანუ საჯარო სამართლის სუბიექტის – სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების შემთხვევაში) იცავს მოვალის ფინანსურ ინტერესებს, როცა ადგენს, რომ გადახდა უნდა მოხდეს ფულადი ვალდებულებების წარმოშობის დროისათვის არსებული კურსით და ეს საკვებით ლოგიკურია, ვინაიდან სახელმწიფოებრივი ინტერესების განხორციელებისას მაქსიმალურად უნდა იქნას დაცული კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესები. ეს კი ქართული სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით ამ სფეროში რეალიზებულია.

appealed decision, which violated the provisions of law and which was changed by a new decision of the appellate court, based on the correct application and accurate interpretation of the law. Well-substantiated criticism of the decision upon the revocation of a former decision by an appellate court is very important and necessary for the lower court not to have a sense of insufficiency and vagueness whether what was the reason of revocation of the decision by the court. The above is compatible with the requirement of Article 389 (d) of the Civil Procedure Code of Georgia under which the decision of the appellate court should indicate the grounds for the revocation of a decision.

b) In the decision concerned that appellate court gave a new interpretation of Article 389 of the Civil Code of Georgia, which was totally different from the one common for judicial practice of that period. We consider that this interpretation of the appellate court was of fundamental importance:

- 1) For correct comprehension of the law;
- 2) For the role and purpose of case law;
- 3) From a public and social point of view, what was manifested in a practical outcome.

Without this new, correct interpretation of Article 389 of the Civil Code of Georgia, taking account of the difference (increasing or decreasing inflation) between the exchange rates of the national currency Lari against USD in settlement relations would have driven out Lari from the circulation and would have made effortless all the measures for declaring national currency as the only legal settlement instrument in Georgia; the state would have lost one of its attributes – the national money. It should be mentioned that upon the interpretation and application of Article 389 of the Civil Code of Georgia the court often equalled the increase or decrease of the currency unit (rate) with the exchange rate of the Georgian national currency for a foreign one, which is closer to the simple understanding of a “money rate” and has nothing to do with legal interpretation. Furthermore, it is worth mentioning, that when satisfying claims on damages caused by the difference between the exchange rates (meaning Lari against USD) the courts disregarded the fact that currency fluctuation is a normal phenomenon in a market economy and what would have happened in the case of increase of Lari for USD? In our opinion it would have caused a total chaos, particularly during the disputes settlement in courts.

The Russian example about financial reform in the Russian Federation, when the nominal value of the currency unit was changed, which the appellate court referred to upon the interpretation of the respective provision of the law, confirms the correct and proper interpretation of the appellate court, reinforces the idea that in this very case the law protects financial interests of a debtor, when it states that the payment should be made in accordance with the exchange rate effective for the date origination of a pecuniary obligation. This is absolutely logical, as the interest of a private law natural or a legal person should be protected at a maximum possible level upon the exercise of state interests. The above is realised in this field by means of Georgian civil law.

ფულადი ვალდებულების შესრულება და საბანკო ანგარიშით სარგებლობის უფლება

ნინო ჩოხელი*

2002 წლის 13 მარტის №3/321-02 გადაწყვეტილებით, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ნანილობრივ დააკმაყოფილა კასატორის საკასაციო საჩივარი და გააუქმა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება.

1. საქმის გარემოებანი

კლიენტსა (მოპასუხე) და ბანკს (მოსარჩელე) შორის ზეპირი შეთანხმების საფუძველზე ბანკი 1999 წლის თებერვლიდან კლიენტის საანგარიშსწორებო ანგარიშზე ოპერაციებს აწარმოებდა სადებიტო სალდოთი. მოპასუხის ანგარიშზე რიცხული თანხების გადამტებით საბანკო ოპერაციების წარმოების შედეგად მიმდინარეობდა უარყოფითი სალდოს წარმოშობა და პარალელურად ანგარიშზე შემოსული ძირითადი თანხები მიემართებოდა უარყოფითი სალდოს დაფარვისაკენ.

2000 წლის ივლისში მხარეთა შორის დაიდო ხელშეკრულება „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ“, რომლის 2.3.3 და 2.3.7 პუნქტების თანახმად, მოპასუხე ვალდებული იყო, ბანკის წინაშე ფულადი ვალდებულების არსებობის, ან ასეთის სამომავლოდ წარმოქმნის შემთხვევაში არ ესარგებლა სხვა საბანკო დანესებულებაში გახსნილი ანგარიშით მოსარჩელესთან ანგარიშის გასწორებამდე. აღნიშნული პირობის დარღვევისათვის მოპასუხე დაჯარიმდებოდა ფულადი ვალდებულების 30%-ით. 2000 წლის აგვისტოში მხარეებმა წერილობით გააფორმეს მათ შორის არსებული ზეპირი შეთანხმება ანგარიშზე ოვერდრაფტის დაშვების შესახებ.

ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოსარჩელემ მოსთხოვა მოპასუხეს დავალიანების თანხის დაფარვა. ვინაიდან მოპასუხემ მოთხოვნა არ შეასრულა, ბანკმა აღძრა სარჩელი. მოსარჩელემ მოითხოვა ოვერდრაფტის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი დავალიანების - ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის - ანაზღაურება, 2000 წლის ივლისის „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ“ ხელშეკრულების 2.3.3 და 2.3.7 პუნქტებით გათვალისწინებული ჯარიმისა და სამოქალაქო კოდექსის 869-ე მუხლის საფუძველზე ვადაგადაცილებული სესხისათვის კანონით დადგენილი პროცენტის გადახდა. შეგებებული სარჩელით მოპასუხემ მოითხოვა „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ“ ხელშეკრულების 2.3.5 და 2.3.6 პუნქტების ბათილად ცნობა, მათი კაბალური ხასიათის გამო.

2. უზენაესი სასამართლოს შეფასება

2.1 კრედიტისა და დარიცხული პროცენტის დაფარვის რიგითობა

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა არ დაეთანხმა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის შეფასებას, რომლის თანახმადაც, სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებზე „ჯეპლაკის“ ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში.

Performance of Monetary Obligation and Restriction of the Right to Use Bank Accounts

NINO CHOKHELI*

In its Decision No.3k/321-02 of 13 March 2002, the Chamber of Civil, Entrepreneurial and Bankruptcy Cases of the Supreme Court of Georgia partially met the appellant's claim and repealed the Decision of 13 November 2001 of the Panel of Civil and Entrepreneurial Cases of Tbilisi Regional Court.

1. Circumstances of the Case

There was a verbal agreement between the client (defendant) and the bank (plaintiff), under which the latter created an overdraft facility for the former starting from February 1999. Consequently, a negative balance was generated on the defendant's account. At the same time the sums deposited to the account were directed for clearing the negative balance.

In July 2000, the parties concluded a Contract on Conducting Banking Transactions. Pursuant to Paragraphs 2.3.3 and 2.3.7 of the contract, the defendant committed himself not to use or open another bank account with another bank until such time that the liability on the overdraft had been paid. There was also a stipulation that if the defendant did open such an account then a 30% liability on the existing overdraft would be charged. In August 2000, the parties signed a written version of the oral contract that existed between them concerning the overdraft.

At the end of terms of the contract, the plaintiff demanded repayment from the defendant. The Bank lodged a claim because the defendant failed to meet this demand. The plaintiff demanded reimbursement arrears, originating from the Overdraft Contract. The plaintiff claimed the basic sum and interest; the payment of a fine as provided for by Paragraphs 2.3.3 and 2.3.7 of the Contract on Conducting Banking Transactions, as well as interest provided for by Article 869 of the Civil Code for overdue credit. The defendant lodged a counter claim demanding the voidance of Paragraphs 2.3.5 and 2.3.6 of the Contract on Conducting Banking Transactions due to their alleged excessively onerous terms.

2. Supreme Court's Assessment

2.1 Succession of the Payment of the Credit and Charged Interest

The Chamber of Civil, Entrepreneurial and Bankruptcy Cases of the Georgian Supreme Court did not uphold the assessment of the Chamber of Civil and industrial Cases of Tbilisi Circuit Court. The latter held that by virtue of Parts 1 and 2 of Article

* GEPLAC Legal Expert.

დაყრდნობით, მოპასუხის მოსარჩელისადმი არსებული დავალიანების დადგენა-გაანგარიშება (საბანკო ანგარიშებიდან ამონაწერების საფუძველზე) უნდა განხორციელდეს შემდეგი პრინციპით: მოპასუხის ანგარიშზე შესული თანხებით ჯერ იფარება ძირითადი დავალიანების თანხა, შემდეგ – სესხით სარგებლობის პროცენტი.

პალატამ მიუთითა, რომ 387-ე მუხლი განსაზღვრავს სხვადასხვა ვალდებულებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავს რამდენიმე შესრულების თანმიმდევრობას და ამ მუხლით შეუძლებელია, დადგინდეს ერთი სამართლებრივი ურთიერთობიდან (საბანკო კრედიტის (ოვერდრაფტის) ხელშეკრულებიდან) წარმოშობილი ფულადი ვალდებულების ოდენობის დადგენისა და გაანგარიშების წესი. ამდენად, კოლეგიამ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პროცენტისა და ძირითადი დავალიანების დაფარვის რიგითობის განსაზღვრისას არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლი, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით განსაზღვრულია ნორმები, რომლებიც აღნიშნულ საკითხს არეგულირებს.

სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სესხისათვის პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს ყოველი წლის გასვლის შემდეგ. თუ სესხი წინასწარაა ვადით განსაზღვრული, მაშინ ვალიცა და პროცენტიც გადახდილ უნდა იქნეს ვადის დადგომისას.

აღნიშნული ნორმის მიხედვით, სესხისათვის სარგებლის ოდენობა განისაზღვრება სასესხო თანხის განსაზღვრული პროცენტის სახით მისი მთელი წლის მანძილზე გამოყენებისათვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება დადგინდეს ყოველთაოფური პროცენტის ოდენობაც. ჩვეულებრივ მხარეთა შეთანხმებით ხდება პროცენტის გადახდის წესის განსაზღვრა. თუ ხელშეკრულებაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სესხით სარგებლობისათვის დადგენილი პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს ყოველი წლის გასვლის შემდეგ. თუ ხელშეკრულება ვადიანია, ყოველი წლის გასვლისას მოხდება სარგებლის გადახდა, ხოლო მომდევნო წლის დანარჩენ პერიოდში სესხის დაბრუნებასთან ერთად – ამ პერიოდის შესაბამისი პროცენტის დაბრუნება.

კანონმდებლობით, აგრეთვე, გათვალისწინებულია, რომ პროცენტიანი ვალის დაბრუნება ეადანე აღრე მხოლოდ კრედიტორის თანშობითაა შესაძლებელი. ხოლო სამოქალაქო კოდექსის 872-ე მუხლის თანახმად, თუ კრედიტის ამლები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. საპროცენტო განაკვეთი საბანკო კრედიტისათვის არის კრედიტის ფასი, რაც კრედიტით სარგებლობის გარკვეული ეტაპის დასრულებისას უნდა იყოს გადახდილი.

აღნიშნულის საფუძველზე პალატამ მიუთითა, რომ საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოვალის მიერ გადახდილი თანხებით ვალის საერთო თანხა კი არ მცირდება, არამედ ხდება პროცენტის დაფარვა. საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში პროცენტის გაანგარიშება ხდება ძირითადი თანხიდან.

2.2 საბანკო ანგარიშით სარგებლობის უფლების შეზღუდვა

საკასაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია კოლეგიის გადაწყვეტილება მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ“ ხელშეკრულების 2.3.3 და 2.3.7 პუნქტების სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად ბათილად ცნობის შესახებ. პალატამ მიუთითა, რომ ამ მუხლის თანახმად, გარეგნის ბათილობას იწვევს შემდეგი ფასულობების დარღვევა: ა) კანონით დადგენილი წესებისა და აკრძალვების; ბ) საჯარო წესრიგის; გ) ზნეობის ნორმების. საჯარო წესრიგის დარღვევა გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის ისეთი ფუნდამენტური პრინციპების დარღვევას, როგორცაა: საკუთრების უფლება, ხელშეკრულებისა და მენარშემობის თავისუფლება და ა.შ. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ იგი ენებას აყენებს, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.

387 of the Civil Code, the defendant's indebtedness should be paid to the plaintiff according to the following principle: firstly the basic indebtedness and then the interest.

The Chamber stated that Article 387 provides for successive payment of similar fulfillments deriving from the various obligations. However, it is impossible to apply this Article to establish the procedure to calculate the obligation deriving from one legal relationship (Bank Credit (Overdraft) Contract). Thus, the Chamber was wrong when it made recourse to Article 287 to determine the succession of repayment of the interest deriving from the Bank Credit Contract and basic indebtedness. Moreover, the legislation provides provisions to regulate the issue.

Pursuant to Part 3 of Article 626 interest should be paid after the lapse of each year. In the case of a pre-agreed term the debt and interest should be paid whenever they become due.

According to this provision, interest for the use of credit should be charged at an annualised rate. Hence, it is possible to calculate monthly interest. As a general rule parties agree upon the procedure to pay interest. If the contract contains no such stipulation interest should be payable after the lapse of each year, as per Part 3 of article 626 of the Code. In the case of a fixed term, interest shall be payable after the lapse each year. For the remaining period of a credit interest should be charged on that period and be paid back along with the amount taken as credit.

The law also states that an interest-bearing debt can only be paid back in advance of its terms through the consent of the creditor. By virtue of Article 872 of the Civil Code when a debtor returns the credit in advance of the terms of the contract, the creditor is entitled to claim for respective damages. The interest rate for a bank credit is the price for the credit that should be paid at the end of the defined period of the credit.

The Chamber stated that repayment of certain sums before the end of the contract period does not reduce the total amount of the debt, only the interest. During the validity period of a credit contract the amount of interest shall be calculated from the basic sum.

2.2 Restriction of the Right to Use Bank Accounts

The Appellate Chamber considered groundless the decision of the Panel concerning the voidance of Paragraphs 2.3.3 and 2.3.7 of the Contract on Conducting Banking Transactions on the grounds of article 54 of the Civil Code. The Chamber states that under this Article a contract may become null and void only in the case of a breach of the following: a) rules and prohibitions determined by law; b) public order; c) principles of morality. Breach of public order means the violation of such fundamental principles of civil circulation (activity), such as property rights and freedom of agreement and entrepreneurship. A breach of public order violates not only the rights of a particular participant, but also the interests of state and society.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №222 ბრძანებით დამტკიცებული დროებითი ინსტრუქციის, რომელიც განსაზღვრავს საბანკო დაწესებულებებში საანგარიშსწორებო, საკორექციონდენტო, სავალუტო, საბიუჯეტო, მიმდინარე და სხვა ანგარიშების გახსნასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების წესებს, მე-2 მუხლი ადგენს, რომ პირებს ენიჭებათ უფლება, დამოუკიდებლად აირჩიონ საბანკო დაწესებულება საკრედიტო-საანგარიშსწორებო და საკასო მომსახურებისათვის, ამასთან, მათ შეუძლიათ, საბანკო ანგარიშები გახსნან ერთ ან რამდენიმე ბანკში.

აღნიშნული ნორმა პირს აძლევს უფლებას, ანგარიში გახსნას ერთ ან რამდენიმე ბანკში. რამდენიმე ბანკში ანგარიშის გახსნა და საბანკო ოპერაციების წარმოება არ არის სავალდებულო. ამდენად, თუ პირს ანგარიში ექნება გახსნილი მხოლოდ ერთ ბანკში, ან მხოლოდ ამ ბანკში გახსნილი ანგარიშით ისარგებლებს, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს კანონის ან კანონით დადგენილი წესის დარღვევად.

საჯარო წესრიგის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს პიროვნების თავისუფლების დარღვევით, პირადი თავისუფლების შეზღუდვით, ისე, რომ ეს ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოების თავისუფალი წევრის მდგომარეობას და პირს აყენებდეს მონურ მდგომარეობაში. ხშირ შემთხვევაში საჯარო წესრიგის დარღვევის შეფასების კრიტერიუმად მიჩნეულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (1966) ნორმა, რომლის თანახმად, არავის არ შეიძლება წაერთვას თავისუფლება მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მას არ ძალუძს, შეასრულოს რაიმე სახელშეკრულებო ვალდებულება.

სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ, განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი, ნებისმიერი მოქმედება. ამ ნორმის თანახმად, სამოქალაქო კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება დაშვებულია.

მოპასუხეს უფლება ჰქონდა, შეეზღუდა მისი სხვა ბანკში არსებული ანგარიშებით სარგებლობის უფლება. იმ პირობებში, როდესაც მოპასუხეს ესაჭიროებოდა საკრედიტო სასხსრები და მოსარჩელე ყოველგვარი დამატებითი გარანტიის გარეშე აძლევდა მას აღნიშნულ სახსრებს, ამგვარი ხელშეკრულების გაფორმება მისთვის, შესაძლოა, ხელსაყრელიც იყო. გასათვალისწინებელია, რომ მხარეთა შორის არსებული – „ანგარიშზე ოვერდრაფტის დაშვების შესახებ“ – ხელშეკრულების თანახმად, იურიდიული პირის ანგარიშზე რიცხული თანხები მთლიანად მიემართებოდა სადებეტო სალდოს დასაფარავად. ამგვარი შეზღუდვები სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელია. იგი წარმოადგენს ვალდებულების შესრულების გარანტიას და ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას.

პალატამ მიუთითა, რომ ნების ამგვარი წესით შეზღუდვის კონკრეტული ნორმები მოცემულია საქართველოს ცალკეულ საკანონმდებლო აქტშიც (სახელმწიფო ვალის შესახებ კანონის 38-ე და მე-40 მუხლები).

Article 2 of Order No.222 of the National Bank of Georgia establishes the rules for the regulation of issues related to the opening of settlement, correspondent, currency, budgetary, current, and other accounts. Persons are entitled to choose independently which bank to use for credit-settlement and cash services. Furthermore they are entitled to open bank accounts in one or several banks.

This provision authorises a person to open an account in one or several banks. Opening accounts and conducting transactions in several banks is not mandatory. Thus, if a person has an account only in one bank, or makes use of only that account, this is not a violation of the law or the procedure provided for by the law.

A breach of public order may be present if a violation or a restriction of personal freedom has happened in such a way that contradicts the status of a free member of society and places a person in a position of a slave. Often the criteria used to assess whether a breach of public order has occurred is the provision of the International Covenant on Civil and Political Rights (1966). This states that no one shall be imprisoned merely on the ground of his inability to fulfil a contractual obligation.

According to Part 2 of Article 10 of the Civil Code, a participant in a civil relationship may exercise any action not prohibited by law, including any action not directly foreseen by law. By virtue of this provision any action not prohibited by civil law is allowed.

The defendant was authorised to restrict the right to use accounts opened in other banks. When the defendant needed credit and the plaintiff provided him with this without any additional guarantee, such an agreement might have been even beneficial for him. Account should be taken of the fact that according to the Overdraft Contract between the parties, all the resources on the account of the legal person was used to cover the debt on the account. Such restrictions are characteristic for civil circulation (activity). The guarantee to fulfil an obligation promotes stability civil circulation (activity).

The Chamber stated, that specific rules restricting personal will in such a manner are provided for by certain legislative acts of Georgia (Articles 38 and 40 of the Law on State Debt).

სტუდენტური ფორუმი

ევროპული გაერთიანების სასამართლო

კახიანი ლომიძე

1. მოკლე ისტორიული ექსკურსია

ჯერ კიდევ ნახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების ფარგლებში საფუძველი ჩაეყარა სასამართლოს შექმნის იდეას, რომელიც უზრუნველყოფდა არსებული ევროპული ინსტიტუციების (საბჭო, კომისია, პარლამენტი) ეფექტიან ფუნქციონირებას ზენაციონალურ დონეზე და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა ევროპის სახელმწიფოების დაახლოებისა და შემდგომ ინტეგრაციის პროცესში. სწორედ ზემოხსენებული გაერთიანების ფარგლებში 1952 წელს, ლუქსემბურგში, პირველად დაარსდა სასამართლო, რომელსაც დაეკისრა ამ მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულება. შემდგომში, როდესაც, 1958 წელს, რომის ხელშეკრულებების საფუძველზე დაარსდა ევროპული ეკონომიკური გაერთიანება და ევროკომისია, წარმოიშვა ნახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების აღნიშნულ სამართლის სუბიექტებთან მერწყობისა და მათთვის საერთო სასამართლო ინსტანციის შექმნის იდეა. შედეგად, დაფუძნდა ევროპული გაერთიანების სასამართლო, რომელიც 1958 წლის ოქტომბრიდან მუდგა საქმიანობას. სასამართლოს დავებზე: მართლმსაჯულების განხორციელება ევროპული გაერთიანების მასშტაბით, წევრი სახელმწიფოების სასამართლოებისათვის დამფუძნებელი ხელშეკრულების ეფექტური მოქმედების უზრუნველსაყოფად, განმარტებების მიცემა და სხვ.

2. სასამართლოს შემადგენლობა

ევროპული გაერთიანების სასამართლო შედგება 15 მოსამართლისა და 8 გენერალური ადვოკატისაგან. მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოების მთავრობების ურთიერთთანხმობით 6 წლის ვადით. შესაძლებელია განმეორებითი ვადით დანიშვნაც. მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმში საკმაოდ მკაცრია და უშუალოდ ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებით არის დადგენილი, კერძოდ, მოსამართლეები უნდა აკმაყოფილებდნენ თავიანთ ქვეყნებში უმაღლესი სასამართლოს წევრის თანამდებობაზე დანიშნისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ან წარმოადგენდნენ აღიარებული კომპეტენციის მქონე სამართლისმცოდნეებს, მათ შორის აკადემიური ხარისხის მქონე იურისტებიც არიან უფლებამოსილი, წარდგენილ იქნენ აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად.

კანონის მკაცრი მოთხოვნის მიუხედავად, რომ მოსამართლეები და გენერალური ადვოკატები ნებისმიერი ეროვნებისა შეიძლება იყვნენ, მათი დანიშვნა თანამდებობებზე პრაქტიკულად განსხვავებული წესით ხორციელდება, კერძოდ: თითოეული წევრი სახელმწიფო (სულ 15) წამოაყენებს ერთი ეროვნული მოსამართლის კანდიდატურას, ხოლო ხუთი უმსხვილესი წევრი სახელმწიფო – დიდი ბრიტანეთი, იტალია, გერმანია, საფრანგეთი და ესპანეთი – შესაბამისად წამოაყენებს გენერალური ადვოკატის კანდიდატურას. გენერალური ადვოკატების დანარჩენ სამ თანამდებობაზე ინიშნებიან შედარებით პატარა წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები,

¹ ოსუ-ის ევროპული სამართლის მაგისტრატურის სტუდენტი და „ჯეპლაკის“ სტაჟიორი.

STUDENTS FORUM

The European Court of Justice

VAKHTANG GONGADZE*

1. Short Historical Background

The idea of creating a court of justice was conceived within the framework of the European Coal and Steel Community. The court's purpose was to secure the efficient operation of the existing European institutions (European Council, European Commission, European Parliament) at a supranational level and contribute to the process of establishing closer relations between the Member States and of further integration. The court of Justice, entrusted with this important task was first established in Luxembourg in 1952 within the framework of the Community. Later on, when in 1958 the European Economic Community and European Atomic Energy Community were established under the Rome Convention, the idea arose of merging the European Coal and Steel Community and the above subjects of law and creating a common judicial body for them. As a result, the Court of Justice of the European Communities was created in October 1958. The court was assigned the responsibility to administer justice throughout the European Communities, and to assist the Member States in the interpretation and efficient application of the Treaties establishing European Communities (EC Treaty).

2. Composition of the Court

The Court of Justice of the European Communities comprises fifteen judges and eight advocates general. The judges are appointed by common accord of the governments of the Member States and hold office for a renewable term of six years. The criteria for the selection of judges are rather strict and are provided for directly by the EC Treaty. Judges should possess qualifications required in their respective countries for the appointment to the highest judicial offices or be legal advisors of recognised competence. Lawyers with an academic degree may also be nominated to hold the office of a judge.

Despite stringent requirements of law that judges and advocates general could be of any nationality, they are actually appointed to their offices according to a different procedure. Each Member State (total fifteen) nominates one national judge, while the five largest Member States – the United Kingdom, Italy, Germany, France and Spain nominate the advocates general. Three remaining offices of advocates general are held in rotation by the representatives of relatively small Member States

* Student of Tbilisi State University Master's Programme in European Law and Trainee at GEPLAC.

according to a pre-established succession order. The disadvantage of this procedure is that despite judges' high professionalism, no one is entitled to be reappointed after the expiration of a six-year term, except when a Member State enjoys the right of appointment of a judge or an advocate general according to the rotation principle. Should the Court of Justice so request, the Council may increase the number of judges and advocates general, for instance in the case of acceptance of a new Member State.

The composition of the Court of Justice is renewed every three years. The judges select one of their number to be President of the Court for a renewable term of three years by an absolute majority. The President directs the work of the Court, appoints and presides at hearings and deliberations, appoints a judge-rapporteur, and carries out administrative duties assigned to him by Court Statute. Currently the office of the President of the Court of Justice of the European Communities is held by *Gil Carlos Rodriguez Iglesias* (Spain).

The qualification requirements and procedures for designating the advocates general are similar to those of judges. They do not participate in the examination of cases with judges. The treaty establishing the European Union states that advocates general are completely impartial and independent in their activities and make reasoned submissions on cases brought before the court. For each case the First Advocate General appoints one advocate general for a term of one year. The advocate general may not be the representative of the Member State, which is a party to the case proceedings in the Court of Justice. At the end of oral proceedings, the advocate general delivers his oral report to the court. He gives his opinion, analyses the facts and all the legal aspects of the case in detail, and proposes his solution to the problem. Then the judges deliberate in private, where the advocates general are not admitted. Though the opinion of an advocate general is not binding, judges often take account of them when delivering a judgement. The judgments of the court and the opinions of the advocates general are published in the Reports of Cases. The advocates general may have recourse to them. The Court of Justice appoints a registrar for a term of six years. He also acts as a secretary-general of the Court of Justice.

The Court of Justice of the European Union has four chambers composed of three judges and two chambers composed of five judges. Each chamber has its president. The president of the chamber of three judges is elected for a term of one year, while the president of the chamber of five judges – for a term of three years. The judges of the Court of Justice of the European Communities, except for the President of the Court, in turn become the presidents of the chambers as well.

3. Jurisdiction of the Court of Justice

The Court of Justice of the European Communities administers jurisdiction over a number of categories of cases. The Court:

- Considers disputes arising between the bodies (institutions) of the European Union concerning the legality of the legislative procedures of the Community;

- ამონმებს ევროპული კომისიის ადმინისტრაციული აქტების, აგრეთვე, წევრი სახელმწიფოების მოხელეების სამსახურებრივი ქმედებების ევროპული გაერთიანების სამართალთან შესაბამისობის საკითხს;

- იხილავს შრომით – სამართლებრივ დავებს, რომლებიც ეხება დაქირავებულების ევროპული გაერთიანების მასშტაბით თავისუფალი გადაადგილების, მათი სოციალური უზრუნველყოფისა და შრომით – სამართლებრივ ურთიერთობაში ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის საკითხებს;

- ამონმებს ევროპული კომისიის მიერ საჯარიმო სანქციების შეფარდების მართლზომიერებას;

- იღებს გადაწყვეტილებას საქმეებზე ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ ბრიუსელის კონვენციის განმარტებასთან;

- ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 238-ე, 239-ე მუხლების საფუძველზე წარმოებაში იღებს საარბიტრაჟო დავებს მხარეებს შორის საარბიტრაჟო შეთანხმებისა ან საარბიტრაჟო დაქმნის არსებობის შემთხვევაში.

ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სასარჩელო წარმოების ფორმები, რომელთა საფუძველზეც ევროპული გაერთიანების სასამართლო ახორციელებს მართლმსაჯულებას მთლიანად გაერთიანების მასშტაბით:

ა) სარჩელი ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ

სასამართლოში აღნიშნული სარჩელის შეტანის უფლებით სარგებლობს ევროპული კომისია, აგრეთვე წევრი სახელმწიფო. სარჩელის საგანია წევრი სახელმწიფოს მიერ დამფუძნებელი ხელშეკრულებიდან მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება.

ბ) ბათილობის სარჩელი

ევროპული გაერთიანების წევრ სახელმწიფოს, ევროპულ საბჭოს, ევროპულ კომისიას, განსაკუთრებულ შემთხვევაში ევროპულ პარლამენტსაც, შეუძლიათ, სარჩელით მიმართონ სასამართლოს ევროპული გაერთიანების საკანონმდებლო აქტების, ან მათი ნაწილების ბათილად აღიარების მოთხოვნით. სარჩელის შეტანის უფლება აქვთ, აგრეთვე, ფიზიკურ პირებსაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი უშუალოდ არიან დაინტერესებული საქმის საგნით, ანუ, თუ სადავოდ ქცეული საკანონმდებლო აქტი უშუალოდ (პირდაპირ) ვრცელდება მათზე ან მათ საქმიანობაზე.

გ) სარჩელი ევროპული გაერთიანების ინსტიტუციების უმოქმედობის შესახებ

სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს, ამდენად ასრულებენ ევროპული გაერთიანების ორგანოები მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, მონაწილეობას იღებენ თუ არა საქმის წარმოებისათვის ხელშეკრულებით დადგენილ პროცედურებში და სხვ.

დ) სარჩელი ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ

სარჩელის საგანია ევროპული გაერთიანების ორგანოებისა თუ ცალკეული მოხელეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ამ შემთხვევაში სასამართლო ამონმებს გაერთიანების ბრალეულობის საკითხს დამდგარ შედეგთან მიმართებით.

ე) სასარჩელო წარმოება ევროპული სასამართლოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილების მიღების შესახებ ეროვნული სასამართლოების მიერ მასზე გადაცემულ საქმეებზე.

- Reviews the compatibility of Commission administrative acts and actions of public officials of Member States with the Community law;
- Deliberates on labour disputes, concerning the free movement of employees within the boundaries of the European Union, the issues of their social security and equality of men and women in labour relations;
- Reviews the legality of penalties imposed by the European Commission;
- Makes decisions on damages, related with the interpretation of the Brussels Convention on Jurisdiction and the Enforcement of Judgements in Civil and Commercial Matters;
- Accepts for consideration arbitration disputes in accordance with Articles 238e and 239e of the EC Treaty in the case of absence of arbitration agreement or an arbitration clause between the parties.

The EC Treaty envisages various types of actions, on the grounds of which the Court of Justice of the European Communities exercises its jurisdiction over the whole territory of the Community:

a) Action for failure to fulfil an obligation

The right to bring this type of action before the Court of Justice is vested with the European Commission and the Member States. The subject matter of this action is the non- or improper fulfilment of an obligation by a Member State, imposed on it by the EC Treaty.

b) Action for annulment

A Member State, the Council, the Commission and, in certain circumstances, the Parliament, may apply to the Court of Justice for the annulment of all or part of an item of Community legislation; individuals may also seek the annulment of a legal measure which is of direct and individual concern to them or if the disputed piece of legislation is directly applicable to them or their activities.

c) Action for failure of the institutions of the European Union to act

The Court of Justice is obliged to review to the extent that institutions of the European Union fulfil the imposed obligations, whether they participate in case proceedings pursuant to the EC Treaty.

d) Actions for damages

The subject matter of the action is the damage caused by the Community institutions or servants in the performance of their duties. In this case the Court reviews the issue of liability of the Community for consequences.

e) Appeals against preliminary rulings of the Court of Justice concerning cases referred to it by national courts.

ვინაიდან, გაერთიანების კანონმდებლობა წვერი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაზე უპირატესი იურიდიული ძალით სარგებლობს, იმ შემთხვევაში, თუ ეროვნულ სასამართლოში შეტანილი საქმიდან გამომდინარე ცალკეული საკითხი ევროპული გაერთიანების კომპეტენციას მიეკუთვნება, საქმე განმარტებისა და მასზე წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა ევროპული გაერთიანების სასამართლოს. ამ უკანასკნელის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე ეროვნულ სასამართლოებს გამოაქვთ საბოლოო გადაწყვეტილება. ბუნებრივია, რომ წვერი სახელმწიფოების მრავალგვარი სამართლებრივი წესრიგის პირობებში ეროვნული სასამართლოები განსხვავებულად ახდენენ კანონის განმარტებას. სწორედ მოცემული სასარჩელო წარმოება ქმნის საფუძველს ევროპული გაერთიანების სასამართლოსა და ეროვნულ სასამართლოების თანამშრომლობისათვის, აგრეთვე, უზრუნველყოფს ევროპული გაერთიანების კანონმდებლობის უნიფიკაციას გაერთიანების მასშტაბით.

4. სამართალწარმოების პროცედურა

სასამართლოს მუშაობის წესი, განსახილველი საქმეების შინაარსიდან გამომდინარე, განსხვავებულია: თუ მოდავე მხარე ევროპული გაერთიანების რომელიმე ორგანო ან წვერი სახელმწიფოა, საქმეს იხილავს სასამართლო პლენუმი¹¹, განსაკუთრებულ შემთხვევებში, საქმის სირთულიდან გამომდინარე, 15 მსსამართლის შემადგენლობით. სასამართლო პალატებს განსახილველად გადაეცემათ ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეები.

როგორც წესი, სასამართლოს სარჩელით შეუძლია მიმართოს წვერმა სახელმწიფომ, ევროპული გაერთიანების რომელიმე ორგანომ (ძირითადად ევროპულმა კომისიამ), აგრეთვე იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა, მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ მათ უშუალო ინტერესი აქვთ დაეის საგანთან.

სამართალწარმოება ხორციელდება გაერთიანების რომელიმე ენაზე. სამართალწარმოების ენას ძირითადად ირჩევს მოსარჩელე მხარე. თუ მოპასუხე მხარე წვერი სახელმწიფოა ან ფიზიკური თუ იურიდიული პირია, რომელიც წვერი სახელმწიფოს წარმოადგენს, მაშინ სამართალწარმოების ენად გამოიყენება ამ უკანასკნელის სახელმწიფო ენა. თუ წვერი სახელმწიფოში რამდენიმე სახელმწიფო ენაა, მოსარჩელეს შეუძლია, აირჩიოს მათგან ერთერთი.

სასარჩელო წარმოების დროს, როდესაც ევროპული გაერთიანების სასამართლოს ეროვნული სასამართლოსაგან გადაეცემა საქმე მასზე წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად, გამოიყენება საქმის ვადამცემი ეროვნული სასამართლოს სამართალწარმოების ენა.

ევროპული გაერთიანების სასამართლოს რეგლამენტით დადგენილია სამართალწარმოების წერილობითი და ზეპირი ფორმები:

- ა) საქმის წერილობითი წარმოება

მოსარჩელისაგან სარჩელის მიღების შემდეგ იგი შეიტანება კანცელარიის რეესტრში, ხოლო კანცლერი უზრუნველყოფს სასარჩელო განცხადების შესაბამისი დავის საგნის აღწერით გამოქვეყნებას უზრუნველყოფს ევროპული კავშირის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. შემდეგ ინიშნებიან მომხსენებელი მოსამართლე და გენერალური ადვოკატი, რომლებსაც ევალებათ საქმის წარმოებისათვის თვალის დევნება. სარჩელი დაუყოვნებლივ წარედგინება მოპასუხე მხარეს და ეძლევა ერთი თვე შესაგებელის წარსადაგენად. ამას შესაძლებელია მოჰყვეს მოსარჩელის მიერ ხელახალი სარჩელის შეტანა და მოპასუხის პასუხი მასზე, რისთვისაც, აგრეთვე, ერთი თვის ვადა დადგენილი. მხარეებს მოეთხოვებათ აღნიშნული ვადების მყაცრად დაცვა. მათი გაგძელება მხოლოდ სასამართლოს პრეზიდენტის პრეროგატივაა.

As far as Community law enjoys supremacy over the national laws of Member States, if a specific issue of a case under the consideration of a national court falls within the competence of the European Community, the case should be referred to the Court of Justice of the European Communities for interpretation and for a preliminary ruling. The national courts deliver their judgements on the basis of the latter's decision. Naturally, due to differences in legal orders of the various countries, national courts interpret law in a different manner. Appeal proceedings become the standpoint for the employees of Court of Justice of the European Communities and national courts and secure the unification of the European Community law throughout the whole territory of the Community.

4. Case Proceedings

The court procedure differs according to the content of the cases under consideration. It sits in plenary session, consisting of eleven judges, when a Member State or a Community institution is a party to the proceedings, or in Full Court, consisting of fifteen judges, in particularly complex or important cases. The chambers hear less important cases.

As a rule, a case may be brought before the Court of Justice by a Member State, a Community institution (mainly by the European Commission); a natural or a legal person may apply to the Court only when they have a direct concern in the subject-matter of the case.

The language of the proceedings is one of the languages of the Community. The plaintiff generally chooses the language. When the defendant is a Member State or a legal or natural person having the nationality of a Member State, the language of the case will be the official language of that Member State. If the state has more than one official language, the applicant chooses whichever suits him best.

When a case is referred to the Court of Justice by a national court for the delivery of a preliminary ruling, the language of the national court, which referred the case to the Court, is used.

The procedure before the Court consists of two parts: written and oral:

a) Written proceedings

After receiving an action from the applicant, it is entered in the Court register. The registrar publishes a notice of the action and of the applicant's claims in the Official Journal of the European Communities. A judge-rapporteur and an advocate general, whose duty it is to follow closely the progress of the case, are then appointed. The application is forthwith served on the other party, who has one month within which to lodge a defence. The applicant may submit a reply, and the defendant a rejoinder, the time allowed being one month in each case. The time limits for lodging these documents must be strictly adhered to, unless an extension is specifically authorised by the President.

ბ) ზეპირი წარმოება

სასამართლოში ყოველი საქმე განიხილება მომხსენებელი მოსამართლის ზედამხედველობით. მომხსენებელი მოსამართლის მიერ წარმოდგენილი წინასწარი მოხსენების საფუძველზე, აგრეთვე გენერალური ადვოკატის მოსმენის შემდეგ, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას საქმის სასამართლოს პლენუმისათვის ან რომელიმე პალატასათვის განსახილველად გადაეცეს თობაზე. სასამართლოს პრეზიდენტი ნიშნავს საქმის საჯარო განხილვის თარიღს. მომხსენებელი მოსამართლე თავის მოხსენებაში აყალიბებს მხარეთა ახსნა-განმარტებებს და მოჰყავს მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. გენერალურ ადვოკატს უფლება აქვს, მხარეებს დაუსვას კითხვები. განმეორებით სხდომაზე გენერალური ადვოკატი სასამართლოს წარუდგენს თავის მოსაზრებას განსახილველ საქმესთან დაკავშირებით, რითაც მთავრდება საქმის ზეპირი წარმოება.

სასამართლოს გადაწყვეტილება მიიღება დახურულ სხდომაზე ხმათა უმრავლესობით, თარიღების მონანილეობის გარეშე. მოსამართლეები გამოაქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, რის შედეგადაც იწყება კენჭისყრა. პირველად კენჭს იყრის დანიშნის ვადის მიხედვით ყველაზე აიალგაზრდა მოსამართლე და კენჭისყრის პროცესი გრძელდება თანამიმდევრულად. გადაწყვეტილებას ხელს აწერს ყველა მოსამართლე. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია დადგინდეს – იგი მიღებულ იქნა ხმათა უბრალო უმრავლესობით თუ ერთსულოვნად. განსხვავებული აზრი მხარეებს არ ეცნობება. მომხსენებელ მოსამართლეს ევალება გადაწყვეტილების ტექსტის საბოლოო ვარიანტის მომზადება. გადაწყვეტილება ცხადდება საჯარო სხდომაზე.

ევროპული გაერთიანების სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმი განსხვავებულია და დამოკიდებულია დავის საგანზე, სარჩელის შინაარსზე. მაგალითად, ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები აღსრულდება უშუალოდ წყვილი სახელმწიფოების ეროვნული სასამართლოების მიერ, ხოლო ევროპული გაერთიანების ორგანოების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის ბათილად აღიარების შესახებ გადაწყვეტილება ავტომატურად შედის ძალაში და სავალდებულოა შესასრულებლად დამატებითი სააღსრულებო პროცედურების გარეშე, თუ საქმე ეხება რომელიმე წევრი სახელმწიფოს მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენებას ევროპული გაერთიანების სასამართლოს გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობის გამო, ამ უკანასკნელის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ ექვემდებარება აღსრულებას წევრი სახელმწიფოს მხრიდან.

b) Oral proceedings

A judge-rapporteur supervises the consideration of every case in the Court of Justice. Upon hearing the preliminary report of the judge-rapporteur and the views of the advocate general, the Court decides whether the case should be dealt with by a chamber or by the full court. The President sets the date for public hearing. In a report for the hearing, the judge-rapporteur summarises the facts alleged and the arguments of the parties. The report is made public in the language of the case at the hearing. An advocate general may put any question he considers appropriate to the parties. Some weeks later, again in open court, the advocate general delivers his opinion to the court. The oral procedure ends.

The judgements of the Court of Justice are reached by a majority vote, by the judges alone, without the participation of translators. The judges give their opinions and the balloting starts. The first one to vote is the most recently appointed judge and then successively. All the judges sign the judgements, so it is impossible to identify whether they were delivered by a simple majority or unanimously. No dissenting opinion is given to the parties. The judge-rapporteur draws up a final text of a judgement. Judgments are given in open court.

The mechanism of enforcement of the Court of Justice judgements differs and depends on the subject matter of the dispute, and the content of the claim. Judgements delivered against a natural or a legal person are enforced directly by the national courts of the Member States, while the judgement on declaring null and void a legal act adopted by a Community institution automatically comes into force and is legally binding without any additional enforcement proceedings. When it comes to applying a sanction against a Member State for failure to comply with the judgement of the Court of Justice of the European Communities, the latter's judgement is subject to direct enforcement on the part of a Member State.

იურიდიული ლიტერატურის მიმოხილვა

ლილი ლაზარაშვილი/პაატა ლოზჟანიძე/გია ლილუაშვილი/ეკა ზარნაძე,
სასამართლო პრაქტიკის კომენტარი სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალში
თბილისი (მერდიანი), 2003, ISBN 99928-32-75-4

სასამართლო პრაქტიკის კომენტარი სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალში წარმოადგენს ავტორთა ჯგუფის ნამუშევართა კრებულს, რომელიც ასახავს საქართველოს სხვადასხვა ინსტანციისა და რაიონის სასამართლოთა პრაქტიკას. ეს არის პრაქტიკულად ქართველი მოსამართლეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ანალიზის პირველი მცდელობა ერთგვარი სისტემატიზებული ფორმით, რასაც ადრე საერთოდ არ ჰქონდა ადგილი ქართული იურისპრუდენციის რეალობაში. ეს ფაქტი თავისთავად მისასალმებელია, რადგან მსგავსი გამოცემები უაღრესად უწყობს ხელს კანონის სწორ გამოყენებას პრაქტიკაში. ამასთან, პრეცედენტი ავლენს სამოსამართლო პრაქტიკის ხარვეზებსა თუ ღირსებებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორები განსახილველი გადაწყვეტილებების შერჩევასა არ შემოიფარგლებიან მხოლოდ ერთი რომელიმე ინსტანციითა და რაიონით, რაც კომენტარების ერთ-ერთ დადებით მხარედ უნდა მივიჩნიოთ.

კომენტარები ხუთი ნაწილისგან შედგება და მოიცავს საკუთრების, ფულადი ვალდებულებების, სახელმწიფოებრივი სამართლის, სამემკვიდრეო და საკორპორაციო სამართლის ზოგიერთ ძირითად ასპექტს. თითოეულ ნაწილში მოცემული მასალა აქტუალურია პრაქტიკული თვალსაზრისით, რადგან წარმოაჩენს ნივთზე საკუთრების ხანდაზმულობით შექმნას, სასესხო ურთიერთობებს, ნასყიდობისა და იჯარის ხელშეკრულებებს, კანონითა და ანდერძით მემკვიდრეობის, შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებებთან დაკავშირებულ როგ სამართლებრივ პრობლემას. ჩამოთვლილი სამართლებრივი ინსტიტუტები საკმაოდ ხშირად გამოიყენება და შესაბამისად, საინტერესოა მათი მარეგულირებელი ნორმების გამოყენების ტენდენციათა მიმოხილვა. ანალიზისას ავტორების მიერ ნაჩვენებია, რომ მოსამართლეთა მიერ ხშირია მატერიალური ნორმების არასწორი გამოყენება ან სულაც მათზე მიუთითებლობა. კომენტარებში ჩანს გადაწყვეტილებებისადმი არა მარტო კრიტიკული მიდგომა, არამედ სწორი ტენდენციების გაშუქებაც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომენტარები ეხება მხოლოდ განსაზღვრულ სამართლებრივ ინსტიტუტებსა თუ კერძო სამართლის ქვედარგებს და ამდენად, თავად სათაური ზოგადი და მრავალმნიშვნელოვანია, რაც მის მკითხველს ერთგვარ უკმაყოფილებას გრძნობას უტოვებს. რაც შეეხება ტექსტს, იგი ანალიტიკური სულითაა გამსჭვალული, თუმცა მისი ცალკეული სემანტიკის სტრუქტურული დაყოფა, თუნდაც სასამართლო გადაწყვეტილების კლასიკური სტრუქტურის მიხედვით, ურიგო არ იქნებოდა და სტილისტურად მეტ დამაჯერებლობას შესძენდა ნაშრომს. შენიშვნის ღირსია ისიც, რომ თითოეული თავის ავტორს საკუთარი ინდივიდუალური სტილი გააჩნია, რაც ნაკლად, ბუნებრივია, არ შეიძლება განვიხილოთ, თუმცა თვისებრივად საკმაოდ განსხვავებული მასალის კრებულში თავმოყრისას მკითხველისათვის ინფორმაციის მიწოდების ერთგვარგვანი ხერხების გამოყენება უფრო მეტად შეუწყობდა ხელს კრებულის ერთ მთლიანობად აღქმას.

და ბოლოს, ქართული სამართლის მეცნიერება ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია; პრეცედენტული სამართლის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სასამართლო პრაქტიკის ანალიზისა და განზოგადების მეთოდის გადმოღებას, რის მაგალითსაც მოცემული კომენტარები იძლევა, მრავალი სიკეთის მოტანა შეუძლია არა მარტო სპეციალისტების, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობების უბრალო მონაწილეებისათვისაც.

ვახტანგ ზაალიშვილი

BOOK REVIEW

Lili Lazarashvili/Paata Lobzhanidze/Gia Liluashvili/Eka Zarnadze,
Comments of the Case Law in Civil and Company Laws
Tbilisi (Meridiani), 2003, ISBN 99928-32-75-4

Comments of the Case Law in Civil and Company Laws is a collection of works by a group of authors dealing with the practice of Georgian courts of various instances and regions. As a matter of fact, it is the first attempt at analysing the decisions made by the Georgian judges in a systematised manner that was not available in the Georgian legal reality in the past. This is welcome, for such editions greatly encourage correct application of the law in practice. Moreover, a case reveals the shortcomings and advantages of judge-made law.

It is noteworthy that the authors are not limiting the chosen discussable decision to one instance or region, which should be considered as one of the positive sides of the comments.

The comments consists of five parts and cover some basic aspects of ownership, pecuniary obligations, law of contracts, inheritance and company laws. Materials covered in each part is quite topical in a practical viewpoint since it exposes some legal problems related to acquisitive prescription on thing, loan relations, lease and sales contracts, inheritance by law and succession by will, limited liability and joint stock companies. These legal institutions are quite frequently used and so it is interesting to review the trends of application of their regulatory norms. In making analysis, the authors have shown that often judges either apply substantive norms wrongly or make no reference of them at all. The comments not only evaluate the decision but deal with the correct trends as well.

As already mentioned, the comments deal with only specific legal institutions or segments of private law and the title is rather general, which leaves the reader somewhat unsatisfied. As for the text, it is filled with analytical spirit although the structural division of each part according to classical structure of court decision would not be incorrect and would make the works stylistically more stable. It is also noteworthy that each author has its own style which naturally is not a defect, however when bringing materials quite different in their nature into one book, common techniques of providing information to readers should be applied in order to allow for single understanding of the whole book.

And finally, Georgian legal science is still in the process of development; Introduction of the methods of analysis and generalisation of court practice typical for common law countries, demonstrated in the present comments, is greatly beneficial not only for specialists, but also for ordinary members of society.

Vakhtang Zaalishvili

რობერტა კონი/ვალტერ კელინი/ერინ მუნი (რედ.), სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ და სამხრეთ კავკასიის კანონმდებლობა ვაშინგტონი, 2003, 371, ISBN 0-9729423-2-7 (ინგლისურ ენაზე)

აღნიშნული ნაშრომი შედგება ორი წლის განმავლობაში ქვეყნის შიგნით გადაადგილებაზე ბრუკინგ ზის პროექტის, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოსა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევისა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში იძულებითი გადაადგილების სამართლებრივი რეგულირების საკითხებზე.

ნაშრომში თავმოყრილია სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის – ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დეტალური ანალიზი და მათი შედარება ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილების შესახებ გაერო-ს სახელმძღვანელო პრინციპებთან.

სახელმძღვანელო პრინციპებისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შესაბამისი კანონმდებლობის მუხლობრივი შედარებითი ანალიზი თვალსაჩინოს ხდის, თუ რამდენად შეესაბამება იძულებითი გადაადგილებასთან დაკავშირებული შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებს. აღნიშნული ანალიზი საშუალებას იძლევა, შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რათა იგი მიუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს, რასაც, თავის მხრივ, იძულებითი გადაადგილებულ პირთა სამართლებრივი დაცვის გაუმჯობესება მოჰყვება.

იძულებითი გადაადგილებულთა პრობლემა მეტად აქტუალურია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის (სადაც მილიონზე მეტი იძულებითი გადაადგილებული პირია) და კონკრეტულად საქართველოსათვის. აღნიშნული საკითხის სამართლებრივი მონესრიგება კი ამ პრობლემის მოგვარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. ამდენად, აღნიშნულ ნაშრომში თავმოყრილი დოკუმენტები და ანალიტიკური მასალები დიდ დახმარებას გაუწევს ამ პრობლემის მოგვარებაში უშუალოდ ჩართულ პირებს. თვით იძულებითი გადაადგილებულ პირთათვისაც საინტერესო უნდა იყოს, თუ როგორ არის დაცული მათი უფლებები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და რას ითვალისწინებს მათი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა. ამისათვის მიზანშეწონილია, დაჩქარდეს აღნიშნული ნაშრომის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ენებზე თარგმანა.

აღსანიშნავია საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის იმ ორ-ორი ექსპერტის საქმიანობა, რომლებმაც საკმაოდ შრომატევადი სამუშაოები ჩაატარეს თავიანთი ქვეყნების შესაბამისი კანონმდებლობისა და სახელმძღვანელო პრინციპების შედარებითი ანალიზისათვის და შედეგად საკმაოდ მაღალ დონეზე შესრულებული ნაშრომი მიიღეს.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ნაშრომი უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი იძულებითი გადაადგილების სამართლებრივი რეგულირების დახვეწის საქმეში. ეს წიგნი მნიშვნელოვნად დაეხმარება არა მარტო სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, არამედ ანალოგიური პრობლემის წინაშე მდგარი სხვა ქვეყნების იურისტებს, პოლიტიკოსებსა და კანონმდებლებს იძულებითი გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული სამართლებრივი პოლიტიკისა და კანონმდებლობის გაუმჯობესებაში.

ზურაბ ბექია

Roberta Cohen/Walter Kälin/Erin Mooney (editors), *The Guiding Principles on Internal Displacement and the Law of the South Caucasus*
Washington, 2003, 371, ISBN 0-9729423-2-7

This volume is the outcome of a two-year study of the legal regulation of internal displacement in the South Caucasian countries carried out within the framework of the joint project of Brookings Institution, the Office for Democratic Institutions and Human Rights of the OSCE, the Norwegian Refugee Council and the Georgian Young Lawyers Association.

The study offers a detailed analysis of laws of the South Caucasian countries – Georgia, Armenia and Azerbaijan – in the field of internal displacement and their comparison with UN Guiding Principles on Internal Displacement.

Article-by-Article comparative analysis of respective laws of the South Caucasian countries and the Guiding Principles clarify the level of compatibility of domestic legislation in the field of internal displacement with international standards. This analysis provides for the possibility to make changes to national legislation and harmonise with international standards. This will improve the legal protection of internally displaced persons.

The problem of internally displaced persons is pressing in the South Caucasus (where there are over a million such persons) and specifically for Georgia. The legal regulation of this issue would considerably enhance the settlement of the problem. The documents and analytical material incorporated in the study will assist those directly involved in the settlement of the problem. It will be interesting for displaced persons to know how international standards protect their interests and what is provided by national legislation. To this end it would be expedient to speed up translation into the local languages.

Special appreciation goes to the experts from Georgia, Armenia and Azerbaijan (two from each country) who provide a labour-intensive comparative study of their respective domestic laws and the Guiding Principles. The result is very high quality research.

Finally, it should be mentioned, that the book is a particularly important contribution to improving the legal regulation of internal displacement. It will assist lawyers, politicians and legislators not only in the South Caucasus, but in many other countries that face a similar problem of improving policy and laws concerning internally displaced persons.

Zurab Bekaia

ლევან ალექსიძე/ლევან გიორგაძე/ზურაბ დავითაშვილი/მარინე კვაჭაძე/კონსტანტინე კორკელია/დავით პატარაია/ირინე ქურდაძე,
 თანამედროვე საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი-ცნობარი
 თბილისი, 2003, ISBN 99940-17-04-7

საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების სფეროში მომუშავე ქართველ იურისტთა მზარდმა რაოდენობამ შესაბამისი საცნობარო მასალის არსებობის აუცილებლობა განაპირობა. მათ შორის საერთაშორისო სამართლის ლექსიკონი-ცნობარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. სწორედ წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს ქართველი ავტორების მიერ ამგვარი საცნობარო ნიგნის შექმნის პირველ მცდელობას. ეს საკმაოდ დიდი მოცულობის გამოცემა, რომელიც მოიცავს 1000-მდე ტერმინს, შესანიშნავი შესავალი თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი ტერმინების სწავლისთვის, რომელიც საშუალებას იძლევა, მოკლე დროში მივიღოთ თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი ტერმინების ახსნა-განმარტება. ლექსიკონში ტერმინების ვრცლად განმარტების გარდა მოცემულია ასევე ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციების, შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების შესახებ. დიდი ყურადღება ეთმობა აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკასა და შესაბამის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას. დასაინანი, რომ წიგნს არ ახლავს სარჩევი და შემოკლებათა (აბრევიატურათა) განმარტებანი. მათი არსებობა გაუადვილებდა მკითხველს საჭირო ინფორმაციის მოძიებას.

ლექსიკონი განკუთვნილია საერთაშორისო სამართლითა და ურთიერთობებით დაინტერესებული პირებისათვის. ავტორთა განცხადებით, ლექსიკონი კარგ სამსახურს გაუწევს ქართველ მეცნიერ და პრაქტიკოს იურისტებს, დიპლომატებს, და სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ საერთაშორისო სამართალს უმაღლეს სასწავლებლებში.

ტატო ურჯუშელაშვილი

Levan Aleksidze/Levan Giorgadze/Zurab Davitashvili/Marine Kvachadze/Konstantin Korkelia/David Pataria/Irine Kurdadze,
Contemporary International Law: Dictionary-Reference Book
Tbilisi, 2003, ISBN 99940-17-04-7

As growing numbers of Georgian legal professionals are working on international law and relations, the need for good reference materials is more apparent. One of the first resources these professionals may want to have is a dictionary of international law. This book is a first attempt by Georgian legal scholars to provide such a reference book. Comprising around 1000 terms, this relatively large volume is a fine introduction to contemporary international law designed as a quick point of reference for those wanting an explanation of common international legal terms. The book provides not only extended definitions of terms, but also reference to international organisations, treaties, conventions, as well as to international legal practice and relevant domestic legislation of Georgia. The only omission is the absence of a table of contents and list of abbreviations that could make it easier to find terms or names.

The book is aimed at those interested in international law and relations. The authors' state that the volume will be helpful for legal scientists and practitioners, diplomats and for students studying international law.

Tato Urjumelashvili

სახელმძღვანელო პრინციპები ავტორებისათვის

სარედაქციო კოლეგია სთავაზობს მეცნიერ და პრაქტიკოს ოურისტებს გამოაქვეყნონ „ქართული სამართლის მიმოხილვაში“ სტატიები სამართლის თანამედროვე ტენდენციების შესახებ, ახალი კანონმდებლობის კომენტარები, პრეცედენტული სამართლის ანალიზი და ოურიდიული ლიტერატურის მიმოხილვა. სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სტუდენტურ ფორუმში.

შინაარსობრივი მოთხოვნები

გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი ნაშრომის შინაარსი უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ პრიორიტეტულ სფეროებს. სარედაქციო კოლეგია ნაშრომს მიიღებს თემის აქტუალობის, ხარისხის და საქართველოში სამართლის განვითარებაზე შესაძლო გავლენის გათვალისწინებით.

ტექნიკური მოთხოვნები

ნაშრომი „ქართული სამართლის მიმოხილვაში“ გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით, ქართულ ან ინგლისურ ენაზე. გამოყენებულ უნდა იქნეს ქართული შრიფტი „AcadNusx“-ი, ხოლო ინგლისური – „Arial“-ი. ტექსტის შრიფტის ზომა უნდა იყოს 10, ხოლო სქოლიოს – 8. ხაზებს შორის დაშორება უნდა იყოს ერთი ერთეული. სტატია, ჩვეულებრივ, უნდა შედგებოდეს 8-20, ხოლო სხვა სახის ნაშრომი არა უმეტეს 5 გვერდისაგან.

ნაშრომის მიღების წესი

გადანყვეტილება ნაშრომის მიღების, უარის თქმის ან შესწორების აუცილებლობის შესახებ ავტორს ეცნობება ნაშრომის წარმოდგენიდან 8 კვირის განმავლობაში. სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა. სარედაქციო კოლეგია იტოვებს უფლებას მოსთხოვოს ავტორს გამოსაქვეყნებლად მიღებულ ნაშრომში შესწორებისა და/ან დამატების შეტანა, ასევე, ნებისმიერ დროს, უარი თქვას, ან გადადოს მასალის გამოქვეყნება. გამოსაქვეყნებლად მიღებული ყველა ნაშრომი სარედაქციო კოლეგიის შეხედულებით შეიძლება დაექვემდებაროს ენობრივ და გრამატიკულ შესწორებას.

საავტორო უფლება

ავტორმა წერილობით უნდა დაადასტუროს, რომ წარმოდგენილი ნაშრომი (მთლიანად ან ნაწილობრივ) არ არის გამოქვეყნებული, წარდგენილი ან მიღებული გამოსაქვეყნებლად სხვა გამოცემაში. საავტორო უფლება ეკუთვნით „ქართული სამართლის მიმოხილვასა“ და ავტორს ერთობლივად.

Guide for Contributors

Legal scholars and practitioners are invited to submit articles on current legal developments, overviews of newly adopted legislation, analysis of case law and book reviews for the publication in GLR. Furthermore students are encouraged to submit their contributions for Students Forum of GLR.

Contents Requirements

Contributions submitted for publication should have direct relevance to the priority fields provided for by the PCA. The Board of Editors accept contributions based upon their significance, quality and a possible impact on legal developments in Georgia.

Technical Requirements

Any contribution should be in hard and electronic copies in either Georgian or English. The fonts shall be for Georgian text - AcadNusx and for English one – Arial. Size of the fonts used in the text of contributions shall be 10, that of footnotes - 8. Articles should normally range from 8 to 20 pages in length and other contributions not more 5 pages, single space.

Editorial Policy

Notifications of acceptance, rejection or need for revisions will be given within eight weeks upon receipt of the contribution. The decision of the Board will be final. The Board of Editors reserves the right to suggest modifications or seek additions to all materials accepted for publication, and further reserves the right at any time to reject or to postpone the publication of any material. All materials accepted for publication may, at the discretion of the Board of Editors, be subjected to linguistic and grammatical revision.

Copyright

Contributions submitted should be accompanied by an assurance that the article or any other contribution has not been (wholly or partly) published, submitted or accepted for publishing in any other publication. Copyright is exclusively vested in the GLR and the author(s) jointly.

ISSN 1512-0201